# ლელო

ეროვნული გაზეთი

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

№144 (12823) 22 ივნისი ორშაბათი 2009 ფასი 60 თეთრი


ევროპის საკლუბო ტურნირები 2009/10

დღეს ნიონში

## წილისყრაა

>> გვერდი 4

## ლოკომოტივი დაშლის პირას

უფულობის გამო გუნდის არსებობა სათუოა

>> გვერდი 2

# ამერიკული სასწაული



## იტალია სახლში, ამერიკა კვარტეტში

ველოდებით ბრაზილიისა და ესპანეთის ფინალს

>> გვერდი 6



ნახევარფინალი. 24 ივნისი: ესპანეთი-აშშ, 25 ივნისი: ბრაზილია-სამხ. აფრიკა



## კუპერს ბოკა ხუნიორსი ეპატიჟება

>> გვერდი 3



## ტევესი მანჩესტერს ტოვებს

>> გვერდი 7



სატრანსფერო სპეკულაციები

## ფაჩულია, ონილი და ტორონტო

>> გვერდი 12



დღეს უიმბლდონი იწყება

## როჯერის შანსი რაფაელის გარეშე

>> გვერდი 16

ლოკომოტივი

# დაშლის პირას

## ლოკოს გასაჭირი: უფულობის გამო გუნდის არსებობა საეჭვოა

ვერ აქვს საქმე კარგად თბილისის „ლოკომოტივს“ - უმაღლეს ლიგაში თამაში კი არა, საერთოდ კლუბის არსებობა დგას კითხვის ნიშნის ქვეშ. ამ დროისთვის „ლოკომოტივს“ ფული არ აქვს. შესაბამისად, გუნდს ახალი სეზონისთვის მზადება არ დაუწყია, არადა, იმედი ჰქონდათ, რომ მინიმალური სახსარი მაინც გამოუჩნდებოდათ, მაგრამ... გუნდისთვის ფული ჯერაც ვერ მოიძებნა.

ახლახან, ფეხბურთის ფედერაციაში გვითხრეს - „ლოკომოტივს“ უმაღლეს ლიგაში თამაშისთვის აუცილებელი ლიცენზია აქვს, თუმცა დღეს ასე უნდა ვთქვათ - ლიცენზია ჰქონდა. ლიცენზია ხომ ფინანსურ გარანტიებსაც გულისხმობს...

„ვიტ ჯორჯია“, „დინამო“, „ოლიმპი“, „ზესტაფონი“, „სიონი“, „ლოკომოტივი“, „მგლები-ბაია“, „გაგრა“, „სამტრედია“ და „სპარტაკი“ - ასე გამოიყურებოდა 2009/10 წლების უმაღლესი ლიგის სავარაუდო ათეული, „ლოკომოტივის“ უფულობამ კი ფედერაცია-პროფლიგას, შესაძლოა, კიდევ ერთი თავსატეხი გაუჩინოს - თუ ლოკომოტიველებმა თანხები ვერ მოიძიეს, რომელი გუნდით უნდა შეიცვალოს?

უმაღლეს ლიგაში თამაშისთვის საჭირო ლიცენზია კიდევ ერთ გუნდს აქვს - მარტვილის „მერანს“, თუმცა ეს ავტომატურად როდი ნიშნავს იმას, რომ პირველი ლიგის ეს გუნდი უკვე მზადაა „ელიტაში“ სათამაშოდ. არადა, უმაღლეს ლიგაში „ლოკომოტივის“ სხვა ალტერნატივა ამ დროისთვის, უბრალოდ, ფიზიკურად არ არსებობს.

ფედერაციამ უმაღლეს ლიგაში თამაშის მსურველ კლუბებს 1 ივლისამდე მისცა ვადა - ლიცენზიაც უნდა გქონდეთ და ვინც სახელმწიფო კმაყოფაზე ხართ, კერძო სტრუქტურად უნდა გადაკეთდეთო. დრო კი იწურება, 8 დღე ბევრი ნამდვილად არ არის...

კლუბის პრეზიდენტი ლევან თოფურია უცხოეთშია და თბილისში დღე-დღეზე ჩამოვა. მას გუშინ შევეხმიანეთ და გვითხრა - დედაქალაქში რომ დავბრუნდები, „ლოკომოტივზეც“ მერე დაგელაპარაკებითო.

„ლოკომოტივს“ გადაზიდვების კომპანია „სილქ როუდის“ თბილისური ოფისი აფინანსებდა. ეს საკმაოდ ცნობილი კომპანიაა, რომლის სათაო ოფისი შვეიცარიაშია, მაგრამ, როგორც ჩანს, ფინანსური კრიზისი მასაც შეეხო. 2008 წლის აგვისტოსთვის თბილისში გადაზიდვების დაახლოებით 100 ფირმა იყო, დღეისთვის მათი რიცხვი 30-მდეა შემცირებული. „ლოკომოტივის“ ახალ სპონსორზე კი ჯერ ჩქამიც არ ისმის. არადა, დასანანია - კლუბმა ფეხბურთის ფედერაციასთან ერთად საგურამოს ბაზა ააშენა, გასული სეზონის პირველ ეტაპზე ჰყავდა საკმაოდ მძლავრი გუნდი, ჰქონდა დიდი მიზნები და... უცბად აღმოჩნდა, რომ ფული აღარ არის...

დავით თავართქილაძე

დინამო




კახა კაჭარავას ახალი თანაშემწე თამაზ სამხარაძე




დილმის ბაზაზე ნიგერიელები გამოჩნდნენ

# ქართულ-უცხოური შევსება

ერთ-ერთი პირველი, ახალი სეზონისათვის მზადება რომ დაიწყო, თბილისის „დინამოა“. მთავარი მწვრთნელის რანგში უკვე ოფიციალურად დამტკიცებული **კახა კაჭარავა** შეგირდებს ჯერ დილმის საწვრთნელ ბაზაზე ავარჯიშებს, 28 ივნისიდან კი „დინამო“ შეკრების ჩასატარებლად გერმანიაში გაემგზავრება.

რაღა თქმა უნდა, ყველას აინტერესებს, თუ რა საკადრო ცვლილებები მოხდა ჩვენი ყველაზე ტიტულოვანი გუნდის შემადგენლობაში. **დიდიე ოვონო** და **დანილო ტომიჩი** რომ „დინამოში“ აღარ ითამაშებენ, ადრეც გაუწყეთ; ისე როგორც **გიორგი სომხიშვილის** ტრანსფერი - გამოცდილმა მეკარემ „დინამოსთან“ კონტრაქტი ორი კვირის წინ გააფორმა. ჯერჯერობით გაურკვეველია **ოლეგ გველესიანის** საკითხი - მარცხენაფლანგელს „დინამოსთან“ კონტრაქტი კი დაუმთავრდა, მაგრამ კვლავაც ყოფილ კლუბთან ერთად ვარჯიშობს. აი, ბოლო დღეებში კი „დინამოში“ ერთდროულად რამდენიმე სიახლე მოხდა: ჯერ 24 წლის ბრაზილიელი **ვანდერ ფერეირა** გამოჩნდა, ვინც მანამდე საკუთარ ქვეყანაში მინეიროს შტატის ჩემპიონატის მეორე დივიზიონის „არაშას“ ღირსებას იცავდა.

ფერეირა ამპლუით ნახევარმცველია, ისე როგორც „დინამოს“ კიდევ ორი უცხოელი ახალწვეული: **პაულინგ პენდონგი** და **ჯონას ნოკამი**. ორივე, კამერუნელია - 22 წლის პენდონგი ცენტრალური ნახევარმცველია და „დინამომდე“ საკუთარი ქვეყნის უმაღლესი ლიგის „პანტერაში“ ასპარეზობდა; ამას გარდა, კამერუნის 21-წლამდელთა ნაკრების წევრიც გახლდათ. რაც შეეხება ნოკამს, 18 წლის ჭაბუკი, მარჯვენა ნახევარმცველია და ჩვენთან ჩამოსვლამდე, კამერუნის მეორე ლიგის „დინამიკში“ თამაშობდა; თანაც, თავისი ქვეყნის 19-წლამდელთა ნაკრებში ასპარეზობს. ფერეირა, პენდონგი და ნოკამი ჯერჯერობით, სინჯებზე არიან და გუნდში იმ შემთხვევაში დარჩებიან, თუ კახა კაჭარავას თავს მოაწონებენ. აი, ხორვატმა **ივო კატუშიჩმა** კი „დინამოსთან“ ოფიციალური კონტრაქტი გააფორმა - როგორც ნებისმიერ სოლიდურ გუნდს შეეფერება, ამიერიდან „დინამოსაც“ ეყოლება ფიზმომზადების მწვრთნელი. აი, კატუშიჩის კომენტარიც, „დინამოს“ ოფიციალურ ვებგვერდზე რომ გამოქვეყნდა:

*„სპორტსმენობის პერიოდში 5 წელი ფეხბურთით და 5 წელი მძლეოსნობით ვიყავი დაკავებული. სპლიტის ფიზკულტურის ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, ხორვატიის მესამე და მეორე დივიზიონების გუნდებში ვმუშაობდი, მერე - სპლიტის „ჰაიდუკში“. განვლილი სეზონი ბაქოს „ოლიმპიკში“ გავატარე. აზერბაიჯანიის ფეხბურთში დიდი ფინანსებია, მაგრამ პროფესიონალიზმის კუთხით სერიოზული პრობლემებია. არანაკლებ მნიშვნელოვანია ისეთი ცნება, რასაც... პრესტიჟი ჰქვია! ხორვატიაში ჩასვლისას, როცა ვამბობდი ბაქოს „ოლიმპიკში“ ვმუშაობ-მეთქი, ყველასთან დიდი ახსნა-განმარტება მჭირდებოდა. ახლა კი ყველაფერი მარტივად არის - მე „დინამოში“ ვარ! გუნდში, ყველა რომ იცნობს! სხვათა შორის, საქართველოში ჩამოსვლამდე ივო შუშაკსაც ვესაუბრე, ვინც „დინამო“, საქართველო და ქართველი ხალხი საუკეთესოდ დამიხასიათა. ძალიან მახარებს, რომ, მართლაც, პროფესიონალებთან მოვხვდი. ჭეშმარიტად საფეხბურთო ატმოსფეროა, ეტყობა კიდეც, რომ თავის საქმეს ყველა სიყვარულით აკეთებს. სხვადასხვა ასაკობრივი ნაკრებიდან „დინამოში“ დაბრუნებული ფეხბურთელები ჯერ ინდივიდუალურად მოემზადებიან. მალე რამდენიმე ტესტს ჩავატარებთ და ფეხბურთელთა ფიზიკური მდგომარეობის ობიექტურ სურათს მივიღებთ. თუ კარგი იქნება, ვეცდები - უკეთესი გახდეს, თუ არა, ცოტა უფრო მეტი დრო დაგვჭირდება, რომ კარგი გახდეს“.*

ახლა კი „დინამოს“ „ქართულ“ სიახლეებზეც - გუშინ გაირკვა, რომ ამიერიდან, კახა კაჭარავას მეორე მწვრთნელის რანგში **თამაზ სამხარაძე** დაეხმარება. 41 წლის სამხარაძე მწვრთნელის A ლიცენზიას ფლობს და მანამდე „დინამოს“ საფეხბურთო აკადემიაში მთავარ მწვრთნელად მუშაობდა. ფეხბურთელობისას, სამხარაძე ჯერ თბილისის „შევარდენში“ (1989-93), მერე კი ხაშურის „ივერიაში“ (1993-95) თამაშობდა ცენტრალური მცველის პოზიციაზე. მწვრთნელად მუშაობა 1995 წელს „ნორჩ დინამოელში“ დაიწყო, მერე იყო ოლიმპიური მომზადების ცენტრში. 2005-06 წლებში საფეხბურთო კლუბ „გაგრას“ სპორტული დირექტორი იყო, მომდევნო სეზონში - ამავე გუნდის მთავარი მწვრთნელი. 2007 წლიდან კი „დინამოს“ საფეხბურთო აკადემიის მთავარ მწვრთნელად მუშაობდა.

**თამაზ სამხარაძე:** *„უპირველეს ყოვლისა, კლუბის ხელმძღვანელობას ასეთი ნდობისათვის მადლობა მინდა ვუთხრა. უდიდეს პასუხისმგებლობას ვგრძნობ. კახა კაჭარავამ უცხოელი მწვრთნელების გვერდით მუშაობით დიდი გამოცდილება მიიღო და მზად არის „დინამოს“ უთავკაცოს. მეც, სხვებთან ერთად, გვერდში დავუდგები და დაკარგული ტიტულის დაბრუნებას ვეცდებით. გასულ სეზონში მეორე ადგილზე გავედით და, ბუნებრივია, ყველას დაუკმაყოფილებლობის გრძნობა დაგვრჩა. თუმცა, თასისა და სუპერთასის მოგება შევძელით და სეზონი მაჟორულ ნოტაზე დავასრულეთ“.*

ჩვენი მხრივ, დავძენთ, რომ სამხარაძის დაწინაურება შემთხვევითი ფაქტი ნამდვილად არ არის - „დინამოს“ საფეხბურთო აკადემიის (კოორდინატორი - **თეიმურაზ უგრეხელიძე**) სამივე ასაკობრივმა გუნდმა ჭაბუკთა ლიგაში გაიმარჯვა! თანაც, გამარჯვებასაც ხომ გააჩნია - ჭაბუკთა ლიგის სამივე ასაკის ტურნირზე „დინამომ“ უახლოესი მდევრები ათი და მეტი ქულით ჩამოიტოვა (თანაც, სამივე გუნდმა მეტოქეთა კარში 100-100 გოლზე მეტი გაიტანა)! რაც მთავარია, „დინამოს“ საფეხბურთო აკადემიიდან დუბლშემადგენლობაში უკვე რვა ფეხბურთელი დაწინაურდა...

გია ტუხაშვილი

ამხანაგური მატჩი

# ჩემპიონის კონტროლი ზაქათალასთან

საქართველოს ჩემპიონმა თბილისის „ვიტ ჯორჯიამ“ ახალი სეზონისთვის მზადების ეგიდით პირველი საკონტროლო შეხვედრა გამართა - „ლოკომოტივის“ სტადიონზე ზაქათალის „სიმურგი“ ისტუმრა და უხვგოლიან ფრეს გამორჩა - 3:3.

„ვიტ ჯორჯიას“ სასტარტო შემადგენლობა ასეთი იყო: **ბედიაშვილი - ბექვაია, ყველაშვილი, დ. ლომაია, ჯაფარიძე - გ. დათუნაიშვილი, რაზმაძე, კლიმიაშვილი, ჯანელიძე - ლიპარტია, კვარაცხელია.** მეორე ტაიმში შევიდნენ: **მიქაბერიძე, მაისაშვილი, ხურცილავა, ადამაძე, მგელაძე, იოსელიანი, როსტიაშვილი (კასრაძე), ბერიაშვილი, ზაქრაძე (სვანიძე)** და **ვასაძე.**

ზაქათალის „სიმურგი“ აზერბაიჯანის ჩემპიონატში მესამე ადგილზე გავიდა, რითიც ევროლიგაში თამაშის უფლება მოიპოვა. მეზობელი ქვეყნის ერთ-ერთმა მოწინავე გუნდმა დიდი ვერაფერი თამაში გვაჩვენა. პირველ ტაიმში „ვიტ ჯორჯიაცა“ და „სიმურგიც“ ოპტიმალური შემადგენლობებით თამაშობდნენ და ჩვენებურებმა ყველა კომპონენტში დაჯაბნეს მეტოქე.

პირველი გოლი გაიტანა **ვახტანგ კვარაცხელიამ**, რომელმაც შედეგიანი დარტყმა **ირაკლი კლიმიაშვილის** ფლანგურ ჯარიმას მიაყოლა. ასევე ფლანგურ ჯარიმას მოჰყვა ვიტჯორჯიელთა მეორე გოლიც - **ჯაბა ლიპარტიას** პასს **ამირან ყველაშველმა** შეაგება ზუსტი თავური.

არბიტრმა **მამუკა ურუშაძემ** აზერბაიჯანელთა სასარგებლოდ ერთობ საეჭვო 11-მეტრიანი დანიშნა და **დავით ბოლქვაძემ** დარტყმა უნაკლოდ შეასრულა. ბოლქვაძის გარდა „სიმურგის“ სასტარტო შემადგენლობაში კიდევ 3 ქართველი იყო - **კახა ჩხეტიანი, მიხეილ მახვილაძე** და **რომან ახალკაცი.**

ტაიმის ბოლოს კლიმიაშვილმა 20-ოდე მეტრიდან „გაისროლა“ და მეორე ტაიმისთვის „ვიტ ჯორჯიას“ საკმაოდ სოლიდური ფორა შეუქმნა - 3:1. შესვენების შემდეგ შემადგენლობა „სიმურგმაც“ მნიშვნელოვნად შეცვალა. ზაქათალურ გუნდში გამოჩნდა ტრავმა ახლახანმოშუშებული **გრიგოლ დოლიძეც**. სწორედ მის ფლანგურ გარღვევას და უზუსტეს ჩაწოდებას მოჰყვა **ბულიჩოვის** გოლი - 3:2.

ვიტელთა შორის აღნიშვნის ღირსია **არდალიონ მიქაბერიძე** - „ვიტ ჯორჯიას“ მეორე მეკარემ არაერთი რთული ბურთი მოიგერია. არბიტრმა ურუშაძემ კი კიდევ ერთი პენალტი დანიშნა „სიმურგის“ სასარგებლოდ და გამთანაბრებელი 11-მეტრიანი **პეტროვმა** გაიტანა. „ვიტ ჯორჯია“ 24 ივნისს უკრაინაში, ყირიმულ კრიმტეპლიცაში გაემგზავრება და მომდევნო საკონტროლო შეხვედრებსაც იქ გამართავს.

დავით თავართქილაძე

ლეგიონი

# სიმურგის განაცხადში ხუთი ქართველია

ზაქათალის „სიმურგის“ ხელმძღვანელობამ გამოაქვეყნა იმ ფეხბურთელთა სია, რომლებიც ევროპის ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე ითამაშებენ. **რომან პოკორას** ჩამონათვალში 5 ქართველია: მცველები - **კახა ჩხეტიანი** და **მიხეილ მახვილაძე** (თუმცა მახვილაძეს ნახევარდაცვაში იყენებენ), ნახევარმცველები - **დავით ბოლქვაძე, ირაკლი დოლიძე** და **რომან ახალკაცი.**

სიაში არ არის კიდევ ერთი ქართველი - 18 წლის **ბექა ახალბედაშვილი**, რომელიც 35-ე სკოლაში **გოჩა ავსაჯანიშვილის** აღზრდილია. ბექა მარცხენა ნახევარმცველია. ის პოკორას თბილისურ შეკრებაზე მოეწონა და ერთწლიანი კონტრაქტის გაფორმებით დააიმედა. შესაძლოა, ახალბედაშვილმა დროებით „სიმურგის“ ფარმკლუბში ითამაშოს.

მერაბ მამულაშვილი

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

*თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ, რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა* lelo@palitra.ge

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63**; ელფოსტა: **leloltd@gmail.com**; ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **37 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის ქუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ვიტ ჯორჯია

# კვახაძე დაიტოვეს, კახელიშვილი დაიმატეს

„ვიტ ჯორჯიამ" ტრანსფერებისთვისაც მოიცალა და ორი, ერთობ მნიშვნელოვანი კონტრაქტიც გააფორმა - **ალექსანდრე კვახაძესა და გიორგი კახელიშვილთან.** ლექსო კვახაძე 27 ივნისს 25 წლისა გახდება, „ვიტ ჯორჯიაში" 2002 წლიდან თამაშობს, ვიტელთა პირველ გუნდში დებიუტი 2005 წელს ჰქონდა. კვახაძემ ეროვნულ ნაკრებში პირველად **კლაუს ტოპმიოლერის** მწვრთნელობისას ითამაშა, **ექტორ კუპერი** კი მას რეგულარულად იწვევს ეროვნულ გუნდში და ხშირად სასტარტოშიც ათამაშებს.

კვახაძეს ჯერ წინა სეზონში, პირველი ეტაპის შემდეგ უნდოდა „ვიტ ჯორჯიადან" წასვლა, მაგრამ კლუბმა და გუნდის კაპიტანმა მოილაპარაკეს და თანამშრომლობა სეზონის ბოლომდე გაგრძელდა. ეს ცენტრალური მცველი ერთობ ფასეული ფიგურაა **რამაზ მუმლაძის** გუნდში - შეიძლება ითქვას, დაცვის ბურჯია. ამიტომაც, „ვიტ ჯორჯია" ადვილად ვერ შეელეოდა ასეთ ფეხბურთელს და ახალი კონტრაქტისთვის მოლაპარაკებაც დაიწყო. რაკი ასე მოხდა, ეტყობა, კვახაძეს უცხოეთიდან ხელსაყრელი ვარიანტი არ გამოუჩნდა. კლუბმა და ფეხბურთელმა ერთწლიან კონტრაქტს მოაწერეს ხელი.

რაც შეეხება კახელიშვილს, ის 22 წლის გახლავთ, ფლანგზე მოთამაშე შემტევია, ასეთი ფეხბურთელი კი „ვიტ ჯორჯიას" მართლაც აკლდა. ვერ გეტყვით, გახდება თუ არა კახელიშვილი ვიტელებისთვის ახალი **ოთარ მარცვალაძე**, თუმცა ამის შანსი ნამდვილად ეძლევა. კახელიშვილი „ვიტ ჯორჯიაში" თბილისის „ლოკომოტივიდან" გადავიდა. ამ ცოტა ხნის წინათ, გიორგი ყაზახეთში აპირებდა კარიერის გაგრძელებას...

მას საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებშიც უთამაშია, **ექტორ კუპერის** თვალთახედვის არეშიც მოხვდა და არგენტინელს „სამშაბათობაზეც" ჰყავდა მიწვეული. კახელიშვილს აქვს წინსვლის პერსპექტივა - „ვიტ ჯორჯია" მხოლოდ ასეთ ფეხბურთელებს იმატებს სხვა გუნდებიდან. ჩემპიონს აქვს იმის გამოცდილება, რომ არ შეცდეს ახალი მოთამაშეების აყვანაში და, ალბათ, არც კახელიშვილი იქნება გამონაკლისი. „ვიტ ჯორჯიამ" მასთან 3-წლიანი კონტრაქტი გააფორმა.

დავით თავართქილაძე

მწვრთნელი

# სვანაძე: ინტერში? არა, ბატონო, თბილისში ვარ!



„აზერისპორტმა" კიდევ ერთი „აღმოჩენა" გააკეთა - პოპულარული, თუმცა კი უცნაური ინფორმაციებით განთქმული ინტერნეტგაზეთის ინფორმაციით, **კახა ცხადაძემ** ბაქოს „ინტერში" ასისტენტად **ზაურ სვანაძე** წაიყვანა. ერთი შეხედვით, შეიძლება ლოგიკურიც ყოფილიყო ცხადაძის ეს ნაბიჯი, რაკი სვანაძე ახალგაზრდულში მისი თანაშემწე გახლდათ, მაგრამ აი, რა გვითხრა თავად ბატონმა ზაურმა: *„რაო, ბაქოშიაო? მე არაფერი ვიცი და „აზერისპორტმა" საიდან გაიგო?! სიმართლე ისაა, რომ თბილისში ვარ, ახალგაზრდულ ნაკრებში ვმუშაობ და ბაქოს „ინტერში" არავის დავუნიშნივარ".*

თუმცა სვანაძეს ის კი არ უარყვია, რომ ცხადაძემ ბაქოში მუშაობა შესთავაზა. მოკლედ, ჯერჯერობით სვანაძე აზერბაიჯანში არ წასულა და რა იქნება მერე, გამოჩნდება...

მერაბ მამულაშვილი

სიონი

# მეტი ნამსვლელი, ნაკლები ხელფასი

## სიონი ოლიმპის ფარმკლუბი არ იქნებაო...



ოთარ კორღალიძე

XX ეროვნულ ჩემპიონატში ბოლნისის „სიონს" ერთ-ერთი გამორჩეული შემადგენლობა ჰყავდა, მაგრამ **ოთარ კორღალიძის** გუნდს საერთო ჯამში სტაბილურობა აკლდა და ამიტომაც იყო, მხოლოდ მე-5 ადგილს რომ დასჯერდა.

სეზონი დასრულდა და „სიონი" არაერთმა ფეხბურთელმა დატოვა. ფორვარდმა **კოკა მიკუჩაძემ** და ნახევარმცველმა **ზაზა ჭელიძემ** რუსთავის „ოლიმპს" მიაშურეს, თავდამსხმელმა **რევაზ გოცირიძემ** კი ამხანაგურ შეხვედრაში სულაც აზერბაიჯანული „სიმურგის" რიგებში ითამაშა... გარდა ამისა, ცნობილი გახდა, რომ ბოლნისელთა კლუბს უწინდელივით აღარ დააფინანსებენ. რაც ფეხბურთელებს გასულ სეზონში ჰქონდათ, ფაქტობრივად, იმის ნახევარი ჯამაგირი შესთავაზეს. აქედან მოდის, ალბათ, ხმები - „სიონი" „ოლიმპის" ფარმკლუბი გახდებაო. ბოლნისელთა მთავარ მწვრთნელ **ოთარ კორღალიძეს** პირველ რიგში სწორედ ამაზე ვკითხეთ.

*„ამას რეალობასთან არანაირი კავშირი არ აქვს. მსგავსი ხმები გასული ჩემპიონატის დროსაც გავრცელდა, მაგრამ ხომ აღმოჩნდა, რომ ეს მხოლოდ ჭორი იყო? „ოლიმპს" ჩემპიონატში 5 ქულა წავართვით და თუ ფარმკლუბი ვართ, წავართმევდით?! მესამე ადგილზე გასული „ოლიმპი" „დინამოს" 6 ქულით ჩამორჩა. ჩვენ მიერ წართმეული 5 ქულა რომ ჰქონოდა უკვე ვიცე ჩემპიონობისთვის რეალურად იბრძოლებდა. ასე რომ, ეს მხოლოდ ჭორია და სიმართლესთან კავშირი არ აქვს",* - გვითხრა კორღალიძემ.

ბუნებრივია „სიონის" თავკაცს იმ ფეხბურთელებზეც ვკითხეთ, რომლებიც სხვადასხვა გუნდში გამოჩნდნენ. ბოლნისელთა დამრიგებელმა გუნდიდან წასულთა ვინაობაც გაგვანდო და იმ ფეხბურთელებზეც გვითხრა, რომელთა აყვანაც სურთ.

*„ნახევარმცველი ზაზა ჭელიძე რუსთავის „ოლიმპს" ვათხოვეთ, მაგრამ მხოლოდ ევროპის ლიგაზე საასპარეზოდ. ღმერთმა ქნას, „ოლიმპმა" ევროპის ლიგაზე დიდხანს ითამაშოს, მაგრამ ამ გათამაშებას რომ გამოეთიშება, ჭელიძესაც დავიბრუნებთ. მის გარდა, წავიდა კახა ალადაშვილი, რომელმაც მოთამაშის კარიერა დაასრულა. თავდამსხმელმა რევაზ გოცირიძემ მართლაც ითამაშა „სიმურგის" რიგებში, მაგრამ ეს ჩვენთან შეთანხმებული იყო. "სიონი" შაბათს შეიკრიბა. ავადმყოფობის გამო ვარჯიში მე ვერ ჩავატარე, მაგრამ ვიცი და გეტყვით იმ ფეხბურთელების ვინაობას, ვინც გუნდი დატოვა - ირაკლი შენგელია, ლევან შავგულიძე, ლადო კაკაშვილი, სულიკო დავითაშვილი, რევაზ გოცირიძე, კობა შალამბერიძე უკვე წავიდნენ. ჯაბა მუჯირი ირანში გააგრძელებს კარიერას. გივი დიდავასაც წასვლა უნდა. იმასაც გეტყვით, რომ 3 ახალი ფეხბურთელი ვარჯიშობს ჩვენთან - ფორვარდი გია იმედაძე, ნახევარმცველი გიორგი ვაშაკიძე, რომელიც „მესხეთში" გამოდიოდა, და რომან ახალკაცის ძმა ვლადიმერ ახალკაცი. გვინდა, ეს ფეხბურთელები დავიმატოთ".*

ცხადია, გვაინტერესებდა „სიონის" ფინანსური მდგომარეობაც, რაზეც კორღალიძემ ეს გვითხრა: *„ვინც გუნდში დარჩება, გასულ სეზონთან შედარებით, ფაქტობრივად, განახევრებულ ხელფასზე მოუწევს დათანხმება. ვისაც ეს პირობები დააკმაყოფილებს, ხომ კარგი, ვინც არა და, სხვა გუნდში გადასვლაში ხელს არ შევუშლით. რაც შეეხება დავალიანებას, მისი ნაწილი ივნისის ბოლოს ჩაირიცხება ანგარიშზე, დანარჩენი კი 15 ივლისს. ასე რომ, მოთამაშეები კუთვნილ ანაზღაურებას სრულად მიიღებენ. ამ სეზონში შარშანდელივით ძლიერი ფინანსები და შემადგენლობა არ გვეყოლება, მაგრამ დიდი შანსია გაისად, სეზონის მეორე ნახევარში დაფინანსება გაგვეზარდოს და გუნდიც გავაძლიეროთ. მანამდე კი, რაც შეიძლება ბევრი ქულა უნდა დავაგროვოთ".*

დაბოლოს, კორღალიძე რამდენიმე დღით თურქეთში იმყოფებოდა. ამან კი მორიგი ჭორი ააგორა - შესაძლოა, „სიონის" მწვრთნელმა ერთ-ერთი თურქული გუნდი ჩაიბაროსო. კორღალიძემ განმარტა, რომ მსგავსი არაფერი ხდება და სამეზობლოში მხოლოდ დასასვენებლად იყო წასული.

დავით ცაბაძე

ეროვნული ნაკრები

# ქუპერს ბოკა ხუნიორსი ეპატიჟება

## ნაკრების თავკაცის დიდი სია და საუბარი ხოჯავასთან



ექტორ კუპერი (შუაში) და მისი შტაბი

საქართველოს ნაკრების მთავარ მწვრთნელ **ექტორ კუპერს** არგენტინული გრანდი „ბოკა ხუნიორსი" შეეხმიანა და სამსახური შესთავაზა. ეს ცნობა კუპერის ასისტენტმა **ნიკა სახვაძემაც** დაგვიდასტურა. ამჟამად, „ბოკას" მთავარი მწვრთნელი **აბელ ალვეშია**, მაგრამ კლუბის ხელმძღვანელობას შედეგები, რბილად რომ ვთქვათ, არ აკმაყოფილებს (კლაუსურას მიმდინარე გათამაშებაში ბაირესული გრანდი 20-გუნდიან პრიმერა დივიზიონში მე-17 ადგილზეა) და გაცილებით ძლიერი და სახელოვანი მწვრთნელის მიწვევას გეგმავს. როგორც გავიგეთ, „ბოკას" სპორტული დირექტორი, ცნობილი მწვრთნელი **კარლოს ბიანკი** მალიორკაზე მყოფ კუპერს უკვე დაუკავშირდა, თუმცა ამ უკანასკნელმა საქართველოდან წასვლაზე უარი განაცხადა.

*„დიახ, ასეა, „ბოკა ხუნიორსის" შეფები კუპერს ელაპარაკნენ. მე რაც ვიცი, ეს მესამე შემთხვევაა, როცა „ბოკამ" კუპერის გადაბირება სცადა. კუპერმა ისინი კვლავ უარით გაისტუმრა. სხვათა შორის, კუპერის ვაჟი, 22 წლის სანტიაგო, სწორედ „ბოკას" გულშემატკივარია. თავად სენიორ ექტორიც, როცა სამშობლოშია, შვილთან ერთად სისტემატურად ესწრება ლეგენდარული კლუბის მატჩებს. მაგრამ მას არ უყვარს დაწყებული საქმის შუა გზაზე მიტოვება და ამიტომაც თქვა უარი. ისიც დანამდვილებით ვიცი, რომ მას ეს საკითხი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელებთანაც არ დაუყენებია. ისიც ვიცი, რომ კუპერის უარის შემდეგ „ბოკას" უფროსობა ალფიო ბასილეს დაუკავშირდა და ეს ინფორმაცია არგენტინულმა გაზეთებმაც დაწერეს. კუპერს ძალიან უყვარს თავისი საქმე. საქართველოს ნაკრებში მუშაობა, ფეხბურთელებთან ურთიერთობა, ეტყობა, მისთვის ძალიან ბევრს ნიშნავს. მისი მიზანია, ჩვენი ნაკრებით შედეგს მიაღწიოს. თუ ძლიერი გუნდი არ ჩამოყალიბდა, სტაბილურად დადებითი შედეგები არ იქნება. თითო-ოროლა გამონათება და მოგება კი ბევრს არაფერს ნიშნავს",* - უთხრა სახვაძემ „ლელოს".

ამ რამდენიმე დღის წინათ „მიუნხენ 1860"-ის მცველმა **მათე ღვინიანიძემ** ჩვენს გაზეთთან ინტერვიუში თქვა - კუპერს მოვთხოვე, რომ ძირითადში მათამაშოსო. სახვაძე კი ამტკიცებს, რომ მსგავსი საუბარი არ ყოფილა.

*„მე რაც ვიცი, იმას გეუბნებით. კუპერსა და ღვინიანიძეს ამ თემაზე არ ულაპარაკიათ. ასათიანთან იყო საუბარი, ამაზე არაერთხელ დაიწერა და ეს ორივე მხარემ აღიარა, მაგრამ რაც შეეხება ღვინიანიძეს... ერთადერთი სიმართლე მის ინტერვიუში ეს იყო - კუპერმა რუმინეთში მხოლოდ ერთი ტაიმი ათამაშა და შესვენებაზე გიორგი შაშიაშვილით შეცვალა. დანარჩენზე რა გითხრათ... ვიცი, რომ ღვინიანიძე კუპერის სიაშია და ჩემი აზრით, მას კიდევ მიეცემა თავის გამოჩენის შანსი".*

დაგვაინტერესა, რა რეაქცია ჰქონდა კუპერს ნაკრების ბოლო ორი მატჩის შემდეგ: *„მოლდოვასთან წაგების შემდეგ კუპერი გაცეცხლებული იყო - ასეთი გაბრაზებული ის არასდროს მინახავს... ფეხბურთელებს პირდაპირ უთხრა - ვინც ეროვნული გუნდის მაისურით ბოლომდე არ დაიხარჯება, ის ნაკრებში აღარ იქნებაო. მას სხვაგვარად ვერც წარმოუდგენია და სამომავლოდაც ასე იქნება. როგორც თავად თქვა, აქამდე დრო ფეხბურთელების გაცნობას დაუთმო, ახლა კი, ასე ვთქვათ, წმენდას იწყებს. ანუ, ვინც მონდომებული არ იქნება, ეროვნულ ნაკრებში აღარ ითამაშებს. კუპერს ნაკრების წევრ-კანდიდატთა დიდი სია აქვს. ამ ჩამონათვალში ყველა ის ფეხბურთელიცაა, რომლებზეც პრესაში ხშირად წერენ - კუპერი რატომ არ იძახებსო? სხვათა შორის, მას სიაში ჰყავს გოჩა ხოჯავაც, რომელიც ახლა „ანჟიშია" და კარგი პრესა აქვს. კუპერი მის მოწვევასაც აპირებს. საიდუმლოსაც გაგიმხელთ - პირადად მე მქონდა ხოჯავასთან საუბარი... ალბანურ მატჩში ნაკრების მწვრთნელს ძალიან მოეწონა „სკონტოს" ფორვარდი ლადო დვალიშვილი, რომელიც შეტევის გარდა, მეტოქისთვის ბურთის ართმევის ოპერაციებშიც მონაწილეობდა. კუპერს ასევე მოეწონა მეკარე გრიგოლ ბედიაშვილი, მიუხედავად იმ გაშვებული გოლისა".*

სახვაძისგან შევიტყვეთ ისიც, რომ კუპერსა და მის თანაშემწე **ხოსე ფანტაგუცის** შვილებმა საქართველოს ნაკრების მაისურები სთხოვეს. სთხოვეს და მიიღეს კიდეც - როგორც გავიგეთ, ისინი ჩვენი ეროვნული გუნდის პოპულარიზაციას ეწევიან.

*„კუპერმა და ფანტაგუციმ ეს სურვილი პირველად მე გამანდეს. ექტორს ვაჟი - სანტიაგო და ორი ქალიშვილი ჰყავს - 17 და 19 წლის. წარმოგიდგენიათ, ისინიც და ფანტაგუცის შვილებიც თავიანთ ქვეყანაში საქართველოს ნაკრების მაისურებით დადიან. ეს თავად მათ მოითხოვეს, ჩვენ იმ ნაკრებს ვქომაგობთ, სადაც ჩვენი მშობლები მუშაობენო".*

დავით ცაბაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა



ქართული გუნდები ევროტურნირებზე



# დღეს წილისყრაა!

CHAMPIONS LEAGUE · EUROPA LEAGUE

დღეს, შვეიცარიის ქალაქ ნიონში, თბილისის დროით 14 საათზე, 2009/10 წლების ევროპის საკლუბო ტურნირების კენჭისყრა ჩატარდება. ადრეც გაცნობეთ, რომ ახალი სეზონიდან ევროტურნირებმა მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა. უპირველეს ყოვლისა, გაუქმდა ვისთვის - უაზრო, ვისთვის კი... „სახეირო“ გათამაშება - „ინტერტოტოს თასი“! ამას გარდა, უეფას პრეზიდენტი **მიშელ პლატინი** როგორც „შეგვპირდა“, სერიოზულად შეიცვალა ორი დარჩენილი ტურნირიც. თანაც, უეფას თასის სახელწოდებაც შეიცვალა და ამიერიდან „ევროპის ლიგა“ ერქმევა. თუმცა, მარტო სახელის შეცვლაში არ არის საქმე: ჩემპიონთა ლიგაშიც და ევროპის ლიგაშიც, რბილად რომ ვთქვათ, გათამაშების ფორმატი აშკარად გართულებულია! აი, ახლა კი შევეცდებით შეძლებისდაგვარად, მართლაც, სარებუსო ფორმატი „გავშიფროთ“. მნიშვნელოვანი ცვლილებაა ის ფაქტი, რომ ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპი ორად გაიყო - „ჩემპიონთა გზად“ და „უძლიერესთა გზად“. ჩვენთვის უფრო საინტერესო „ჩემპიონთა გზა“ არის - სწორედ აქ უნდა იასპარეზოს „ვიტ ჯორჯიამ“; ოღონდ, საქართველოს ახალი ჩემპიონი გათამაშებაში მეორე საკვალიფიკაციო ეტაპიდან ჩაერთვება. პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე კი... მხოლოდ ოთხი გუნდი მიიღებს მონაწილეობას: „მოგრენი“ (ჩერნოგორია), „სენტ ჯულია“ (ანდორა), „ჰიბერნიანსი“ (მალტა) და „ტრე ფიორი“ (სან-მარინო). აქედან ორი გამარჯვებული ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე გადაინაცვლებს და უეფას საკლუბო რეიტინგში მეჩვიდმეტედან ორმოცდამეცხრეს ჩათვლით ადგილებზე მყოფი ქვეყნების ჩემპიონებს შეუერთდება. ოღონდ, ამ შემთხვევაში ამოქმედდება განთესვის პრინციპი - „ვიტ ჯორჯია“ კი, ისე როგორც ირლანდიის, ბოსნიის, უნგრეთის, მოლდოვის, მაკედონიის, აზერბაიჯანის, ალბანეთის, ყაზახეთის, სომხეთის, უელსის, ჩრდილოეთ ირლანდიის, ფარერების და ლუქსემბურგის ჩემპიონები (პლუს პირველი საკვალიფიკაციო რაუნდის ორი გამარჯვებული), განუთესავთა შორის არის. ახლა კი, „ვეტერინართა“ სავარაუდო მეტოქეების შესახებაც: „კოპენჰაგენი“ (დანია), „ლევსკი“ (ბულგარეთი), „პარტიზანი“ (სერბეთი), „მაქაბი“ (ისრაელი), „დინამო“ (ზაგრები, ხორვატია) „ვისლა“ (პოლონეთი), ბატე (ბელარუსი), „ზალცბურგი“ (ავსტრია), „კალმარი“ (შვედეთი), აპოელ (კვიპროსი), „სტაბეკი“ (ნორვეგია), „სლოვანი“ (სლოვაკეთი), „ვენტსპილსი“ (ლატვია), „მარიბორი“ (სლოვენია), „ჰაფნარფიორდური“ (ისლანდია), „ინტერი“ (ფინეთი) და „ეკრანასი“ (ლიტვა). ამ 17 სავარაუდო მეტოქიდან რომელია ჩვენი ჩემპიონისთვის სასურველი და რომელი - არა, დასკვნის გაკეთება თქვენთვის მოგვინდვია. აქვე შეგახსენებთ, რომ ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის პირველი შეხვედრები 14-15 ივლისს ჩატარდება, განმეორებითი კი 21-22 ივლისს.

ამ ჩვიდმეტ წყვილში გამარჯვებული გუნდები „ჩემპიონთა გზის“ მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე გავლენ, სადაც მათ უეფას საკლუბო რეიტინგში მე-14-მე-16 ადგილებზე მყოფი ქვეყნების ჩემპიონები დაემატებათ: „ოლიმპიაკოსი“ (საბერძნეთი), „სლავია“ (ჩეხეთი), „ციურიხი“ (შვეიცარია). 20 გუნდი 10 წყვილს შექმნის და მესამე ეტაპის შეხვედრები 28-29 ივლისსა და 4-5 აგვისტოს ჩატარდება. ათი გამარჯვებული კი უკვე... ფლეი-ოფში გააგრძელებს ასპარეზობას და აი, იქ გამარჯვებული ხუთი გუნდი მიიღებს კიდეც... ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის საგზურს! მოკლედ, ჯგუფური ეტაპის საგზურის მოსაპოვებლად „ვიტ ჯორჯიას“ სამი ეტაპის გავლა დასჭირდება. ოღონდ, ნამდვილად დიდი შეღავათია, რომ ამ დიდი წარმატების მისაღწევად საქართველოს ჩემპიონი გზად არ გადაეყრება: ინგლისის, ესპანეთის, გერმანიის, იტალიის, ჰოლანდიისა თუ პორტუგალიის „ბობოლებს“. იმიტომ, რომ ეს გუნდები „პარალელურად“ ანუ, „უძლიერესთა გზით“ შეეცდებიან ჯგუფური ეტაპის საგზურის მოპოვებას. „უძლიერესთა გზის“ სქემაზე დაწვრილებით აღარ შევჩერდებით; მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ არის დიდი ალბათობა, ჯგუფურ ეტაპამდე ვერ მიაღწიონ: „არსენალმა“ თუ „შახტარმა“, „სელტიკმა“ თუ „პანათინაიკოსმა“, „ლიონმა“ თუ „შტუტგარტმა“, „ფიორენტინამ“ თუ „ატლეტიკომ“. სამაგიეროდ, ჯგუფური ეტაპის საგზური განაღდებული აქვთ ყაზანის „რუბინსა“ და რუმინულ „უნირეას“!

არანაკლებ რთული ფორმატი აქვს „ევროპის ლიგის“ გათამაშებასაც: აქ, ჯერ ოთხი საკვალიფიკაციო რაუნდი ჩატარდება, მერე ჯგუფური ტურნირი (4-გუნდიანი 12 გუნდი იქნება) და შემდეგ უკვე პლე-ოფი.

პირველ საკვალიფიკაციო რაუნდში იასპარეზებს 46 გუნდი; აქედან სამი („რუსენბორგი“, „მოზერველი“ და „რანდერსი“) „ფეირ პლეიდან“ მოხვდა, დანარჩენი 43 კი უეფას რეიტინგში შედარებით დაბალ ადგილზე მყოფი ქვეყნების მეორე და მესამეადგილოსნები არიან. აქაც განთესვის პრინციპია და რუსთავის „ოლიმპი“ და „ზესტაფონი“ განთესილებში მოხვდნენ. ანუ, შედარებით ძლიერ მეტოქეებს პირველ საკვალიფიკაციო რაუნდში არ უნდა ველოდოთ. აი, „ოლიმპისა“ და „ზესტაფონის“ სავარაუდო მეტოქეებიც: „ინტერი“, „სიმურგი“ (ორივე აზერბაიჯანი), „მიკა“, „ბანანცი“ (ორივე სომხეთი), „ირტიში,“ „ოკჟეტპესი“ (ორივე ყაზახეთი), „ვალეტა“, „ბირკირკირა“ (ორივე მალტა), „ბუდუჩნოსტი“, „სუტიესკა“ (ორივე ჩერნოგორია), „კიორჟინგი“, „გრევენმახერი“ (ორივე ლუქსემბურგი), ბ 36, ნსი (ორივე ფარერები), „ლინფილდი“, „ლისბურნი“ (ორივე ჩრ. ირლანდია), ტნს, „ლანელი“ (ორივე უელსი), „ვლაჟნია“, „დინამო“ ტირანა (ორივე ალბანეთი), „ნარვა“, „კალევი“ (ორივე ესტონეთი), „რენოვა“ (მაკედონია).

ევროპის ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის პირველი შეხვედრები 2 ივლისს ჩატარდება, განმეორებითი - 9 ივლისს.

პირველ ეტაპზე გამარჯვებული 23 გუნდი ჩაერთვება მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე, სადაც დაემატებათ 57 გუნდი (უმრავლესობა - საკუთარი ქვეყნის თასი მფლობელები არიან). სწორედ აქედან დაიწყებს ასპარეზობას თბილისის „დინამო“; თანაც, „ბაზელის“, „გალათასარაის“, „გენტისა“ თუ სხვა ცნობილი გუნდების მსგავსად, „დინამოც“ განთესილთა შორის იქნება.

მეორე საკვალიფიკაციო რაუნდის მატჩები კი 16 და 23 ივლისს ჩატარდება.

**გია ტუხაშვილი**

ზესტაფონი — ამხანაგური მატჩი

# დარია თუ ავდარია...

## ზესტაფონი და პოლონია ფრეს ვერ ასცდნენ

სლოვენიურ შეკრებაზე მყოფმა „ზესტაფონმა“ პოლონურ „პოლონიასთან“ მეორე საკონტროლო მატჩი გამართა. შეხვედრა 2:2 დასრულდა. შეგახსენებთ, რომ ამ რამდენიმე დღის წინათ ეს გუნდები უკვე შეხვდნენ ერთმანეთს, თუმც ოდენ 55 წუთით - პოლონელებმა თამაში მიატოვეს (როცა ანგარიში 1:1 იყო) და ეს უამინდობას დააბრალეს.

ფეროელებმა გუშინ ასეთი შემადგენლობით ითამაშეს: **ნ. კვასხვაძე, თოდუა, ხიდეშელი (46. ლობჟანიძე), გ. ონიანი, ელიავა (72. მაკარიანი), ძარია (72. ჭანკოტაძე), გორგიაშვილი (46. ბენაშვილი), გრიგალაშვილი (85. გურაბანიძე), აფციაური (60. ნ. კვასხვაძე), დვალი (81. ჩიხლაძე), გელაშვილი (60. იონანიძე).**

პირველი გოლი გაიტანა **შოთა გრიგალაშვილმა**, ვინც გუშინ 23 წლის გახდა. პირველი ტაიმის მიწურულს ანგარიში **ადრიან მირჟიევსკიმ** გაათანაბრა. 86-ე წუთზე ვარშაველები **ფილიპ ივანოვსკიმ** დააწინაურა, წერტილი კი ბოლო წუთზე **ნიკოლოზ ჩიხლაძემ** დასვა.

მომდევნო საკონტროლო შეხვედრას „ზესტაფონი“ ხვალ, სლოვენიის ჩემპიონ „მარიბორთან“ გამართავს.

და ერთიც: დღეს ნიონში ევროტურნირების წილისყრა გაიმართება და სლოვენიიდან გუშინ იქ „ზესტაფონის“ პრეზიდენტი **ილია კოკაია** გაემგზავრა. ფეროელები ევროპის ლიგაში თამაშს პირველი საკვალიფიკაციო ეტაპიდან დაიწყებენ.

**დავით თავართქილაძე**

გზაგასაყარზე

# კუტალიას დილემა: ბოსნია თუ საქართველო?

## ქართველ ნახევარმცველს თურქეთის ვიცე-ჩემპიონში ელიან



ლევან კუტალია

ორი დღის წინათ **ლევან კუტალია** ბოსნიაში გაემგზავრა. ის მალე გადაწყვეტს, რომელი ქვეყნის საფეხბურთო ნაკრების მაისურას მოირგებს - საქართველოსი თუ ბოსნიის. სარაევოს „სლავიას“ 20 წლის ქართველ ნახევარმცველს, რომლის დუბლის წყალობითაც კლუბმა ქვეყნის თასი მოიპოვა, ბოსნიის ახალგაზრდულ და ეროვნულ ნაკრებში გამოსვლის პერსპექტივა გაუჩნდა. არადა, მისით ჯერ **კახა ცხადაძე**, ბოლოს კი **ოთარ გაბელიაც** დაინტერესდნენ და საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში თამაში შესთავაზეს.

*„მძიმე მდგომარეობაში აღმოვჩნდი. გარანტიას მაძლევენ, რომ ბოსნიის ახალგაზრდულ ნაკრებში ყველა შეხვედრას ჩავატარებ. ეს მათი ეროვნული გუნდის მთავარი მწვრთნელის, მიროსლავ ბლაჟევიჩის მოთხოვნაა, რომელსაც სურს, ჯერ ახალგაზრდულში დამაკვირდეს. პირადად მელაპარაკა - ჯერ სანაკრებო დონეს შეეგუე და ორი-სამი შეხვედრის შემდეგ ეროვნულში გადაგიყვანო. ბოსნიის ეროვნული გუნდი კი შესარჩევ ციკლში მეორე ადგილზეა, ძალიან კარგი ნაკრებია და მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასვლის სერიოზული შანსიც აქვს“*, - გვითხრა კუტალიამ.

რაც შეეხება საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებს, კუტალია აცხადებს, რომ გაბელია მას 21-წლამდელთა მწვრთნელად დანიშვნის დღესვე დაუკავშირდა: *„მან დამირეკა და მითხრა - საქართველოს სჭირდებიო... არც ვიცი, რა გადაწყვეტილებას მივიღებ. კიდევ ერთხელ გავაანალიზებ სიტუაციას, მენეჯერსაც დაველაპარაკები... გაბელიას ვუთხარი, უახლოეს დღეებში დაგიკავშირდებით და გეტყვით, რა გადაწყვეტილებასაც მივიღებ-მეთქი. ჩვენი ახალგაზრდული ნაკრები 26 აგვისტოს ლიტვას ხვდება, შემდეგ კი უკვე შესარჩევ ჯგუფში - ირლანდიასა და თურქეთს. თუმცა მოსაფიქრებლად დრო ცოტა მაქვს. ბოსნიელები იმის საბუთს ითხოვდნენ, რომ არც ერთ ნაკრებში არ მითამაშია. ჩემდა გასაკვირად, ფედერაციაში მითხრეს, 18-წლამდელებში გაქვს ნათამაშებიო. რა სისულელეა, არასდროს არც ერთ ნაკრებში არ მითამაშია და სულ ამაზე მწყდებოდა გული“.*

ლევანის საკლუბო კარიერაშიც სერიოზული წინსვლაა მოსალოდნელი - შესაძლოა, მან კარიერა თურქეთის ვიცე-ჩემპიონ „სივასფორში“ გააგრძელოს:

*„მენეჯერისგან შევიტყვე, რომ ჩემით თურქეთის ვიცე-ჩემპიონი „სივასფორი“ ყოფილა დაინტერესებული და ტრანსფერიც რეალურია. თან ისიც მითხრეს - შეიძლება, 2 კვირით ჰოლანდიურ შეკრებაზეც გაჰყვე გუნდსო. თუმცა საკითხი ჯერ გადაწყვეტილი არ არის. თუ „სლავიაში“ დავრჩი, არ არის გამორიცხული, ევროპის ლიგაში თბილისის „დინამოს“ შევხვდეთ. ეს ბოსნიელებმა მითხრეს. ძალიან მინდა, ასეც მოხდეს, კარგად ვითამაშო და საქართველოში ბევრს დავუმტკიცო, რომ წლების განმავლობაში ტყუილად არ მაქცევდნენ ყურადღებას“.*

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონერი

# მუჯირი ირანში დაბრუნდა



ჯაბა მუჯირი

**ჯაბა მუჯირმა** ირანში, ისპაჰანის „სეპაჰანში“ 3 წელიწადი ითამაშა. მერე პრობლემები შეექმნა - გუნდში მწვრთნელი შეიცვალა და ჩვენებურს უთხრეს, აღარ გვჭირდებიო. ჯაბამ კონტრაქტით გათვალისწინებული თანხა მოითხოვა, მაგრამ კლუბი ფულის გადახდაზე უარს აცხადებდა. ამის შემდეგ მუჯირმა „სეპაჰანს“ ირანის ფეხბურთის ფედერაციაში უჩივლა და საქმეც მოიგო - ისპაჰანურ კლუბს გარკვეული თანხის გადახდა დაეკისრა, თუმც ჯერ ცენტიც არ მიუცია ჩვენებურისთვის და, შესაძლოა, დავა ფიფაში გაგრძელდეს.

გასულ სეზონისთვის ჯაბა საქართველოში ჩამოვიდა და ბოლნისის „სიონში“ ჩაირიცხა, სეზონის დასრულების შემდეგ კი ახალი გუნდის ძებნას შეუდგა და საქმეს ისეთი პირი უჩანს, ისევ სპარსეთში გააგრძელებს კარიერას. „ისპაჰანის“ შემადგენლობაში ჯაბამ ორჯერ მოიგო ირანის თასი და ერთხელ მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატშიც იასპარეზა. მაშინ „სეპაჰანს“ ხორვატი **ლუკა ბონაჩიჩი** წვრთნიდა, რომელიც ბოლოს გაერთიანებულ საემიროებში მუშაობდა, ახლა კი ირანში დაბრუნდა და იქაურ უმაღლეს ლიგაში ალზევებულ ერთ-ერთ გუნდს ჩაიბარებს. სწორედ ბონაჩიჩი დაუკავშირდა მუჯირს და თავის გუნდში გადასვლა შესთავაზა. ჯაბა ახლა უკვე ირანშია და, როგორც თავად გვითხრა, ახალ კლუბთან კონტრაქტსაც მალე გააფორმებს.

**დავით თავართქილაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონი

# თურქები ზურას ჰავაიდან ელიან



სატრანსფერო ბაზარზე ახლა ყველაზე დიდ სიახლეს **ზურაბ ხიზანიშვილისგან** ველით. საქართველოს ნაკრების ვიცე-კაპიტანი თურქული წყაროების მტკიცებით, „ბლექბერნ როვერსიდან“ „გალათასარაიში“ გადადის. უკვე გაჟღერდა სავარაუდო სატრანსფერო ფასი - ქართველი მცველის სანაცვლოდ თურქული კლუბი 2,5 მილიონ ევროს იხდის. ამ სიახლიდან უკვე რამდენიმე დღე გავიდა, მაგრამ **ფრანკ რაიკაარდის** გუნდს ოფიციალურად ჯერ არ გამოუცხადებია ტრანსფერის შესახებ. მეტიც, „გალათასარაის“ ოფიციალურ საიტზე ჯერ სიტყვაც არ დაწერილა ჩვენებურზე.

თურქული გაზეთები კვლავ აქტიურად განიხილავენ მოსალოდნელ ტრანსფერს, მათი მტკიცებით, ხიზანიშვილის თურქეთში გადასვლას ველარაფერი შეუშლის ხელს, ელოდებიან მხოლოდ თავად ფეხბურთელს, რომელიც ჰავაიზე დასასვენებლად იმყოფებოდა. „ზამანის“ ცნობით, წლეულს „გალათასარაი“ სატრანსფერო თანხის ნაწილს, 1,4 მილიონ ევროს გადაუხდის „ბლექბერნს“.

# გიგიაძე-ბურდული 8:1

სიმფეროპოლის „ტავრიამ“ სეზონისთვის მზადება განაახლა. საკუთარ ბაზაზე გუნდმა ორმხრივი მატჩი გამართა სარეზერვო შემადგენლობასთან. ძირითად გუნდში მე-15 წუთზე ტრავმირებული **მატვეი ბობალის** ნაცვლად მოედანზე **ვასილ გიგიაძე** გამოვიდა. სარეზერვო გუნდის შემადგენლობაში ითამაშა **ლადო ბურდულმა**. თამაში მოულოდნელად დაიწყო, პირველივე წუთზე დუბლები ბურდულმა დააწინაურა, თუმცა ამის შემდეგ ძირითადი შემადგენლობის უპირატესობა აშკარა იყო - 8:1. გიგიაძემ დუბლი შეასრულა. დღეს „ტავრია“ პირველ ამხანაგურ მატჩს გამართავს, მისი მეტოქე ლუცკის „ვოლინი“ იქნება.

ლვოვის „კარპატი“ სეზონისწინა მზადებას უნგრეთში გადის. „კარპატისა“ და „პოლონიას“ შეხვედრა საშინელი ამინდის გამო ჩაიშალა, თუმცა მეორე დღეს **სანდრო გურულის** გუნდმა მაინც გამართა სპარინგი... საკუთარ დუბლებთან. სანდრომ შეუცვლელად ითამაშა, ძირითადმა შემადგენლობამ 5:1 მოიგო, სანდროს გოლი არ გაუტანია.

# ლიტოვჩენკო: ქართველები ჩვენ გვეკუთვნის

კიევის „დინამოს“ ახალმა თავკაცმა **ვალერი გაზაევმა** განაცხადა, რომ **მალხაზ ასათიანი** მის გუნდში არ ითამაშებს: *„ასათიანი კიევში არ იქნება, ეს საკითხი უკვე გადაწყვეტილია“*. შეგახსენებთ, რომ მანამდე თავად ფეხბურთელმა გააკეთა არჩევანი მოსკოვის „ლოკომოტივის“ სასარგებლოდ. საკმაოდ საინტერესო განცხადება გააკეთა „დინამო-2-ის“ მთავარმა მწვრთნელმა **გენადი ლიტოვჩენკომ**. მან ინტერვიუ კიეველთა ოფიციალურ საიტს მისცა. კორესპონდენტი **კახა ალადაშვილის, დავით იმედაშვილისა** და **ოთარ მარცვალაძის** ბედით დაინტერესდა: *„სამივე მათგანი იჯარით თამაშობს, ორი რუსეთში, იმედაშვილი კი უნგრეთში. როდესაც მათ იჯარის ვადა დაუსრულდებათ, ისინი ალბათ კიევში დაბრუნდებიან“*.



მარცხნიდან: კახა ალადაშვილი, ოთარ მარცვალაძე და დავით იმედაშვილი

# კორღალიძე, გოლი+პასი

საკონტროლო მატჩში მოლდოვის ვიცე-ჩემპიონმა და თასის ფინალისტმა „დაჩიამ“ 4:0 მოუგო „სფინტულ გეორგეს“. მესამე გოლი (67-ე წუთზე) **ლევან კორღალიძემ** გაიტანა, მას შემდეგ, რაც **გენადი ორბუმ** რამდენიმე მცველი მოატყუა და ბურთი მას მეკარის ბაქანთან გადააწოდა. მანამდე ლევანმა თავი საგოლე პასით გამოიჩინა. **ჯაბა დვალის** გუნდიდან წასვლის (ჯაბა „ზესტაფონში“ ითამაშებს) შემდეგ „დაჩიაში“ არც **კახა მჟავანაძე** დარჩენილა. ასე რომ, დღეისათვის კორღალიძე კიშინოვური კლუბის ერთადერთი ქართველი ლეგიონერია.



ლევან კორღალიძე

ტირასპოლის „შერიფის“ კაპიტანმა **ვაჟა თარხნიშვილმა** მოლდოვურ საიტ „ფუტბოლს“ განუცხადა, რომ ახალი სეზონის ბოლომდე ფეხბურთის თამაშს აპირებს, შემდეგ კი დაფიქრდება გააგრძელოს თუ დაასრულოს კარიერა: *„ყოველ შემთხვევაში სეზონის შემდეგ უფეხბურთოდ მაინც არ დავრჩები“*. „შერიფმა“ ამხანაგურ მატჩში „ოლიმპია“ 3:1 დაამარცხა. ვაჟა ამ შეხვედრაში მეორე ტაიმში შეცვალეს. აღსანიშნავია, რომ საკონტროლო მატჩს 1,5 ათასი მაყურებელი დაესწრო.

ბელარუსში ევროპის 21-წლამდელთა ჩემპიონატის გამო (სადაც ბელარუსის ნაკრებიც მონაწილეობს) პაუზაა. მინსკის „მტზ-რიპომ“ ამხანაგური მატჩი ითამაშა „გრანიტთან“ - 0:0. ამ შეხვედრაში შუახაზში შეუცვლელად ითამაშა **გივი კვარაცხელიამ**. „მტზ-რიპოს“ საიტზე გაზაფხულის განმავლობაში გუნდის საუკეთესო ფეხბურთელის გამოკითხვაა, რომელშიც 21 პროცენტით ქართველი ლეგიონერი ლიდერობს (10 თამაში, 5 გოლი ჩემპიონატში).

ლატვიურ „დინაბურგში“ კარგად ათამაშდა ქართველი ახალწვეული **ვასილ ლუჭაშვილი** „დაუგავსთან“ 3:0 მოგებულ მატჩში მე-11 წუთზე შეცვალეს. ამის მიზეზი ტრავმაა. *„სამწუხაროდ, ვასომ ტრავმა მიიღო, მან ბარძაყი დაიზიანა. ამის მიზეზი ხელოვნურსაფრიანი მოედანია, ძნელია ასეთ მოედანთან მალე შეგუება, ტრავმიანობაც ხშირია“*, - განაცხადა „დინაბურგის“ მთავარმა მწვრთნელმა **თამაზ პერტიამ**.

დღეს პირველად იკრიბება ქართველთა „დიორი ეტო“, **რატი ალექსიძეს** და **დავით ოდიკაძეს** კლუბის ხელმძღვანელობა ახალ თავკაცს, **ატილა პინტერს** გააცნობს. სლოვაკეთში მზადება დაიწყო „ნიტრამ“, რომლის შემადგენლობაშიც კვლავ გამოჩნდა ქართველი ფორვარდი **ირაკლი ლილუაშვილი**. „ნიტრა“ „დუნაისკა სტრედას“ დაუზავდა - 1:1. ჩვენებურმა სპარინგმატჩის პირველი ტაიმი ითამაშა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# ასიმილაცია?

რუსეთის საფეხბურთო ჩემპიონატებში, პრემიერლიგასა და პირველ დივიზიონში რამდენიმე ქართველი ლეგიონერი თამაშობს, თუმცა მათი დიდი ნაწილი დღეისათვის რუსეთის მოქალაქეა. ჩვენებურები ასეთი მეთოდით თავს არიდებენ ლეგიონერებზე დაწესებულ ლიმიტს, რასაც ხშირად კლუბის მხრიდან დაძალების სახე აქვს (სხვანაირად მათ თამაშის საშუალება არ ეძლევათ). მაგალითისთვის, პრემიერლიგის 16 გუნდიდან ნახევარში ჩვენები თამაშობენ, თუმცა მათი ნაწილი უკვე რუსეთის მოქალაქეა: **გია გრიგალავა** („მოსკვა“), **ლევან გვაზავა** („ტერეკი“), **ალექსანდრე ამისულაშვილი** („სპარტაკი“ ნალჩიკი), **ირაკლი კვეკვესკირი** („ყუბანი“), **ირაკლი ლოგუა** („დინამო“). საქართველოს მოქალაქეობას 7 ფეხბურთელი ინარჩუნებს - სამწუხაროდ, ჯერჯერობით: **დავით კვირკველია, ლაშა სალუქვაძე, ნუკრი რევიშვილი** (ყველა „რუბინი“), **დავით მუჯირი, მალხაზ ასათიანი** (ორივე „ლოკომოტივი“), **ჯანო ანანიძე** („სპარტაკი“) და **გოგიტა გოგუა** („სპარტაკი“ ნალჩიკი).



მიხეილ აშვეთია

პირველ დივიზიონში თუ არ ჩავთვლით ქართული წარმოშობის სამ ფეხბურთელს (მათზე ქვემოთ) ყველა ჩვენებური ერთ გუნდშია თავმოყრილი - მახაჭყალის „ანჟიში“. **ომარ თეთრაძის** გუნდში ქართული შვიდეულია, აქედან მხოლოდ **კახა ალადაშვილი, სანდრო იაშვილი** და **ოთარ მარცვალაძეა** პასპორტით ქართველი. აკი შეექმნათ კიდეც სამუშაო ვიზის აღებაში პრობლემები მათ, ალადაშვილმა რამდენიმე ტური გამოტოვა, მარცვალაძემ და იაშვილმა კი ახლახან მიიღეს ვიზები და „ანჟიში“ ჯერ არ უთამაშიათ. იაშვილმა და მარცვალაძემ გუშინ პირველად ივარჯიშეს „ანჟისთან“ ერთად. რუსეთის მოქალაქეები გახდნენ: **ზურაბ არზიანი, გიორგი ნავალოვსკი, გოჩა ხოჯავა** და **ედიკ საჯაია**. ზემოთ პირველ დივიზიონში მოთამაშე ქართული წარმოშობის სამი ფეხბურთელი ვახსენეთ, ესენია: 29 წლის მცველი **გრიგოლ კენკიშვილი** („ბალტიკა“), 22 წლის ნახევარმცველი **ვლადიმერ გოგბერაშვილი** („ლუჩ-ენერგია“) და 20 წლის ფორვარდი **ანზორ სანაია** („ბალტიკა“).

რუსეთის მეორე დივიზიონში ხუთი ზონაა (დასავლეთი, ცენტრი, სამხრეთი, ურალი, აღმოსავლეთი). ვერ გეტყვით, როგორი საფეხბურთო დონეა ამ ლიგებში, თუმცა ფაქტია, იქაური გუნდების უმრავლესობას ქართულ გუნდებზე უკეთესი ფინანსური პირობები აქვს. ამ ლიგებში უბრალოდ კანონით არის აკრძალული ლეგიონერთა თამაში, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ იქ ჩვენებურები არ თამაშობენ, მათი რიცხვი ზუსტად ოცია, რამდენიმე მათგანი კი საკმაოდ ცნობილია ქართველი გულშემატკივრისთვის. რა თქმა უნდა, მათი ნაწილი რუსეთში გაზრდილი ოდენ ქართული წარმოშობის სპორტსმენია, თუმცა უმეტესობას მაინც ლეგიონერთა აკრძალვის გამო აქვს მოქალაქეობა შეცვლილი. ამათში ყველაზე ცნობილი ბარნაულის „დინამოს“ ქართული დუეტია - **მიხეილ აშვეთია** და **ვალერი აბრამიძე**. ცენტრალური ზონის ერთპიროვნული ლიდერია ბრიანსკის „დინამო“, რომლის შემადგენლობაში კვლავაც უცვლელი სასტარტოა 35 წლის **პაატა ჯინჭარაძე**, რომელსაც თბილისის „დინამოშიც“ უთამაშია.

სოჭის „ჟემჩუჟინას“ კარს 34 წლის **ალექსანდრე ჩიხრაძე** იცავს, რომელსაც ასევე უთამაშია თბილისის „დინამოში“ და რომელიც ერთი პერიოდი საქართველოს ნაკრების პოტენციურ მეკარედ მიიჩნეოდა. საერთოდ „ჟემჩუჟინაში“ ყველაზე მეტი ასეთი ფეხბურთელია მეორე ლიგაში: 18 წლის ნახევარმცველი **ნიკოლოზ ფოცხვერაშვილი** და 26 წლის მცველი **გიორგი მიქაძე** (სწორედ, ის ვისაც რუსეთის ახალგაზრდულ ნაკრებში თბილისში აქვს ნათამაშები). ჩამოვთვლით მეორე დივიზიონის ზონებში გაბნეულ სხვა ქართველებსაც: 23 წლის ფორვარდი **რამაზ ჯაბნიძე** („ზელენოგრადი“), 25 წლის ნახევარმცველი **ნუგზარ კვირტია** („ზნამია“), 22 წლის ნახევარმცველი **მალხაზ ალიბეგაშვილი** („არბინსკი“), 35 წლის ნახევარმცველი **პაატა ბერიშვილი** („სტავროპოლი“), 22 წლის მცველი **ოთარ გოგბერაშვილი** („ტორპედო“ არმავირი), 21 წლის მცველი **გურამ თეთრაშვილი** („ავტოდორი“), 21 წლის ნახევარმცველი **ბესარიონ ზოიძე** („ნარა“), 26 წლის მცველი **რაჟდენ მელქაძე** („გუბკინი“), 18 წლის ნახევარმცველი **ვაჟა რობაქიძე** („კავკაზტრანსგაზი“), 24 წლის მცველი **გიორგი სახვაძე** („დინამო“ სანკტ პეტერბურგი), 24 წლის ნახევარმცველი **ალექსანდრე შუბლაძე** („მაშუკი“), 18 წლის მცველი **დიეგო მალანია** („ზნამია“), 20 წლის მეკარე **გიორგი შელია** („დინამო“ ბრიანსკი). მოკლედ, რუსეთში 40-ზე მეტი ქართველია და მათგან მხოლოდ ათი ინარჩუნებს საქართველოს მოქალაქეობას.

# ფეიქრიშვილი სამი მატჩით დასაჯეს



გიორგი ფეიქრიშვილი

გუშინ ყაზახურ პრემიერლიგაში მე-12 ტურის მატჩები გაიმართა. **ლაშა ჭელიძის** „ჟეტისუ“ „კახაზმისს“ ესტუმრა და 2:2 დაუზავდა. ქართველმა მცველმა შეუცვლელად ითამაშა. ბალხაშში ამ თამაშს 5 ათასი გულშემატკივარი დაესწრო. **გიორგი ფეიქრიშვილის** „ატირაუ“ სტუმრად 1:1 დაუზავდა „თარაზს“. გიორგის დისკვალიფიკაციის გამო არ უთამაშია, მან წინა ტურში წითელი ბარათი მიიღო. ყაზახეთის ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტმა ფეიქრიშვილს განსაკუთრებული უხეშობისთვის სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯა. **ზვიად ჯელაძის** „ვოსტოკმა“ მოუგო „ოკჟეტპესს“ - 1:0. ვეტერან ქართველს არ უთამაშია. „ატირაუ“ 16 ქულით მეექვსე ადგილზეა, ქულით ნაკლები აქვს მე-7 ადგილზე მყოფ „ჟეტისუს“, „ვოსტოკი“ 10 ქულით მე-12 ადგილზეა.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

კონფედერაციათა თასი

A ჯგუფი

# ესპანეთმა მსოფლიო რეკორდი დაამყარა

## წაგების მიუხედავად, ბაფანა-ბაფანა ნახევარფინალში

**ესპანეთი–სამხ. აფრიკა 2:0**

**ესპანეთი:** რეინა, პუიოლი, პიკე, ალბიოლი, არბელოა, ბუსკეტსი, ჩავი, ფაბრეგასი, რიერა (79. კასორლა), ტორესი (60. ლორენტე), ვილია (60. პაბლო ერნანდესი).

**სამხ. აფრიკა:** კუნე, გაქსა, მოკოენა, ბოოთი, მასილელა, პიენაარი, სიბაია (80. მაშეგო), მლონგო, დიკგასოი, მოდისე, პარკერი (90. ჩაბალალა).

**გოლები:** 1:0 ვილია (51), 2:0 ლორენტე (71)

*50-ე წუთზე ვილიამ ვერ გამოიყენა პენალტი*

ესპანეთის ნაკრებმა სამხრეთ აფრიკის დამარცხებით მსოფლიო რეკორდი დაამყარა. სელექსიონმა იმავდროულად ბრაზილიის ეროვნული გუნდის მაჩვენებელი გაიმეორა. მსოფლიო რეკორდი იმაში მდგომარეობს, რომ პირენეელებმა ზედიზედ მე-15 დაპირისპირება მოიგეს. ასეთი შედეგისთვის ადრე არც ერთ სხვა ნაკრებს არ მიუღწევია. მთლიანობაში სელექსიონს აგერ უკვე 35 მატჩი არ წაუგია. ასეთი მაჩვენებლით შაბათამდე მხოლოდ ბრაზილია იწონებდა თავს. აღსანიშნავია, რომ ამ ფანტასტიკური სერიის განმავლობაში ესპანელებმა მსოფლიოს სამი ჩემპიონი, ინგლისი, გერმანია და იტალია დაამარცხეს. ბუნებრივია, ზედიზედ მოპოვებული გამარჯვებები და წაუგებელი სვლა პირველ რიგში იმიტომ ფასობს, რომ ასეთ წარმატებებს ისტორიული შედეგები მოაქვს. როგორც იცით, ერთი წლის წინ სელექსიონმა ევროპის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. კონტინენტის პირველობის შემდეგ პირენეელთა აღმასვლა არ შემწყდარა. ამის დასტურად ის გამოდგება, რომ **ვისენტე დელ ბოსკეს** ბიჭებს 2010 წლის მუნდიალზე ასპარეზობა პრაქტიკულად განაღდებული აქვთ. დაგვეთანხმებით, ეს ყველაფერი მართლაც ფენომენალური წარმატებაა. მიუხედავად იმისა, რომ ესპანეთის ნაკრებს სამხრეთ აფრიკასთან თამაშის ხარისხის თვალსაზრისით საუკეთესო ორთაბრძოლა ნამდვილად არ ჩაუტარებია, მსოფლიოს წამყვანი მიმომხილველების თვალში ყველაზე მოდური და ძლიერი გუნდის იმიჯით სრულიად სამართლიანად სარგებლობს.

ესპანელი ჟურნალისტები თავად აღიარებენ, რომ ეროვნულმა გუნდმა შაბათს სხვა მატჩებთან შედარებით უსახურად იასპარეზა, მაგრამ ისინი რეკორდითა და წარმატებული სვლის ბრწყინვალებით ტკბებიან. მით უმეტეს, სეზონის ამ მონაკვეთში, როცა ფეხბურთელებს საკლუბო მარათონის შემდეგ დასვენების საშუალება პრაქტიკულად არ მისცემიათ, საუკეთესო თამაშის მოთხოვნა მიამიტობა ან მაქსიმალისტობა იქნებოდა დიახ, სამხრეთ აფრიკას დიადი ნაკრები არ ჰყავს, მაგრამ ტურნირის მასპინძლები ფიზიკურად საკმაოდ ძლიერები არიან და გასაკვირი არ არის, რომ მომქანცველი საკლუბო სეზონით გათანგულმა ესპანელებმა საფეხბურთო სპექტაკლი ვერ დადგეს. ისინი ნახევარფინალში ისედაც გასული იყვნენ, მაგრამ რეკორდის ხათრით თავს ძალა დაატანეს და დამაჯერებლად გაიმარჯვეს. სამი ქულის მომტანი გოლები **ვილიამ** და **ლორენტემ** გაიტანეს.

ვისენტე დელ ბოსკე შეხვედრის შედეგით კმაყოფილი დარჩა: *„გამარჯვებითა და რეკორდის დამყარებით ძალიან ბედნიერი გახლავართ. სამხრეთ აფრიკაში ტურნირის მოსაგებად ჩამოვედით. ამ მიზნისკენ ნაბიჯ-ნაბიჯ მივიწევთ. ჩემთვის არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, ნახევარფინალში ვინ შეგვხვდება. ჩემი აზრით, ნებისმიერ შემთხვევაში მძიმე ბრძოლის გადატანა მოგვიწევს. ასე რომ, ამ საკითხს ჩემთვის დიდი მნიშვნელობა მართლა არ აქვს. მთავარია, რომ წარმატებით ვასპარეზობთ და დასახული მიზნისკენ მივიწევთ. ნახევარფინალამდე ნაყოფიერად უნდა დავისვენოთ. ბევრი დრო არ გვაქვს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ბიჭები ძალების მოკრებას მოასწრებენ და ნახევარფინალშიც გაიმარჯვებენ. ესპანეთის ნაკრებმა ისტორიულ წარმატებას უკვე მიაღწია, მაგრამ წარმატებათა სერია უნდა გაგრძელდეს. ჩვენ ახლა სწორედ ამ პროცესში ვართ და ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რათა ეს სვლა არ შეწყდეს და კონფედერაციათა თასის მოგებით სელექსიონის მუზეუმი გავამდიდროთ“.*

### უგოლოდ დაასრულეს

**ერაყი–ახალი ზელანდია 0:0**

**ერაყი:** ქასიდი, შაქერი, ქარეემი, ჰუსეინი, აბასი, მაჰდი (67. სალი), აქრამი, ჰავარი (46. ფარეედი), ქარარი, ემადი (56. ზაჰრა), იოუნისი.

**ახ. ზელანდია:** მოსი, ლოჩედი, სკოტი (85. მულიგანი), სიგმუნდი (71. ბოიენსი), ვისელიჩი, ელიოტი, ბერთოსი, ბრაუნი, ბრუკი (68. კრისტი), კილენი, შმელტსი.

ესპანეთთან სამხრეთ აფრიკის წაგება ერაყის ნაკრებს კონფედერაციათა თასის ნახევარფინალში გასვლის შანსს აძლევდა. ეს ნამდვილი სენსაცია იქნებოდა, მაგრამ **ბორა მილუტინოვიჩმა** და მისმა ბიჭებმა საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე ზრუნვას იმდენი ენერგია შეალიეს, რომ ახალზელანდიელთა კარის დალაშქვრა და გამარჯვება აუხდენელი ოცნება აღმოჩნდა. არადა, ერაყელთა მოწინააღმდეგეს მომდევნო ეტაპზე გასვლის შანსი უკვე დაკარგული ჰქონდა. მიუხედავად ამისა, არაბებმა უმოტივაციო მეტოქეს მაინც ვერაფერი დააკლეს. აღსანიშნავია, რომ ტურნირი ორივე გუნდმა უგოლოდ დაასრულა.

ბორა მილუტინოვიჩმა მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე ასეთი რამ განაცხადა: *„ჩვენ ძალიან კარგად გვესმოდა, რომ ნახევარფინალში გასვლის შანსი გვქონდა. მართალია, ესპანეთს ამოცანა ნაადრევად ჰქონდა გადაჭრილი, მაგრამ დარწმუნებული ვიყავი, რომ პირენეელები მოედანზე მაინც მოსაგებად გავიდოდნენ. მოკლედ, მე და ჩემს ფეხბურთელებს მშვენივრად გვესმოდა, რომ ნახევარფინალში თამაშის რეალური შესაძლებლობა გვქონდა. უნდა ვაღიარო, რომ ამ შანსმა დაგვთრგუნა. ეს განსაკუთრებით თვალში საცემი პირველ ნახევარში იყო. შესვენების შემდეგ ბევრად უკეთ ავთამაშდით, მაგრამ გოლის გატანა ვერ შევძელით. მიუხედავად ამისა, ტურნირით კმაყოფილი ვარ. ჩვენ მხოლოდ პლანეტის საუკეთესო ნაკრებთან წავაგეთ. რაც მთავარია, კონფედერაციათა თასზე ასპარეზობით ფასდაუდებელი გამოცდილება შევიძინეთ“.*



ვილიას გოლი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 3 | 3 | 0 | 0 | 8-0 | 9 |
| სამხ. აფრიკა | 3 | 1 | 1 | 1 | 2-2 | 4 |
| ერაყი | 3 | 0 | 2 | 1 | 0-1 | 2 |
| ახ. ზელანდია | 3 | 0 | 1 | 2 | 0-7 | 1 |

B ჯგუფი

# სკუადრა აძურას ერთი გოლი გადაარჩენდა...

## საფეხბურთო სამყარო ბრაზილიისა და ესპანეთის ფინალს ელოდება



დოსენას ავტოგოლი

**იტალია–ბრაზილია 0:3**

**იტალია:** ბუფონი, ძამბროტა, კანავარო, კიელინი, დოსენა, პირლო, დე როსი, მონტოლივო (46. პეპე), კამორანეზი, ტონი (56. ჯილარდინო), იაკუინტა (37. როსი).

**ბრაზილია:** ჟულიო სეზარი, ა. სანტოსი, მაიკონი, ლუსიო, ჟუანი (23. ლუიზაო), ჟილბერტო სილვა (83. კლებერსონი), კაკა, ლუიშ ფაბიანო, რობინიო.

**გოლები:** 0:1 ლუიშ ფაბიანო (37), 0:2 ლუიშ ფაბიანო (43), 0:3 დოსენა (44-საკ. კარში)

იტალიის ნაკრებმა კონფედერაციის თასზე ასპარეზობა ძალიან უსახურად და შეიძლება ითქვას, სამარცხვინოდ დაასრულა. მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონებს ბრაზილიასთან მატჩში სამი გოლის გაშვების შემდეგ ნახევარფინალში გასასვლელად ერთი ბურთის გატანა სჭირდებოდათ, მაგრამ **მარჩელო ლიპის** შეგირდებმა ამ ამოცანას თავი ვერ გაართვეს. ანგარიშიდანაც ჩანს, რომ სელესაო სოლიდურ უპირატესობას ფლობდა. ბრაზილიელებმა განსაკუთრებით კარგად პირველ ტაიმში ითამაშეს. ამ 45 წუთს პირობითად პენტაკამპეონების მიერ ჩატარებული მასტერკლასი შეგვიძლია დავარქვათ. აშკარად თვალში საცემი იყო, რომ იტალია გადამწყვეტ ორთაბრძოლას მოუმზადებელი შეხვდა. ახლა ზუსტი მიზეზების დადგენა ძალიან რთულია, თუმცა ფაქტია, რომ სკუადრა აძურას სერიოზული პრობლემები აქვს. ამ გუნდს ყველაზე ხშირად კატენაჩოს გამო აკრიტიკებდნენ, მაგრამ კატენაჩოში დასაძრახი არაფერია. ეს სწორედ ის მიმდინარეობა და სტილია, რომელმაც იტალიის ეროვნულ გუნდს ყველაზე პრესტიჟული ტიტულები მოუტანა. აპენინელები ახლა სრულიად გაუგებარ ფეხბურთს თამაშობენ და შესაბამის შედეგებსაც იმკიან. დიდი პრობლემების მიუხედავად, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ იტალია მაინც იტალიაა და ადრე თუ გვიან მისთვის დამახასიათებელ სტილსა და ბრწყინვალებას აუცილებლად დაიბრუნებს. მანამდე კი მარჩელო ლიპიმ და მისმა შეგირდებმა უნდა აღიარონ, რომ ბრაზილია ბევრად უფრო ძლიერი გუნდია.

როგორც გითხარით, სელესაო განსაკუთრებით პირველ ტაიმში დომინირებდა. სამხრეთამერიკელებმა **ჯიჯი ბუფონის** კართან მრავალი საგოლე მომენტი შექმნეს. გენიალურ მეკარეს სამუშაო თითქმის მთელი შეხვედრის განმავლობაში არ მოჰკლებია. რამდენიმე ეპიზოდში ევროპელები ძელმა იხსნა. **კარლოს დუნგას** ბიჭებმა უშედეგო იერიშების შემდეგ შეტევა გააძლიერეს და მშვენიერ შედეგს მიაღწიეს. 37-ე წუთზე **ლუიშ ფაბიანომ** მცველების შეცდომით ისარგებლა და ანგარიში გახსნა. სხვათა შორის, სამხრეთამერიკელთა მომდევნო ორი გოლიც მცველების მიუტევებელი შეცდომების ბრალი იყო. „სევილიის“ ფორვარდმა 43-ე წუთზე დუბლი შეასრულა. ფაბიანოს კონფედერაციათა თასზე სამი გოლი დაუგროვდა და ამ მაჩვენებლით **დავიდ ვილიასა** და **ფერნანდო ტორესს** გაუთანაბრდა. ამ შეხვედრის ბოლო ბურთი კი **დოსენას** ანგარიშზე ჩაიწერა. ისევ და ისევ მცველების უხეში შეცდომის გამო ბრაზილიელებმა შეტევაში რიცხობრივი უპირატესობა მოიპოვეს. **რობინომ** ფლანგიდან ჩააწოდა. სასოწარკვეთილმა დოსენამ ბურთის კუთხურზე გადაგდება მოინდომა, მაგრამ შეცდა და ავტოგოლი მიითვალა. იტალიას ასეთი საშინელი პირველი ტაიმი 1957 წლის შემდეგ არ ჰქონია. მაშინ სკუადრა აძურა იუგოსლავიასთან გამანადგურებელი ანგარიშით 1:6 დამარცხდა. ბრაზილიასთან **ფაბიო კანავარომ** რიგით 126-ე სანაკრებო დაპირისპირება ჩაატარა და **პაოლო მალდინის** რეკორდი გაიმეორა, თუმცა „იუვენტუსის“ მცველი წუხელ ამ მიღწევით ნამდვილად ვერ იამაყებდა. დასამალი არ არის, რომ იტალიის ფიასკო დიდწილად სწორედ კანავაროს შეცდომების გამოძახილია. აქვე შეგახსენებთ, რომ ბრაზილიამ კონფედერაციათა თასის ჯგუფური ეტაპის სამ შეხვედრაში ერთბაშად 10 გოლი გაიტანა. ეს ფაქტი სელესაოს უდიდეს შემტევ პოტენციალზე მეტყველებს. სამხრეთი აფრიკა, ალბათ, პენტაკამპეონების მორიგი მსხვერპლი გახდება. ბაფანა ბაფანა ტურნირის მასპინძელია, მაგრამ დუნგას ბიჭები ეშხში შევიდნენ და მათი შეჩერება ძალიან რთული იქნება.

### სასწაულმოქმედნი!

**ეგვიპტე–აშშ 0:3**

**ეგვიპტე:** ალ ჰადარი, ფათჰი (56. აჰმედ საიდი), ჰანი საიდი, გომაა, ფარაგი, აჰმედ ალ მუჰამადი, შჰავკი, აბდ რაბოუ, აბოუტრიკა, აბდელგანი (62. აბოუგრეიშა), აბდელმალეკი (50. ჰასანი).

**აშშ:** გუსანი, სპექტორი, ონიევუ, დემერიტი, ბორნშტეინი, ბრედლი, კლარკი, დემპსი, დონოვანი, დევიესი (81. ქეისი), ალტიდორე (69. ფაილჰაბერი).

**გოლები:** 0:1 დეივისი (21), 0:2 ბრედლი (63), 0:3 დემპსი (71)

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უდიდესი სიურპრიზი შემოგვთავაზა. ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ჯგუფში ჩარჩენისთვის განწირული გუნდი ბოლო ტურში სასწაულს მოახდენდა და ნახევარფინალში ესპანეთის მეტოქე გახდებოდა. სხვათა შორის, აშშ-ისა და სელექსიონის წინა სამი შეხვედრა პირენეელთა გამარჯვებით დასრულდა. ბუნებრივია, ნახევარფინალში **ვისენტე დელ ბოსკეს** ბიჭები ფავორიტები იქნებიან, მაგრამ რა დროს ესპანეთია, როცა ამერიკელები ახლა მართლაც უდიდესი სასწაულით ხარობენ. ეგვიპტის ნაკრების განადგურებას **დეივისმა** ჩაუყარა საფუძველი. 21-ე წუთზე ის ერთბაშად ორ მცველსა და მეკარეს ეჭიდავა და დიდი წვალების შემდეგ ბურთი კარის ხაზს იქით შეაგორა. მეორე გოლი ულამაზესი გამოდგა ამერიკელთა ფანტასტიკური კონტრიერიში **ბრედლიმ** ეფექტური გოლით დაასრულა. დაახლოებით რვა წუთში მოვლენათა ეპიცენტრში **დემპსი** მოექცა. მან გენიალური თავური დარტყმით შეაგდო.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრაზილია | 3 | 3 | 0 | 0 | 10-3 | 9 |
| აშშ | 3 | 1 | 0 | 2 | 4-6 | 3 |
| იტალია | 3 | 1 | 0 | 2 | 3-5 | 3 |
| ეგვიპტე | 3 | 1 | 0 | 2 | 4-7 | 3 |

გვერდი მოამზადა
**ილია ნიკოლაიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანჩესტერ იუნაიტედი

# მშვიდობით!

**კარლოს ტევესი** „მანჩესტერ იუნაიტედის“ ფეხბურთელი აღარ იქნება. მან ხუთწლიან კონტრაქტზე განაცხადა უარი. არადა, ინგლისის ჩემპიონთა თავკაცმა, **ალექს ფერგიუსონმა** როგორც იქნა გადაწყვიტა არგენტინელი თავდამსხმელი ბრაზილიელი საქმოსნის **კია ჯურაბჩიანისგან** 25,5 მილიონ ფუნტად გამოესყიდა. მოლაპარაკებები „იუნაიტედის“ აღმასრულებელ დირექტორს, **დევიდ გილსა** და ჯურაბჩიანს შორის კარგა ხანს მიმდინარეობდა, მაგრამ უშედეგოდ დამთავრდა. საბოლოოდ გამოქვეყნდა მანჩესტერელთა ოფიციალური განცხადება, სადაც წერია:

„ვაცხადებთ, რომ კარლოს ტევესი „მანჩესტერ იუნაიტედთან“ ახალ კონტრაქტს არ გააფორმებს. კლუბს გადაწყვეტილი ჰქონდა, გადაეხადა გამოსასყიდი თანხა, 25,5 მილიონი ფუნტი და კარლოსისთვის შეეთავაზებინა ხუთწლიანი ხელშეკრულება, რის შედეგადაც ის კლუბში ერთ-ერთი ყველაზე მაღალი ანაზღაურების მქონე მოთამაშე გახდებოდა, მაგრამ ფეხბურთელმა მანჩესტერში დარჩენა არ ისურვა. „მანჩესტერ იუნაიტედი“ მადლობას უხდის ტევესს ბოლო ორ სეზონში გაწეული გარჯისათვის და მომავალში წარმატებებს უსურვებს“.

„იუნაიტედის“ ოფისში ამ განცხადების წერა ხეირიანად დასრულებულიც არ ჰქონდათ, რომ ჯურაბჩიანთან იმავე ქალაქის მეორე უბნიდან, კერძოდ კი „მანჩესტერ სიტის“ ოფისიდან დარეკეს. თუმცა, ტევესით მხოლოდ „სიტი“ არ გახლავთ დაინტერესებული. ბრაზილიელი ბიზნესმენის თქმით, „სიტის“ გარდა „ჩელსიც“ აქტიურობს.

„აქამდე, „მანჩესტერ იუნაიტედისადმი“ დიდი პატივისცემის გამო „სიტის“ წარმომადგენლებთან კარლოსის კონტრაქტის შესახებ არ გვილაპარაკია“, - განაცხადა ჯურაბჩიანმა, რომელსაც, თურმე, მანჩესტერის მეორე გუნდიდან მწვრთნელი, **მარკ ჰიუზიც** დაჰკავშირებია და აღმასრულებელი დირექტორი, **გერი კუკიც**.

საინტერესოა, რომ ჯურაბჩიანის თქმით, ტევესისთვის ახალ გუნდს ფულის მიხედვით არ შეარჩევენ.

„კარლოსი „იუნაიტედში“ ორ წელიწადს იყო და ამ ხნის განმავლობაში ფულის მომატებაზე ერთხელაც არ გვილაპარაკია. თან, კლუბმა ახალი კონტრაქტი მხოლოდ და მხოლოდ ათი დღის წინ შემოგვთავაზა. მართალია, ამ კონტრაქტში კარგი პირობები ეწერა, მაგრამ ტევესმა ვერ დაივიწყა, რომ მას მთელი ორი წლის განმავლობაში ერთხელაც არ აგრძნობინეს, რომ მუდმივი ხელშეკრულების გაფორმება უნდოდათ. ვიმეორებ, კარლოსის თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად მანჩესტერელებს მთელი ორი წელიწადი ჰქონდათ. მითხარით, გეთაყვა, რონალდოს ან რუნის ახალი კონტრაქტის გასაფორმებლად ალოდინებდნენ ორ წელიწადს? რაა დასამალი, რომ კარლოსმა თავი მანჩესტერული ოჯახის წევრად ველარ იგრძნო და დღეს სხვაგან უნდა გადასვლა.




ოღონდ ისეთ გუნდში, რომელიც ტიტულებისთვის იბრძოლებს. მის ცხოვრებაში იყვნენ სახალხო გუნდები, „ბოკა ხუნიორსი“ და „კორინთიანსი“, ტევესს ძალიან უყვარდა „ვესტ ჰემიც“... „ლივერპულზე“ ჩემმა კლიენტმა თავად განაცხადა უარი, რადგან „მანჩესტერ იუნაიტედის“ ქომაგებს გაუწია ანგარიში, არ უნდოდა კონკურენტის ბანაკში გაქცევა გამოსვლოდა, მაგრამ მეორე მხრივ, მასაც ხომ ამბიციური გუნდი სჭირდება?! ახლა ასე ვიზამთ, ყველა წინადადებას მოვუსმენთ, ავწონ-დავწონით და გადაწყვეტილებას ისე მივიღებთ. რა საკვირველია, საბოლოო სიტყვას კარლოსი იტყვის, მაგრამ ახლავე გეუბნებით, ივლისის დასაწყისამდე არ ავჩქარდებით“.

**ილია ბაბუნაშვილი**



სერია B. პლეი ოფი

# ის ურჩევნია მამულსა...

## ლივორნო ელიტაში დაბრუნდა

„ლივორნოს“ პრეზიდენტმა თავისი გუნდი სერია A-ში დაიგულა თუ არა, განაცხადა, ახლა კი მინდა საქმე ჩემმა შვილმა გააგრძელოსო. საინტერესოა, რომ **ალდო სპინელიმ** ეს სიტყვები „ლივორნოს“ მიერ „ბრეშას“ 3:0 ძლევის შემდეგ თქვა - ხსენებული ორი გუნდი ერთმანეთს პლეი-ოფში დაუპირისპირდა და ორი შეხვედრის ჯამში 5:2 „ლივორნომ“ მოიგო.

„თუკი ჩემი შვილი წინააღმდეგი არ წავა და ჩემი ადგილის დაკავებაზე დამყაბულდება, მაშინ ეს, „ლივორნოს“ პრეზიდენტის პოსტზე ჩემი ბოლო თამაში იყო, - უთხრა სპინელიმ Sky Italia-ს, - საფეხბურთო სამყარო სასტიკია და შვილმა ამიტომ უნდა შემცვალოს. გასული წელიწადი ჩემთვის მეტისმეტად ძნელი იყო. ბოლოს, ყველაფერი საპლეიოფო ხოცვა-ჟლეტით დასრულდა. ერთი სიტყვით, იმედი მაქვს, შვილი დამინდობს და დამთანხმდება“.

სინიორ სპინელი ბრძანებს, რომ პრეზიდენტის რანგში მისი ბოლო საქმე **ალესანდრო დიამანტისა** და **ფრანჩესკო ტავანოს** „ლივორნოში“ დატოვება იქნება.

„ორივე მათგანი ახალი „ლივორნოს“ საყრდენი ბოძები იქნებიან. კიდევ, სერია A-ში ჩვენი მწვრთნელის, ჯენარო რუოტოლოს წყალობით დავბრუნდით, მაგრამ ამაგი მის წინამორბედს, ლეონარდო აკორისაც დიდი ჰქონდა“, - ბრძანა სპინელიმ.

**ილია ბაბუნაშვილი**

გარიგება

# დრენტეს გაქირავება

მადრიდის „რეალის“ მცველს, **როისტონ დრენტეს** მოედანზე სხვადასხვა ფუნქციის შესრულება შეუძლია და ამიტომ, მისი შეძენით სხვადასხვა გუნდები ინტერესდებიან. ამჯერად ის შესაძლოა „ფიორენტინაში“ „გაქირავდეს“ - აღნიშნულ სატრანსფერო ოპერაციას ერთადერთი რაც აკლია, ქაღალდებზე თავად დრენტეს ხელმოწერაა. როგორც გაზეთი „ილ კორიერე ფიორენტინო“ იუწყება, ესპანეთისა და იტალიის კლუბებს ერთმანეთში უკვე ყველაფერი მოლაპარაკებული აქვთ. „რეალსა“ და „ფიორენტინას“ შორის ასეთი სამომავლო პირობაც დადებულა - თუ მომავალი სეზონის შემდეგ ფლორენციელები ფეხბურთელით კვლავ კმაყოფილნი იქნებიან, მისი შეძენის პრიორიტეტული უფლება ექნებათ.

სახელფასო ამბავი ასეა: დღეისათვის დრენტეს მადრიდული ჯამაგირი სეზონში 1,5 მილიონი ინგლისური ფუნტის ტოლფასია. „ფიორენტინა“ ამდენის გადამხდელი არ არის, იტალიელები დასახელებული თანხის 75 პროცენტს წვდებიან.

თუ დრენტე „ფიორენტინაში“ მაინც გამოჩნდება, ორი მოთამაშის, **მანუელ პასკუალისა** და **მასიმო გობის** ბედი დადგება კითხვის ნიშნის ქვეშ. პასკალის საქმე უკეთ აქვს - მის ფლორენციულ კონტრაქტს მომავალი სეზონის ბოლოს ვადა გასდის და, თან, რამდენადაც ცნობილია, ამ ფეხბურთელით არც მეტი არც ნაკლები, თვით „იუვენტუსი“ არის... ყოველ შემთხვევაში, იყო დაინტერესებული. მაგრამ, ერთი ხნის წინ პასკალის აგენტმა განაცხადა, რომ ფეხბურთელთან ახალ ხელშეკრულებაზე დალაპარაკებას „ფიორენტინა“ თავადაც აპირებს. ამასობაში „ბებერი ქალბატონი“ „ლიონის“ იტალიელი მარცხენა მცველით, მსოფლიო ჩემპიონ **ფაბიო გროსოთი** დაინტერესდა, შესაბამისად, გამორიცხვის მეთოდით, „არტემიო ფრანკიდან“ 28 წლის გობი უნდა წავიდეს.

**ილია ბაბუნაშვილი**

სამწვრთნელო სვლები

# იტალიელის შესაძლო თავგადასავალი რუსეთში

## ზენიტი რანიერის უხმობსო...

ტურინული გაზეთის „ტუტოსპორტის“ ცნობით, იტალიელი მწვრთნელის **კლაუდიო რანიერის** გადაბირებას სანკტ პეტერბურგის „ზენიტი“ ცდილობს და მიზანთან არც ისე შორსაა. მოგეხსენებათ, 58 წლის სპეციალისტი 18 მაისს თანამდებობიდან „იუვენტუსმა“ დაითხოვა. და ეს, მიუხედავად იმისა, რომ რანიერისა და „ბებერ ქალბატონს“ შორის კონტრაქტი 2010 წლამდე იყო გაფორმებული.

როგორც ამბობენ, რანიერი პარასკევს „ზენიტის“ პრეზიდენტ **ალექსანდრ დიუკოვს** შეხვდა. მოსალოდნელია, რომ იტალიელსა და რუსებს შორის ორწლიანი კონტრაქტი გაფორმდება. თითოეული წელიწადის საფასური „ზენიტისთვის“ ხელფასად გაცემული 2.5 მილიონი ინგლისური ფუნტი იქნება.

„იუვენტუსმა“ სიახლე სიხარულით მიიღო. ტურინელებს ხომ კონტრაქტის დარღვევისთვის ფული უნდა გადაეხადათ, ახლა კი „ზენიტისგან“ მწვრთნელის ტრანსფერისთვის განკუთვნილ თანხას მიიღებენ.

**ილია ბაბუნაშვილი**



## მუნდიალი 2010

### აფრიკა

I ჯგუფი

მაროკო-ტოგო 0:0

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გაბონი | 2 | 2 | 0 | 0 | 5-1 | 6 |
| 2. ტოგო | 3 | 1 | 1 | 1 | 1-3 | 4 |
| 3. მაროკო | 3 | 0 | 2 | 1 | 1-2 | 2 |
| 4. კამერუნი | 2 | 0 | 1 | 1 | 0-1 | 1 |

II ჯგუფი

კენია-მოზამბიკი 2:1
ტუნისი-ნიგერია 0:0

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ტუნისი | 3 | 2 | 1 | 0 | 4-1 | 7 |
| 2. ნიგერია | 3 | 1 | 2 | 0 | 3-0 | 5 |
| 3. კენია | 3 | 1 | 0 | 2 | 3-6 | 3 |
| 4. მოზამბიკი | 3 | 0 | 1 | 2 | 1-4 | 2 |

III ჯგუფი

ზამბია-ალჟირი 0:2

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ალჟირი | 3 | 2 | 1 | 0 | 5-1 | 7 |
| 2. ზამბია | 3 | 1 | 1 | 1 | 2-3 | 4 |
| 3. რუანდა | 2 | 0 | 1 | 1 | 0-1 | 1 |
| 4. ეგვიპტე | 2 | 0 | 1 | 1 | 2-4 | 1 |

IV ჯგუფი

სუდანი-განა 0:2
მალი-ბენინი 3:1

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. განა | 3 | 3 | 0 | 0 | 5-0 | 9 |
| 2. მალი | 3 | 1 | 1 | 1 | 4-4 | 4 |
| 3. ბენინი | 3 | 1 | 0 | 2 | 2-4 | 3 |
| 4. სუდანი | 3 | 0 | 1 | 2 | 1-4 | 1 |

V ჯგუფი

ბურკინა ფასო-კოტ დ'ივუარი 2:3
გვინეა-მალავი 2:1

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კოტ დ'ივუარი | 3 | 3 | 0 | 0 | 10-3 | 9 |
| 2. ბურკინა ფასო | 3 | 2 | 0 | 1 | 7-5 | 6 |
| 3. გვინეა | 3 | 1 | 0 | 2 | 5-7 | 3 |
| 4. მალავი | 3 | 0 | 0 | 3 | 1-8 | 0 |

## იტალია

### სერია A/B

პლეი ოფი

ლივორნო-ბრეშია 3:0

### სერია C

პლეი ოფი

ბენევენტო-კროტონე 0:1
პროპატრია-პადოვა 1:2

## ესპანეთი

XXXXII ტური

ლევანტე-ლას პალმასი 2:2
სელტა-ხერესი 1:1
ვალეკანო-სარაგოსა 2:2
სალამანკა-ერკულესი 1:5
ეიბარი-ხიმნასტიკი 1:0
ალბასეტე-ალავესი 3:3
ელჩე-სოსიედადი 1:2
ალიკანტე-სევილია II 3:3
კორდობა-მურსია 2:1
უესკა-ხირონა 3:1
ტენერიფე-კასტელონი 1:2

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ხერესი | 42 | 24 | 10 | 8 | 73-42 | 82 |
| 2. სარაგოსა | 42 | 23 | 12 | 7 | 79-42 | 81 |
| 3. ტენერიფე | 42 | 24 | 9 | 9 | 79-47 | 81 |
| 4. ერკულესი | 42 | 21 | 15 | 6 | 82-43 | 78 |
| 5. ვალეკანო | 42 | 18 | 16 | 8 | 55-39 | 70 |
| 6. სოსიედადი | 42 | 17 | 16 | 9 | 48-38 | 67 |
| 7. კასტელონი | 42 | 17 | 14 | 11 | 55-42 | 65 |
| 8. ლევანტე | 42 | 18 | 10 | 14 | 59-59 | 64 |
| 9. სალამანკა | 42 | 16 | 12 | 14 | 59-50 | 60 |
| 10. ხიმნასტიკი | 42 | 14 | 15 | 13 | 60-50 | 57 |
| 11. კორდობა | 42 | 14 | 11 | 17 | 47-54 | 53 |
| 12. უესკა | 42 | 13 | 14 | 15 | 47-46 | 53 |
| 13. ელჩე | 42 | 13 | 14 | 15 | 52-50 | 53 |
| 14. მურსია | 42 | 14 | 10 | 18 | 48-58 | 52 |
| 15. ალბასეტე | 42 | 13 | 12 | 17 | 42-54 | 51 |
| 16. ხირონა | 42 | 11 | 16 | 15 | 43-54 | 49 |
| 17. სელტა | 42 | 10 | 18 | 14 | 46-56 | 48 |
| 18. ლას პალმასი | 42 | 10 | 17 | 15 | 46-51 | 47 |
| 19. ალავესი | 42 | 11 | 10 | 21 | 42-64 | 43 |
| 20. ალიკანტე | 42 | 8 | 11 | 23 | 38-69 | 35 |
| 21. ეიბარი | 42 | 8 | 11 | 23 | 31-63 | 35 |
| 22. სევილია II | 42 | 2 | 13 | 27 | 29-89 | 19 |

## იაპონია

XIV ტური

კავასაკი-ოიტა 2:0
შიმიზუ-იამაგატა 4:1
ნაგოია-ჯეფ იუნაიტედი 0:1
გამბა-ნიიგატა 0:2
კაშიმა-ივატა 1:0
ომია-კიოტო 2:1
კაშივა-ტოკიო 0:3
ჰიროშიმა-კობე 4:3
იოკოჰამა-ურავა 2:0

## აშშ

XIII ტური

სან ხოსე-ლოს ანჯელესი 2:1
ნიუ იორკი-სიეტლი 1:1
დალასი-კოლამბუსი 2:1
ჰიუსტონი-სოლტ ლეიკი 1:1
კოლორადო-დი სი იუნაიტედი 3:0

## არგენტინა

### კლაუსურა

XVIII ტური

ნიუელსი-სან მარტინი 0:1
არგ. ხუნიორსი-ბანფილდი 1:1
ინდეპენდიენტე-სან ლორენსო 0:1
ხიმნასია (ხ)-რასინგი 0:2
ტიგრე-როსარიო 0:1
ესტუდიანტესი-კოლონი 1:3
გოდოი-რივერი 1:0
ურაკანი-არსენალი 3:0
ლანუსი-ველესი 1:1
ბოკა-ხიმნასია (ლ) გვ. დასრულდა

## ბრაზილია

VII ტური

ატ. პარანაენსე-პალმეირასი 2:2
სანტო ანდრე-სპორტ რესიფე 2:1
ვიტორია-ბოტაფოგო 4:3
ავაი-ფლუმინენსე 3:2
გრემიო-გოიაში 2:2
ნაუტიკო-კურიტიბა 0:1
კორინთიანს-ს პაულუ გვ. დასრულდა
კრუზეირო-ბარუერი გვ. დასრულდა
ფლამენგო-ინტერი გვ. დასრულდა
სანტოსი-ატ. მინეირო გვ. დასრულდა

## ჩილე

### აპერტურა

პლეი ოფი

უნ. ჩილე-იტალიანო 2:4
უნ. ესპანიოლა-ო'ჰიგინსი 6:1
ევერტონი-მუნისიპალი 2:1
ს. მორნინგ-უნ. კატოლ გვ. დასრულდა

## ეკვადორი

### აპერტურა

XVIII ტური

დეპ. კიტო-მანტა 3:0
ესპოლი-ოლმედო 1:3
ემელეკი-ტექ. უნივერსიტარიო 2:2
ლიგა დე კიტო-ელ ნასიონალი 2:0
პორტოვიეხო-დეპ. კუენკა 2:2
დეპ. მაკარა-ბარსელონა 2:0

## პერუ

### აპერტურა

XVIII ტური

ბოლონესი-სან მარტინი 1:4
სპ. კრისტალი-სპორტ ანკაში 2:0
ხოსე გალვესი-ტოტალ ჩალაკო 2:1
უნ. პერუ-სენსიანო 2:1
ხუან აურიჩი-ალ. ლიმა 1:2
სპორტი-კოლეგიო 3:1
მელგარი-ინტი გასი გვ. დასრულდა
ს ვალეხო-ალ. ატლეტ გვ. დასრულდა

## ნორვეგია

XIV ტური

სანდეფიორდი-ვოლერენგა 0:2
ოლესუნდი-რუსენბორგი 0:3
ბოდო გლიმტი-ლილესტრიომი 1:1
ლინი-ოდ გრენლანდი 1:1
მოლდე-ფრედრიკსტადი 2:0
სტაბეკი-სტარტი 5:0
სტრიომსგოდსეტი-ტრომსიო 2:1
ვიკინგი-ბრანი 1:1

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რუსენბორგი | 14 | 9 | 5 | 0 | 30-11 | 32 |
| 2. მოლდე | 14 | 7 | 4 | 3 | 22-17 | 25 |
| 3. ოდ გრენლანდ | 14 | 5 | 7 | 2 | 26-18 | 22 |
| 4. ვოლერენგა | 14 | 6 | 4 | 4 | 25-21 | 22 |
| 5. სტარტი | 14 | 5 | 6 | 3 | 24-20 | 21 |
| 6. სტაბეკი | 14 | 5 | 5 | 4 | 23-15 | 20 |
| 7. ბრანი | 14 | 5 | 5 | 4 | 23-21 | 20 |
| 8. ოლესუნდი | 14 | 5 | 3 | 6 | 14-20 | 18 |
| 9. ვიკინგი | 14 | 4 | 5 | 5 | 16-18 | 17 |
| 10. სანდეფიორდ | 14 | 4 | 5 | 5 | 18-21 | 17 |
| 11. ტრომსიო | 14 | 3 | 6 | 5 | 18-23 | 15 |
| 12. ლილესტრიომ | 14 | 3 | 6 | 5 | 18-23 | 15 |
| 13. სტრიომსგოდ | 14 | 4 | 3 | 7 | 13-19 | 15 |
| 14. ფრედრიკსტ | 14 | 4 | 2 | 8 | 15-20 | 14 |
| 15. ბ გლიმტი | 14 | 3 | 4 | 7 | 12-26 | 13 |
| 16. ლინი | 14 | 1 | 8 | 5 | 13-17 | 11 |

### II დივიზიონი

XII ტური

ალტა-ჰიონეფოსი 0:1; ჰამ კამი-ლოვ ჰამი 5:0; კონგსვინგერი-სკეიდი 4:0; მოსი-მიონდალენი 2:0; სიოგნდალი-ბრინი 1:1; სტავანგერი-ჰაუგესუნდი 0:4; ტრიომსდალენი-სარპსბორგი 1:0.

## ისლანდია

VIII ტური

ფრამი-რეიკიავიკი 3:0
ფილკირი-გრინდავიკი 2:3
ჰაფნარი-ტროტური 4:0
კეფლავიკი-ფიოლნირი 3:1
ვალური-ვესტმანაეიარი დღეს
ბრეიდაბლიკი-სტიარნანი დღეს

## ირლანდია

XVII ტური

დერი-ბრეი 2:0
კორკი-დანდალკი 1:2
დროგედა-სტ. პატსი 1:0
ბოჰემიანსი-სლაიგო 2:0
შემროკი-გალვეი 1:0

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეხბურთი და ფინანსური კრიზისი



# სეტანტამ 46 მატჩი დაკარგა

ინგლისური გაზეთები იუწყებიან, რომ ფინანსურმა კრიზისმა მათი ქვეყნის ფეხბურთსაც „გაჰკრა კბილი“, მაგრამ ამ კბილის თვალნათლივ წარმოდგენისთვის უნდა ვიცოდეთ, რა არის „სეტანტა“.

მაშ ასე, „სეტანტა“ გახლავთ 1990 წელს ირლანდიაში დაფუძნებული სპორტული მაუწყებელი, რომლის მიზანი მსოფლიოში გაფანტულ ირლანდიელთათვის თანამემამულე სპორტსმენების ასპარეზობის ჩვენება გახლდათ. თანდათანობით, სამაუწყებლო კომპანია გაძლიერდა, გაფართოვდა და არაირლანდიურ შეჯიბრებათა პირდაპირ ტელეტრანსლაციებსაც მიჰყო ხელი. კომპანიის ახალი მიზანი ინგლისურენოვანი მსოფლიოსთვის სპორტული ასპარეზობების ჩვენება გახდა. საბოლოოდ, „სეტანტა“ იქამდე მივიდა, რომ პრემიერლიგის, ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის თასისა და ინგლისის ნაკრების შეხვედრების დიდ ბრიტანეთში ჩვენების უფლებებს ფლობდა.

მაგრამ „სეტანტას“ საქმე ცუდად წაუვიდა და პრემიერლიგაც იძულებული გახდა დრო დაეთქვა - ირლანდიელებს ან კონტრაქტით გათვალისწინებული თანხის ნაწილი, 10 მილიონი ფუნტი, პარასკევ სალამომდე უნდა დაესვათ შესაბამის ანგარიშზე, ან ინგლისის ჩემპიონატის უსტაბაშნი 46 შეხვედრისგან შემდგარ ორ პაკეტს სადმე სხვაგან გაყიდდნენ.

სალამოს შვიდის თვრამეტ წუთზე საფეხბურთო ლონდონმა მოკლე განცხადება გააკეთა: *„პრემიერლიგა „სეტანტას“ ლიცენზიას ართმევს. ლიცენზიის გაუქმება დაუყოვნებლივ შედის ძალაში“.*

თუ „სეტანტას“ საქმე საბოლოოდ ცუდად წავიდა, ყველაზე მეტად შეიძლება ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ იზარალოს, რადგან მას ბიუჯეტში 100-მილიონფუნტიანი შავი ხვრელი გაუჩნდება. ასოციაციასა და მაუწყებელს შორის ხომ ოთხწლიანი ხელშეკრულება იყო გაფორმებული, რომლის პირველი წელიწადიც აი, ახლა დამთავრდა. „სეტანტას“ სანაკრებო და ფეხბურთის ასოციაციის თასის მატჩების ტრანსლირებაში 150 მილიონი უნდა გადაეხადა. საიდან შევა ბიუჯეტში ახლა ეს თანხა, გაურკვეველია.

უპატრონო პრემიერლიგას კი მაუწყებლები დაეპატრონენო - „სეტანტას“ მიერ 46 თამაშის დაკარგვა და სამი მსხვილი კომპანიის გამოჩენა ერთი გამოდგა. ისინი გახლავან, Sky Sports-ი, Channel 4 და ESPN-ი, რომელსაც კორპორაცია „დისნეი“ ფლობს. მათგან, კონტრაქტისთვის ხელის გამოკვრის ყველაზე დიდი შანსი ESPN-ის აქვს, რადგან პრემიერლიგასთან ადრეც უმუშავია და გამოცდილებით გახლავთ მდიდარი.

რაც შეეხება „სეტანტას“ და პრემიერლიგის თანამშრომლობის მომავალს, აქ ყველაფერი ბურუსითაა მოცული. კომპანიის ადმინისტრაცია გადარჩენას ცდილობს და თვალი რუსებისკენაც კი გაურბის - რუსებს ოლიგარქები, იცოცხლე, არ აკლიათ. ამ შემთხვევაში ლაპარაკია მავან **ლევ ბლავატნიკზე**, რომელსაც მაუწყებლის 51 პროცენტი მონდომებია. ისე, კაცმა რომ თქვას, ეს ბლავატნიკი რუს-ამერიკელია და უფრო ნიუ იორკსა და ლონდონში ცხოვრობს. მისტერ ბლავატნიკი 7 მილიარდ დოლარს ფლობს და „ფორბსის“ მიერ ჩამოწერილ მდიდართა სიაში მეოთხასეა, თუმცა სიტყვა უკვე სხვაგან გაგვექცა.




მოსალოდნელი ტრანსფერი

# ბენზემას სამანჩესტეროდ ამზადებენ

დღეს, როდესაც საბოლოოდ გაირკვა, რომ არგენტინელი თავდამსხმელი, **კარლოს ტევესი** „მანჩესტერ იუნაიტედში“ აღარ ითამაშებს, სერ **ალექს ფერგიუსონმა** გადაწყვიტა, 25 მილიონი ფუნტი ფრანგულ „ლიონს“ **ქარიმ ბენზემაში** შეაძლიოს. უნდა ითქვას, რომ საფრანგეთის ჩემპიონატის მესამეადგილოსანი კარგა ხანია ძალებს იკრებს, რამენაირად ბენზემას შენარჩუნება რომ მოახერხოს, მაგრამ ინგლისური პრესის თქმით, დღეს, როდესაც „იუნაიტედს“ წარმოშობით ალჟირელი, უფრო ზუსტად კი, ბერბერი თავდამსხმელი უეჭველად სჭირდება, „ლიონი“ ინგლისის ჩემპიონის ფინანსურ კუნთებს ველარ გაუმკლავდება.



ზემოთ ბენზემას შენარჩუნება ვახსენეთ... მაინც ვინ ჰყავდა „ლიონს“ მოსაგერიებელი? „არსენალი“, „რეალი“ და „ბარსელონა“ - როგორი კამპანიაა? თუმცა, ახლა საქმეში „მანჩესტერიც“ ჩაერთო და როგორც ჩანს, ხსენებული სამეული უკან მოიტოვა. „ლიონის“ პრეზიდენტის, **ჟან-მიშელ ალუს** პირადი მრჩეველი, **მიშელ პლატინის** ეპოქის საფრანგეთის ნაკრების ვარსკვლავი, **ბერნარ ლაკომბი** ამბობს:

*„ჯერჯერობით ბენზემა ჩვენთანაა, მაგრამ მომავალში რა მოხდება, არავინ იცის. ოდესლაც არც მაიკლ ესიენის გაშვებას ვაპირებდით, მაგრამ „ჩელსი“ ისეთი საბანკო ქვითრით მოვიდა, რომ... და თუ „მანჩესტერ იუნაიტედს“, რომელსაც ფული ნამდვილად არ აკლია, მართლა უნდა ბენზემას შეძენა, მაშინ რა გაეწყობა?“...*

ქარიმ ბენზემამ გასულ სეზონში, საფრანგეთის ჩემპიონატში 17 გოლი გაიტანა და ბომბარდირთა დავაში მესამე ადგილზე გავიდა. რაც შეეხება მის სანაკრებო კარიერას, აქ ფორვარდს 24 თამაშში 6 გოლით შეუძლია თავის მოწონება.

მეგატრანსფერის ექო

# კრისტიანო ფულთმისანი

**კრისტიანო რონალდოს** თემა დაუსრულებელი ჩანს: „მანჩესტერ იუნაიტედიდან“ „რეალში“ 80 მილიონ ფუნტად გადასულმა პორტუგალიელმა ვარსკვლავმა ახლა მადრიდში გამოიწვია ხმაური, თან ისე, რომ ესპანეთის დედაქალაქში ჯერ არ ჩასულა. ინგლისურმა „დეილი მეილმა“ ისიც კი დაწერა, მთელი გარიგება კინაღამ ჩაიშალაო, მაგრამ ეგ უფრო ინგლისელების ოცნების ნაყოფი უნდა იყოს. ხალხს ხომ 80 მილიონი აქვს გადახდილი, ასეთ მსხვილ პროექტებს კი ქარს, როგორც წესი, არ ატანენ ხოლმე.



ახლა, უფრო ზუსტად საკუთრივ პრობლემის თაობაზე: კრისტიანო რონალდოს საკუთარი იმიჯიდან წილის გაზრდა სურდა და მადრიდელებს ამას ევაჭრებოდა. ეს რას ნიშნავს? იმას, რომ პორტუგალიელი მარტო ფინტი და გოლი არ არის, ის ათასნაირი რეკლამის მთავარი გმირია, ნებისმიერი პროდუქციის რეკლამირება კი დიდი ფული ღირს. ერთი სიტყვით, რონალდოს აგენტი, **ჟორჟე მენდეში** „რეალის“ შეფებს ექვსწლიანი კონტრაქტის დამატებით დეტალებზე ბევრს ევაჭრა, მაგრამ საბოლოოდ ყველაფერი შეთანხმებით დასრულდა. მენდეშს რონალდოს იმიჯით შემოსული მილიონების „რეალთან“ სანახევროდ გაყოფის ნაცვლად სამოცი პროცენტი უნდოდა. აღსანიშნავია, რომ ასეთი ვაჭრობისკენ აგენტს, როგორც ირკვევა, საკუთრივ ფეხბურთელმა უბიძგა.

და, ამ მხრივ სხვა ვარსკვლავებს როგორ აქვთ საქმე? **კაკას** მაგალითზე გეტყვით - მადრიდში რონალდოს მსგავსად ახლახან გადასული ბრაზილიელი და „რეალი“ რეკლამებით მიღებულ შემოსავალს სანახევროდ იყოფენ. ასე არიან მადრიდული „სამეფო კლუბის“ სხვა ვარსკვლავებიც. იმიჯ-უფლებათა შუაზე გაყოფა „რეალში“ სტანდარტული ამბავია, რონალდოს კი, რატომღაც წლობით დამყარებული წესების დარღვევა მოუნდა.

კიდევ, დამატებით შემოსავლებში - „დეილი მეილის“ ცნობით, პორტუგალიელის მადრიდული ხელფასი დაბეგვრის შემდეგ კვირაში 200 ათასი ფუნტია - შედის სპონსორთა გადახდილი თანხები, სხვადასხვა სახის კომერციული გარიგება და მაისურების გაყიდვით ნანახი სარფი. ერთი სიტყვით, რონალდო, ფეხბურთის თამაშით მიღებულ წლიურ გასამრჯელოს, 10 მილიონ ფუნტს, დამატებითი ხერხებით 2-3 მილიონსაც შემატებს. ძალიან საინტერესოა, რომ თურმე ეს თანხები ყოველწლიურად 25 პროცენტით გაიზრდება და შედეგად, ექვსწლიანი ხელშეკრულების ბოლო წელიწადს ყველაფერი ერთად 29 მილიონს მიუკაკუნებს.

ეს ყველაფერი კარგი, რონალდოს მომავალი უზრუნველყოფილი აქვს, აი, მაისურის ნომერი კი ჯერ არ მოუფიქრებია. ვინაიდან, ევროპაში გაგანია სატრანსფერო სეზონია, გადაწყვეტილი არ არის, ვინ ითამაშებს „რეალში“ შემდეგ წელიწადს. შესაბამისად, ამწუთას მხოლოდ ის გახლავთ ცნობილი, რომ „სამეფო გუნდში“ დაკავებულია პირველი, მეოთხე და მეშვიდე ნომრები. მათ პატრონებს, ალბათ, შეხსენება არ სჭირდებათ, მაგრამ მაინც: **იკერ კასილასი, სერხიო რამოსი** და **რაული**. ბუნებრივია, კრისტიანო რონალდომ „მანჩესტერში“ ნაჩვევ მეშვიდე ნომერზე ოცნებას თავი უნდა დაანებოს - ის ლეგენდარული რაულისაა. ასე რომ, „გამორჩეულთაგან“ რჩება 9 და 10 ნომრები, თუმცა ამ ნომრების განაწილებისას კაკას სურვილიც გასათვალისწინებელია. საქმე ის გახლავთ, რომ კაკასთვის მადრიდელებს **ზინედინ ზიდანის** ნაცვამი ხუთი ნომერი შეუთავაზებიათ, მას კი შორს დაუჭერია, მე ათიანობას ვაპირებო. აქამდე „რეალის“ მეცხრე და მეათე ნომრები იყვნენ **ხავიერ სავიოლა** და **ვესლი სნეიდერი**, მაგრამ ისინი ამ ზაფხულს, სავარაუდოდ, წავლენ.

თუმცა, მოუგვარებელი არაფერია, მით უფრო, რომ რონალდოს მადრიდში დღეს-ხვალ ელიან, რათა „რეალის“ სამედიცინო ცენტრში გასინჯონ და მერე „სანტიაგო ბერნაბეუზე“ პრეზენტაციაც მოუწყონ.

მანჩესტერში კი ვარსკვლავის წასვლას ჯერ ვერ შეგუებიან და ისევ ამ თემაზე ლაპარაკობენ. მაგალითად, „იუნაიტედის“ სერბმა მარცხენაფლანგელმა, **ზორან ტოშიჩმა** საზოგადოებას უამბო, რომ რონალდომ თანაგუნდელებს თავისი მომავალი გადასვლის ამბავი ჯერ კიდევ ჩემპიონთა ლიგის ფინალის წინ უამბო.

*„დიახ, მე კრისტიანოს ველაპარაკე, - თქვა ტოშიჩმა, - მან მითხრა, რომ მანჩესტერში უკვე ყველა ჯილდო მოიგო და ახალი სიმაღლეები სჭირდებოდა. ვფიქრობ, მადრიდში ის კვლავ მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი გახდება. გასულ სეზონში მან 42 გოლი გაიტანა, ამ სეზონში - 25 და ოცდახუთი გოლის ავტორზე თქვეს, ცუდი სეზონი ჰქონდა, მეტი უნდა გაეტანაო“...*

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაიერნი



# ლუსიოსაც გაუშვებენ?

## ბრაზილიელი ვან გაალის სქემაში არ ჯდებაო

„ბაიერნის" ბრაზილიელმა მცველმა **ლუსიომ** კონფედერაციათა თასზე პირველ ტურში, ეგვიპტესთან ცუდად ითამაშა, მეორე ტურში, აშშ-სთან კი შედარებით უკეთ და გუშინ, რეკორდმაისტერის ხელმძღვანელები მას იტალიასთან მატჩში ყურადღებით აკვირდებოდნენ. საქმე იმაშია, რომ ლუსიო აღარ არის ისეთი სტაბილური, როგორიც ადრე იყო, რამაც შეიძლება ის გამოიწვიოს, რომ ბავარიელებმა მისი გაყიდვა გადაწყვიტონ. მიუნხენურმა გიგანტმა გასულ სეზონში 42 გოლი გაუშვა, რაც ამ გუნდისთვის ნამდვილად სამარცხვინო შედეგია. სწორედ ამიტომ, ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, „ბაიერნის" შეფები მის გასხვისებაზე სერიოზულად ფიქრობენ.

როგორც „ბილდი" იუწყება, ბავარიელთა ახალი მთავარი მწვრთნელი **ლუის ვან გაალი** უკვე ელაპარაკა ლუსიოს, რის შემდეგაც ჰოლანდიელ სპეციალისტს სერიოზული ეჭვი გაუჩნდა, რომ ბრაზილიელი მცველი მის ტაქტიკას ვერ მოერგება. საინტერესოა ისიც, რომ ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, ვან გაალი ახალწვეულ **ედსონ ბრააფჰაიდის** დაცვის ცენტრში გამწესებას გეგმავს და არა მარცხენა ფლანგზე.

მოკლედ, დიდი შანსია, რომ „ბაიერნიდან" ლუსიოც აიბარგოს. ფაქტი ის გახლავთ, რომ ბრაზილიელს რეკორდმაისტერთან კონტრაქტი 2010 წლამდე აკავშირებს. ამრიგად, მიუნხენელებს ლუსიოს ტრანსფერიდან ხეირის ნახვა წელსღა შეუძლიათ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ან ახალი კონტრაქტი უნდა გაუფორმონ, ანაც ახლავე უნდა გაყიდონ. ლუსიოს ფასი დაახლოებით 18 მილიონი ევროა.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

ინტერვიუ

ფელიქს მაგათი

# შალკეს ფეხბურთელებს წამება ელით!

## კიბეებზე სირბილი, მომაკვდინებელი კროსები... მაგრამ ვინც თავს არ დაზოგავს, სასტარტო შემადგენლობაში ითამაშებს. მაგათის ხელში ყველა ფეხბურთელს თანაბარი შანსი აქვს

**ფელიქს მაგათმა** გასულ სეზონში უდიდესი სენსაცია მოახდინა - ერთი წლის წინ ხომ ვერავინ დაიჯერებდა, რომ „ვოლფსბურგი" გერმანიის ჩემპიონი გახდებოდა. „დესპოტი ფელიქსის" ამ უდიდეს მიღწევაზე უკვე ბევრი ითქვა და დაიწერა, ამჯერად მის მომავალზე გვსურს თქვენი ყურადღების გამახვილება. 55 წლის ჩემპიონმა მწვრთნელმა შვებულება პუერტო რიკოში გაატარა და გერმანიაში დაბრუნდა. ახლა მისი საქმე „შალკეს" გაწვრთნაა - გუნდისა, სადაც ლევან კობიაშვილი და ლევან ყენია თამაშობენ. მაგათის მიზანი გელზენკირხენული კლუბის გაჩემპიონებაა და კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ ნახევარ საუკუნეზე მეტია, რაც „შალკეს" ჩემპიონობა არ მოუპოვებია. შვებულებიდან დაბრუნებულმა მაგათმა, გაზეთ „ბილდ ამ ზონთაგს" უკვე „შალკეს" მთავარი მწვრთნელისა და მენეჯერის რანგში მისცა ინტერვიუ.

**- ჰერ მაგათ, რაზე ფიქრობდით შვებულებაში ყოფნის დროს უფრო ხშირად, საჩემპიონო ზეიმზე თუ „შალკეზე"?**

- ასეთი სეზონის დავიწყება, დამეთანხმებით, ძალიან ძნელია და დარწმუნებული ვარ, ეს სეზონი კიდევ ძალიან დიდხანს მემახსოვრება, მაგრამ როგორც იცით, მე პრაგმატული ადამიანი ვარ, ასეთები კი ყოველთვის წინ იხედებიან და ხვალინდელ დღეზე ფიქრობენ. შესაბამისად, შვებულებაში ყოფნის დროს, „შალკეზე", ანუ მომავალზე უფრო მეტს ვფიქრობდი, ვიდრე „ვოლფსბურგზე", ანუ წარსულზე.

**- „შალკეზე" პატარა გამოცდა უნდა ჩაგიტაროთ. მზად ხართ?**

- დიახ.

**- აბა, გვითხარით, როგორ იწყება გუნდის სიმღერა?**

- ლურჯო და თეთრო, როგორ მიყვარხარ, ლურჯო და თეთრო, ნუ მიმატოვებ...

**- კარგია! და რამდენჯერ იყო ეს გუნდი გერმანიის ჩემპიონი?**

- ოჰ, საუკუნეა, „შალკე" ჩემპიონი აღარ ყოფილა. შვიდჯერ, არა?

**- სწორია! და როდის გახდება „შალკე" გერმანიის ჩემპიონი?**

- ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ ეს რაც შეიძლება, მალე მოხდეს. პირველ რიგში, გუნდს ახალი ორიენტაცია უნდა ჩამოვუყალიბო. „შალკეს" უახლესი ისტორია დატვირთულია ისეთი მომენტებით, როცა გუნდს ძალიან არ გაუმართლა და ტიტულამდე ცოტა დააკლდა. მეც ალბათ იმიტომ მომიწვიეს, რომ გუნდს დამარცხებულის მენტალიტეტი გავუქრო. ფაქტია, რომ „შალკეში" რეორგანიზაცია და ახალი სტრუქტურის ჩამოყალიბებაა საჭირო. ჯერ არ ვიცი, რამდენ ხანს გაგრძელდება ეს პროცესი. ამიტომაც გავაფორმე ოთხწლიანი კონტრაქტი. ცხადია, საბოლოო ჯამში ჩვენი მიზანი გერმანიის ჩემპიონობაა. მინდა, რომ გავხდე ის მწვრთნელი, რომელიც „შალკეს" ნახევარსაუკუნიანი პაუზის შემდეგ გააჩემპიონებს.

**- 51 წელია, გელზენკირხენელებს ჩემპიონობა არ უზეიმიათ და თქვენ რომ ეს შეძლოთ, „შალკეს" ფანებისთვის ნამდვილი მესია გახდებით და შეიძლება, ძეგლიც კი დაგიდგან. რამდენად მძიმე წნეხის ქვეშაა მოქცეული ფელიქს მაგათი, რომელმაც „ვოლფსბურგი" გააჩემპიონა და ახლა კი ისეთ ქაოსურ გუნდს ჩაუდგა სათავეში, როგორიც „შალკეა"?**

- სრულებით არ მაინტერესებს, რას ელიან ან რას მოითხოვენ ჩემგან სხვები. წნეხის ქვეშ საკუთარ თავს ყოველთვის თვითონვე ვაქცევ და ამჯერადაც ასეა, რადგან თვითონ ვამბობ, რომ ჩემი მიზანი გერმანიის ჩემპიონობაა. თუმცა მიზნის მისაღწევად ძალ-ღონეს არასდროს ვიშურებ. ერთი სიტყვით, იმის თქმა მინდა, რომ ასეთი წნეხისთვის ყოველთვის მზად ვარ. მე ვთქვი, რომ ვიცი, როგორ უნდა გავხადო გუნდი ქვეყნის ჩემპიონი, როგორია ტიტულისკენ მიმავალი გზა. ჰოდა, თუ ფეხბურთელები, გულშემატკივრები და გუნდის ხელმძღვანელები გამომყვებიან, მიზანს მივაღწევთ.

**- შალკელებზე ამბობენ ხოლმე, ცოტათი გიჟები არიანო. თქვენ კი ნამდვილად არ ხართ დამთმობი ადამიანი. ხართ კი „შალკესთვის" ზედგამოჭრილი მწვრთნელი?**

- „შალკე" ძალიან ემოციური გუნდია. ემოციურობა ცუდი არ არის, მაგრამ აქ უკვე ყველა დარწმუნდა იმაში, რომ ეს ფაქტორი ჩემპიონობას ვერ მოგიტანს. მე იმით მიცნობენ, რომ ყოველთვის ემოციების გარეშე ვმუშაობ. ვფიქრობ, რომ სწორედ ამიტომ ვარ „შალკესთვის" ზედგამოჭრილი სპეციალისტი. ცხადია ისიც, რომ თავიდან ფეხბურთელები და მე ერთმანეთს უნდა შევეგუოთ, ამას დრო დასჭირდება.

**- გელზენკირხენში „წამების ციხის" აშენებას ხომ არ აპირებთ, სადაც ფეხბურთელებს კიბეებზე არბენინებთ?**

- როგორც ვიცი, სტადიონის გვერდით ძალიან ლამაზი პარკია, სადაც არაერთი კიბიანი შენობაა. ვნახოთ, თუ ეს საკმარისი არ იქნება, ციხე-სიმაგრესაც ავაშენებინებ. კიბეებზე სირბილი ძალიან მნიშვნელოვანი ვარჯიშია. მართალია, ფეხბურთელებს ძალიან არ მოსწონთ, მაგრამ ეს აუცილებელია.

**- როგორ ფიქრობთ, ერთწლიანი ექსპერიმენტების შემდეგ, გერმანული ფეხბურთი ისევ ძველ ღირებულებებს უბრუნდება? თქვენ ჩემპიონი მწვრთნელი ხართ, „ბაიერნმა" ლუის ვან გაალი დანიშნა, „ლევერკუზენმა" იუპ ჰაინკესი. სამაგიეროდ, უმუშევარი დარჩა კლინსმანი...**

- არა მარტო გერმანია, არამედ ზოგადად მსოფლიო ფეხბურთი უბრუნდება ძველ ღირებულებებს. კარგი ახალგაზრდა მწვრთნელები გვყავს, მაგრამ გამოცდილება ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია და მას ვერაფერი შეცვლის. გამონაკლისებიც არსებობენ და ამის საუკეთესო მაგალითი პეპ გვარდიოლაა.

**- სეზონის დასრულების შემდეგ არაერთი მწვრთნელი გააკრიტიკეს. ყველაზე მეტი კი მარტინ იოლს და კრისტოფ დაუმს მოხვდათ. პირველი „ჰამბურგიდან" გაიქცა, მეორე კი „კიოლნიდან"...**

- პირადად მე იმის მომხრე ვარ, რომ მწვრთნელმა კონტრაქტი უნდა შეასრულოს. იგივე უნდა ეხებოდეს ფეხბურთელებსაც.

**- „შალკესთან" გაფორმებულ კონტრაქტში ჩადეთ პუნქტი, რომლის მიხედვითაც გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ, გუნდის დატოვება შეგიძლიათ?**

- არა, ასეთი პუნქტი არასდროს მქონია.

**- თქვენთვის მისაღებია თუ არა ის, რომ „რეალმა" კრისტიანო რონალდოში 94 მილიონი ევრო გადაიხადა? გერმანულ კლუბებს ექნებათ კი რაიმე შანსი ევროტურნირებზე?**

- გამორიცხული არაფერია და შეიძლება, „ბაიერნმა" ჩემპიონთა ლიგა მოიგოს. ეს ყოველთვის შეიძლება მოხდეს. ისე კი, აღარც „ბაიერნი" განეკუთვნება რეალურად ისეთი გრანდების რიცხვს, როგორებიც არიან „რეალი", „ბარსელონა", „მანჩესტერი" და „მილანი". დროა, მთელს ევროპაში ლიცენზირების ერთი კანონი ვრცელდებოდეს. დაუშვებელია ის, რომ ესპანეთში უდიდესი ვალები აილონ და ამით ფაქტობრივად წარმატება იყიდონ.

**- „შალკეში" მუშაობას გაცილებით მცირე თანხით იწყებთ, ვიდრე თავის დროზე „ვოლფსბურგში". გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ტრანსფერებისთვის მხოლოდ 5 მილიონი ევრო გაქვთ გამოყოფილი.**

- ადრეც ვთქვი, რომ ფაქტობრივად იმ შემადგენლობასთან მომიწევს მუშაობა, რომელიც „შალკეს" ჰყავს. მინდა ვთქვა, რომ ყველა ფეხბურთელს ერთნაირი შანსი აქვს. შევხედავ, ვინ იხარჯება მართლაც ასი პროცენტით და ვინ არ ზოგავს თავს გუნდისთვის. ძირითად შემადგენლობაში მხოლოდ საუკეთესოები, იდეალურად მომზადებულები ითამაშებენ.



ფელიქს მაგათი

**- მანუელ ნოიერის „ბაიერნში" გადასვლასთან დაკავშირებული ქაოსი დასრულდა?**

- სიმართლე გითხრათ, ეს თემა ჩემთვის არც არსებულა. ჩვენ თვითონ გვსურს დიდი წარმატებების მიღწევა და შესაბამისად, ნოიერი ჩვენვე გვჭირდება.

**- კევინ კურანის იმედი აქვს, თქვენს ხელში ისეთ ფორმაში შევა, რომ გერმანიის ნაკრებში დააბრუნებენ. გახდება კურანი შალკელი გრაფიტე?**

- კევინი ტოპ-თავდამსხმელია და ამაზე ორი აზრი არ არსებობს, მაგრამ, ისევე, როგორც ჯერმეინ ჯონსმა, მანაც შეიმცირა იმის შანსი, რომ ოდესმე კიდევ ათამაშონ გერმანიის ნაკრებში. კურანი არასწორად მოიქცა, მაგრამ ახლა შეცდომას აღიარებს და პატიებას ითხოვს. შეიწყალებენ თუ არა, ეს უკვე მასზე აღარ არის დამოკიდებული. ასე რომ, კევინს ისღა დარჩენია, დაელოდოს. მწვრთნელის გადაწყვეტილებას ნებისმიერი ფეხბურთელი უსიტყვოდ უნდა შეეგუოს და დაემორჩილოს. კევინს ამ თემაზე აუცილებლად დაველაპარაკები.

**- როგორ გგონიათ, რა იქნება „ვოლფსბურგი" მაგათის გარეშე?**

- „ვოლფსბურგს" ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა გუნდი ჰყავს მთელ ბუნდესლიგაში, რაც იმას ნიშნავს, რომ მე ამ გუნდში დავტოვე ფუნდამენტი, რომელსაც უდიდესი მომავალი აქვს. ასე რომ, „ვოლფსბურგს" ნამდვილად შესწევს იმის უნარი, რომ გაისადაც მაღალი მიზნებისთვის იბრძოლოს. აუცილებლად კარგად, გაცილებით უკეთესად ითამაშებს მიუნხენის „ბაიერნი". ვფიქრობ, რომ დაბრუნდება ბრემენის „ვერდერიც". შეიძლება, კარგად იასპარეზოს „ჰამბურგმაც". „შტუტგარტზე" კი ჯერ არ ვიცი - მთავარია, როგორ დააბანდებენ შვაბები მარიო გომესის სანაცვლოდ მიღებულ მილიონებს.

**- ამას წინათ თქვით, რომ დიდი შანსია, „შალკე" თქვენი უკანასკნელი გუნდი იყოს...**

- დიახ, ეს რეალურია, რადგან ახალგაზრდა ნამდვილად აღარ ვარ. დარწმუნებული ვარ, რომ ეს გუნდი უდიდეს ენერგიას წამართმევს. მაგრამ წინასწარ ვერაფერს გეტყვით. ჯერ ეს ოთხი წელი გავიდეს.

**- ბუნდესლიგაში ფაქტობრივად ყველაფერს მიაღწიეთ. იქნებ, მერე გერმანიის ნაკრები ჩაიბაროთ?**

- არავითარ შემთხვევაში! მე მინდა, რომ გუნდს ყოველდღე ვავარჯიშებდე და არა ორ თვეში ერთხელ. მხოლოდ ასეთი ტიპის სამუშაო მხიბლავს, რადგან მხოლოდ ამ დროს ვარ გუნდის შედეგებზე პასუხისმგებელი. ორ თვეში ერთხელ გუნდს რომ ავარჯიშებ, შეგირდების ფიზიკურ თუ სპორტულ ფორმაზე პასუხისმგებელი ვერ იქნები. სხვა მწვრთნელებს კი არასდროს არაფერში ვენდობი.



ტრანსფერები

ფრანკო ძუკულინი



## ძუკულინი ჰოფეს დარჩა!

### სოფლელებმა 18 წლის უდიდესი ტალანტი გადაიბირეს

არგენტინელი ტალანტი ფრანკო ძუკულინი კარიერას „ჰოფენჰაიმში“ გააგრძელებს. არგენტინული გუნდის, „რასინგ აველანედას“ პრეზიდენტმა პაბლო პოდესტამ გუშინ ადგილობრივ პრესას დაუდასტურა, რომ ძუკულინი გერმანიაში, კერძოდ კი „ჰოფენჰაიმში“ გადადის. როგორც იცით, 18 წლის ძუკულინისთვის ბრემენის „ვერდერიც“ იბრძოდა, მაგრამ ფაქტია, რომ „ჰოფენჰაიმმა“ აჯობა.

როგორც ჩვენი გერმანელი კოლეგები იუწყებიან, „ჰოფენჰაიმს“ ძუკულინის ტრანსფერი 4.6 მილიონი ევრო დაუჯდა. გარდა ამისა, არგენტინული კლუბი, მომავალში ფეხბურთელის სატრანსფერო თანხის 15 პროცენტსაც მიიღებს. ძუკულინი არგენტინაში უდიდეს ტალანტად მიიჩნევა და ის თვით დიეგო მარადონას ერთ-ერთი უსაყვარლესი ფეხბურთელია. დიეგო მას დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებს. ძუკულინის 20 მაისს არგენტინის ნაკრებში დებიუტი ჰქონდა (პანამასთან). ამ დღეებში ფეხბურთელი გერმანიაში ჩავა და სამედიცინო შემოწმებას გაივლის.

**გოტფრიდ ლენცი**

ორლანდო ენგელაარი




## ენგელაარი რუტენს გაჰყვა

ჰოლანდიური პრესის ცნობით, გადაწყვეტილია, რომ „შალკეს“ საყრდენი ნახევარმცველი ორლანდო ენგელაარი კარიერას „ეინდჰოვენში“ გააგრძელებს. როგორც იცით, ეს უკანასკნელი გელზენკირხენულ კლუბში ერთი წლის წინ, მთავარ მწვრთნელ ფრედ რუტენთან ერთად გადავიდა. „შალკეში“ იმედები ვერც რუტენმა გაამართლა და ვერც ენგელაარმა. მწვრთნელი „ხუმარებმა“ ჯერ კიდევ სეზონის დამთავრებამდე გაუშვეს, რის შემდეგაც ის „ეინდჰოვენის“ დამრიგებლად დაინიშნა, ახლა კი, რუტენს პსვ-ში ენგელაარიც მიჰყავს.

**გოტფრიდ ლენცი**

საფეხბურთო ტრაგედიები

# დიდი ბრონეულისფერი სევდა

**ტურინთან,** სუპერგას მთაზე, XVIII საუკუნის ბაზილიკაა. მისკენ ვიწრო ბილიკი ადის. ეკლესიის უკანა მხარეს, იქ, სადაც დღეს უბრალო ქვის მონუმენტი დაუდგამთ, დაახლოებით 700-მეტრიანი უფსკრულია. ქვევით მდინარე პოს ველი იშლება. სწორედ აქ, ამ მშვიდ და წმინდა ადგილას შეზანზარდა ერთ ავბედით დღეს იტალიური ფეხბურთი...

## ტრაგიკული სუპერგა

ეს მოხდა 1949 წლის 4 მაისს, შუადღისას, როცა „ფიატის“ თვითმფრინავი ტურინის აეროდრომზე უნდა დამჯდარიყო. ავდარი იდგა. თვითმფრინავში „ტორინოს“ ფეხბურთელები ისხდნენ. ისინი ლისაბონიდან ბრუნდებოდნენ, ამხანაგური თამაშიდან... ეს იყო ომის შემდგომი იტალიის ყველაზე კაშკაშა გუნდი, რომელსაც ქვეყნის ჩემპიონის ზედიზედ მეხუთე ტიტულამდე ხელის ერთი გაწვდენაღა დარჩენოდა. მას მშობლიურ „ფილადელფიაზე“, 1943 წლის შემდეგ, 93 მატჩი არ ჰქონდა წაგებული, ორი წლით ადრე კი, იტალიისა და უნგრეთის ნაკრებთა შეხვედრაში, მეკარის გარდა „ტოროს“ ათივე ფეხბურთელმა მიიღო მონაწილეობა.

„ტორინო“ მოკლე პასებით თამაშობდა. ნერგავდა ახალ, იმ დროისთვის დაუძლეველ 4-4-2 განლაგებას, ჰყავდა **ვალენტინო მაცოლა,** უნივერსალური ნახევარმცველი. იმხანად, აპენინებზე მაცოლას ბადალი არავინ იყო. მისი ვაჟი, **სანდრო,** რომელიც მამის დაღუპვის დროს 6 წლისა გახლდათ, მომავალში „ინტერნაციონალეს“ დიდი ფორვარდი გახდა და 1970 წლის მსოფლიო ჩემპიონატში მიიღო მონაწილეობა - იმ ჩემპიონატის ფინალი იტალიამ ბრაზილიასთან წააგო...

...5 საათსა და 05 წუთზე, დასაჯდომად გამზადებული თვითმფრინავის პილოტი წინა თვითმფრინავში კოლეგას გაეხუმრა - როცა დაეშვები, ყავა ჩემთვისაც შეუკვეთე და რამდენიმე წუთში მანდ ვიქნებიო. ამ დროს, ბერებმა საშინელი გრუხუნის ხმა გაიგონეს, ტაძარი შეზანზარდა. გარეთ გამოცვენილებს თვალწინ საშინელი სცენა გადაეშალათ - თვითმფრინავი მთის ფერდს შეასკდა. აღარ არსებობდა „ილ გრანდე ტორინო“, დაიღუპა ბორტზე მყოფი ოცდათერთმეტივე ადამიანი, მათ შორის, 18 ფეხბურთელი.

დაკრძალვის ცერემონიალი ორი დღის მერე შედგა. ტურინის ქუჩებში ნახევარი მილიონი ადამიანი გლოვობდა. „ტორინოს“ ჩემპიონის ტიტული დაუსწრებლად მიანიჭეს, დარჩენილ ოთხ შეხვედრაში კი მისი ახალგაზრდული გუნდი სხვა გუნდების თანატოლებთან ათამაშეს. იმ დღიდან იშვა ლეგენდა „ტორინოს“ შესახებ.

სუპერგას მემორიალი მოკრძალებული, მაგრამ წრფელი გულით გაკეთებული ადგილია. ეს გახლავთ კედელში ჩასმული დაფა, რომელზეც დაღუპულთა გვარები ამოუტვიფრავთ. მის წინ ლენტები და ყვავილები აწყვია, დანთებული სანთლები ციმციმებენ. გვერდით მიკრული ფირფიტა ტრაგედიის ამბავს გვიამბობს.

ილ გრანდე ტორინო




## უკანასკნელი მატჩი

იმ სეზონის დასაწყისში ერთმანეთს ჯერ იტალიისა და პორტუგალიის ნაკრებები შეხვდნენ. ვეტერანი ნახევარმცველი **ფრანსისკო ფერეირა** „ტორინოს“ ვარსკვლავთა ჯგუფს პირველად სწორედ იქ გადააწყდა. ამიტომაც იყო, როდესაც ჰკითხეს, „ბენფიკას“ ბენეფისზე რომელ მეტოქესთან ისურვებდით შეხვედრასო, დაუფიქრებლად უპასუხა - ძალიან მინდა, ერთხელ მაინც ვითამაშო „ტორინოს“ წინააღმდეგო.

ამის შემდეგ, „ბენფიკას“ დირექტორები „ტორინოს“ პრეზიდენტ **ფერუჩო ნოვოს** დაუკავშირდნენ და ამხანაგურ მატჩზე მოელაპარაკნენ. შეხვედრა პორტუგალიაში, ეროვნულ სტადიონზე შედგა, თუმცა ნოვო მას არ დასწრებია - საქმეებმა მას ტურინიდან გამგზავრების საშუალება არ მისცა.

იმხანად, „ბენფიკა“ კარგი გუნდი იყო, პორტუგალიის თასის მოსაგებად ემზადებოდა. ფერეირას გარდა, „არწივებში“ ნაკრების კიდევ ორი წევრი თამაშობდა - განაპირა ნახევარმცველი **ფრანსისკო მორეირა** და ინსაიდი **როჟერიუ,** იგივე **პიპი.**

მართალია, შეხვედრა ამხანაგური იყო, მაგრამ „ტორინო“ დიდ წინააღმდეგობას გადააწყდა. ტურინელებმა ლისაბონში პირველი გუნდის თვრამეტივე მოთამაშე ჩაიყვანეს, უპირატესობასაც ფლობდნენ, მაგრამ მოგებით „ბენფიკამ“ მოიგო - 4:3.

ისე, კაცმა რომ თქვას, ეს მარცხი იტალიელებს დიდად არ განუცდიათ. მატჩის შემდეგ ფერეირას გამარჯვება პირველმა სწორედ ვალენტინო მაცოლამ მიულოცა. თამაშის შემდეგ მასპინძლებმა ფეხბურთელები და კლუბის თანამშრომლები ბანკეტზე დაპატიჟეს. ბიჭებმა მშვენივრად მოულხინეს.

მეორე დილით კი, 9 საათსა და 40 წუთზე, გარემონტებული „ფიატ 212“, ბორტზე 31 მგზავრით, ლისაბონის აეროპორტიდან აფრინდა და გეზი ტურინისკენ აიღო. თვითმფრინავი ტურინში ვერ ჩაფრინდა...

## ბრონეული

1906 წლის 3 დეკემბერს, ტურინის კაფეს, რომელსაც დღეს „ბარ ნორმანი“ ჰქვია, „ბიერა ვოიტი“ ეწოდებოდა და შიგ ბული იდგა, რადგან საძირკველშერყეული „ტორინეზესა“ და „იუვენტუსის“ დირექტორთა უკმაყოფილო ნაწილი ფეხბურთის კლუბ „ტორინოს“ აფუძნებდა. ფერებად „გრანატა“, ანუ ბრონეულისფერი და თეთრი აირჩიეს.

ახალმა გუნდმა პირველი შეხვედრა დაარსებიდან 13 დღის შემდეგ ჩაატარა. „ტორინომ“ „პრო ვერჩელი“ დაამარცხა (3:1), ხოლო „ბარ ნორმანის“ როლი ისტორიამ არ დაივიწყა და კაფე სამახსოვრო ფირფიტით უკვდავჰყო.

თუკი ტურინის „კროსო რე უმბერტოზე“ 20-წუთიან გასეირნებას არ დაიზარებთ, პატარა ქუჩაზე აღმოჩნდებით. მას ვია ლენიანო ჰქვია. ეს ის ადგილია, სადაც მანქანები ცენტრსა და უბან „გრანატას“ შორის დაქრიან და სადაც დიდება კიდევ ერთ ტრაგედიას ერწყმის. კერძოდ, „ილ გრანდე ტორინოს“ ეპოქის შემდეგ ბრონეულისფერთ ახალი ვარსკვლავი, **ლუიჯი მერონი** გამოუჩნდა - „იტალიელი ჯორჯ ბესტი“. ის იყო ბრწყინვალე დრიბლიორი 7-ნომრიანი მაისურით, რომელსაც გათხოვილი ქალი შეუყვარდა და ამით მორალისტი იტალია დაზაფრა. 1967 წლის 15 ოქტომბერს, „სამპდორიასთან“ გამარჯვების (2:1) აღსანიშნავად „კროსო რე უმბერტოზე“ გასულ მერონის 2 (!) მანქანა დაეჯახა.

4-საათიანმა ოპერაციამ ფეხბურთელი ვერ გადაარჩინა - 24 წლის „ბრონეულის პეპელა“ გარდაიცვალა. ტურინმა კიდევ ერთხელ ჩაიცვა ძაძები, ხოლო ტრაგედიიდან ერთ კვირაში „ტორინოს“ ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ემოციური მატჩიც გაიმართა - „გრანატამ“ თანაქალაქელი „იუვენტუსი“ გაანადგურა - 4:0.

...და საოცარი რა არის, იცით? ის, რომ სუპერგას ტრაგედიის პილოტიც გვარად მერონი გახლდათ - **პიერლუიჯი მერონი.** ხოლო „კროსო რე უმბერტოზე“ დატრიალებული ტრაგედიის მონაწილე ერთ-ერთ მანქანას „ტორინოს“ ფანი **ატილიო რომერო** მართავდა, ადამიანი, რომელიც 33 წლის შემდეგ კლუბის პრეზიდენტი გახდა, თუმცა - ცოტა ხნით, რადგან მის პრეზიდენტობას წარმატებები არ მოჰყოლია.

## ფილადელფია

„ტორინო“ რომ შეიგრძნოთ, ტრამვაით „ფილადელფიას“ სტადიონზე უნდა მიბრძანდეთ. გზად კლუბის ახლანდელ ბინას, „სტადიო ოლიმპიკოს“, მარცხნივ ტოვებთ და დროში ცოტა უკან ბრუნდებით.

„ტორინო“ „ფილადელფიაზე“ 1926-დან 1963 წლამდე თამაშობდა, შემდეგ კლუბმა ის საწვრთნელ ბაზად აქცია, ხოლო 1998 წელს ნაგებობა ფაქტობრივად დაანგრია კიდეც. უნდოდათ მისი აღდგენა? რა თქმა უნდა, უნდოდათ, მაგრამ მისი აღდგენის რამდენიმე გეგმა პლანშეტებს არ გასცილებია. თუმცა, რაკილა „ფილადელფია“ ნანგრევების სახით ჯერ კიდევ არსებობს, „მორწმუნე“ ქომაგები იმედოვნებენ, რომ ერთ მშვენიერ დღეს აღდგება ყველაფერი, აღდგება ჯადოსნური „ფილადელფია“ და თვით „ილ გრანდე ტორინო“.

ერთი სიტყვით, ფილადელფიის ქუჩის გადაღმა, ფანების იმედი სამი მხრიდან საცხოვრებელი კორპუსებით, ხოლო მეოთხიდან რკინიგზის ლიანდაგით არის გარშემორტყმული. ის შემოღობილია, მაგრამ ღობეში გაძვრომა დიდ სირთულეს არ წარმოადგენს. მოედანი სარეველათია დაფარული, აი, კარებს კი ბადეები შემორჩენია. ვანდალიზმის კვალი არ ჩანს, არც ნაგავი ყრია, ხოლო კედლებზე წარწერები „ტორინოს“ ეხება. მოედნის პირდაპირ კვლავ დგას სალაროები და ცენტრალური შესასვლელი.

კვლავ დგას...

კატასტროფა სუპერგას მთაზე



**ილია ბაბუნაშვილი**

მძლეოსნობა — ევროპის გუნდური ჩემპიონატი III ლიგა

# მეცხრენი მესამე ლიგაში



სალომე რიგიშვილი



ზურაბ გიგაია

European Team Championships 3rd League Sarajevo2009

## ბოსნიისა და ჰერცეგოვინის დედაქალაქ სარაევოში 20-21 ივნისს ევროპის გუნდური ჩემპიონატი გაიმართა მე-3 ლიგაში

ლიგაში საქართველოს ნაკრებთან ერთად 12 გუნდი მონაწილეობს: ალბანეთი, ანდორა, სომხეთი, აზერბაიჯანი, ბოსნია, დანია, მაკედონია, ისლანდია, ისრაელი, ლუქსემბურგი, მოლდოვა და ჩერნოგორია. ქართველმა მძლეოსნებმა პირველ დღეს შედარებით უკეთ იასპარეზეს, ვიდრე გუშინ, თუმცა გუნდი 13 მონაწილეს შორის პირველ დღესაც მე-9 ადგილზე იყო და საბოლოოდაც ეს ადგილი დაიკავა 227 ქულით. ჩემპიონი ისრაელი გახდა 401 ქულით, მეორე ადგილი წილად მოლდოვის ნაკრებს (393 ქულა) ხვდა, მესამე - დანიას (391). ჩვენზე უკეთ გამოვიდნენ ჩვენი მეზობლები აზერბაიჯანი (327 ქულა, მე-5 ადგილი) და სომხეთი (245 ქულა, მე-8 ადგილი).

ევროპის გუნდურ ჩემპიონატზე ასეთი პრინციპით გამოითვლება ქულები: თითოეულ დისციპლინაში ქვეყნის ერთი წარმომადგენელი ასპარეზობს. მესამე ლიგაში სულ 13 გუნდია, ამიტომაც გამარჯვებული ნაკრების ყულაბას უმატებს 13 ქულას, მეორე ადგილზე გასული - 12-ს, მესამეადგილოსანი - 11-ს და ასე შემდეგ. შემდეგ ყველა (40-ზე მეტი დისციპლინა) შედეგი ჯამდება.

პირველ დღეს საქართველოს წარმომადგენლებმა ოთხი მედალი მოიპოვეს, ბადროს ტყორცნაში მე-2 ადგილი **სალომე რიგიშვილმა** დაიკავა, მესამე ადგილზე გავიდნენ: **ზურაბ გიგაია** (ბირთვის კვრა), **ბორის სხირტლაძე** (სიგრძეზე ხტომა) და **ენდრიკ ზილბერშტეინი** (400 მ).

შაბათს ვაჟთა შორის უროს ტყორცნაში **ლერი ჩიტაიშვილმა** ორივე საწყისი ცდა გააცუდა, რის გამოც მან ნაკრებს ჩასათვლელი ქულები ვერ მოუტანა. 400 მეტრზე წინაღობებით რბენაში ჰითში საუკეთესო შედეგი (ჯამში მე-6) აჩვენა **გიორგი ანთელიძემ** - 56,05 წ, რითაც საქართველომ 8 ქულა შეიმატა. სიმაღლეზე ხტომაში **ზურაბ გოგოჭური** ზუსტად 2 მეტრზე გადახტა, მე-5 ადგილი დაიკავა და ნაკრებს საერთო ყულაბაში 9 ქულა შემატა. ბირთვის კვრაში ზურაბ გიგაიამ 15,95 მეტრი შედეგი აჩვენა, რაც საგრძნობლად ჩამორჩებოდა პირველ-მეორე ადგილზე გასულების (4 მეტრზე მეტით!) მაჩვენებლებს, მაგრამ სხვებისას კი სჯობნიდა. ასე რომ, გიგაიამ მესამე ადგილი და სანაკრებო 11 ქულა მიიღო. 1 500 მეტრზე რბენაში **გიგლა ზილბერშტეინი** 13 მონაწილეს შორის მე-11 მივიდა ფინიშთან (3 ქულა). სიგრძეზე ხტომაში ბორის სხირტლაძის საუკეთესო ცდა 7,43 მეტრის ტოლფასია, იგი მხოლოდ ორ ათლეტს ჩამორჩა. სხირტლაძემ ნაკრებს 11 ქულა მოუტანა. ას მეტრზე თარჯრბენში საქართველოს ნაკრებმა პირველ ჰითში ყველას აჯობა 42,17 წამი შედეგით, ყველა ჰითის ჯანში კი ეს მე-5 შედეგი აღმოჩნდა (9 ქულა). საკვირველია ჩვენი გამოცდილი ოლიმპიელის, **დავით ილარიანის** ჩავარდნა, დათომ ჰითში უკანასკნელი, ჯამში კი მე-11 ადგილი დაიკავა (3 ქულა), მან 100 მეტრი 11,41 წამში დაფარა, რაც თითქმის წამით უარესია მისსავე პერსონალურ მიღწევასთან. ენდრიკ ზილბერშტეინმა მესამე ადგილი 400-მეტრიანი დისტანციის 47,92 წამში დაფარვით მოიპოვა.

ქალებში წინაღობებით რბენაში (400 მ) პირველ ჰითში **თეა ფაცურია** 4 მონაწილეს შორის მეორე იყო (6 ქულა) - 1:08, 17 წთ. სამხტომში **ქრისტინე შალამბერიძე** 10,69 მ. შედეგით მე-11 ადგილზე გავიდა (3 ქულა). შუბის ტყორცნაში თეა ფაცურიას ყველა შედეგი გაუცუდდა. 100 მეტრზე რბენის პირველ ჰითში **ლიკა ლოლუამ** 6 მონაწილეს შორის მე-5 ადგილი დაიკავა 13,62 წამი შედეგით (2 ქულა). 800 მეტრზე სირბილში **გაიანე უსტიანი** მე-7 იყო (7 ქულა). 400-ზე პირველ ჰითში კი თეა ფაცურია 6 მონაწილეს შორის მე-5 იყო (2 ქულა). ბადროს ტყორცნაში დღის საუკეთესო შედეგი ვაჩვენეთ, სალომე რიგიშვილმა ინსტრუმენტი 45,06 მეტრზე ისროლა. მართალია, მოლდოველ **ნატალია არტიკს** 4,5 მეტრით ჩამორჩა, მაგრამ სხვა მონაწილეებს აჯობა და ნაკრებს 12 ქულა შემატა. 3 ათას მეტრზე რბენაში **გიული დეკანაძემ** მე-6 ადგილი დაიკავა (8 ქულა). ამავე დისტანციაზე სტიპლ-ჩეიზში ფინიშამდე არ მისულა **სოფიკო ჩოჩნიძე.** 4 x100 მეტრზე ამანათრბენში საქართველოს ნაკრები მე-4 იყო (3 ქულა) 6 მონაწილე ნაკრებს შორის.

გუშინ ვაჟთა ასპარეზობები ჭოკით ხტომით განახლდა, სადაც მონაწილე არ გვყოლია. სამხტომში ბორის სხირტლაძემ 13,68 მ. შედეგით მე-7 ადგილი დაიკავა (7 ქულა). შუბის ტყორცნაში ურიგოდ არ გამოსულა **როსტომ ჭინჭარაული,** რომელმაც შუბი 63,55 მეტრზე ისროლა და მე-5 ადგილი დაიკავა (9 ქულა). ასევე არ შეურცხვენია თავი **თენგიზ ლვინჯილიას,** რომელმაც 800 მეტრზე რბენაში საბოლოოდ მე-4 ადგილი (10 ქულა) დაიკავა 1:52,09 წთ. შედეგით. 3 კმ-ზე სტიპლ-ჩეიზში **ჯეირან ხოფერია** მე-8 მივიდა ფინიშთან (6 ქულა), თუმცა აღსანიშნავია, რომ ფინიშამდე 13 მონაწილიდან სულ სწორედ რვამ მიაღწია. ბადროს ტყორცნაში ზურაბ გიგაიამ 41,10 მეტრი შედეგი აჩვენა, რაც 17 მეტრით ჩამორჩება გამარჯვებულის მიღწევას. საბოლოოდ მან მე-8 ადგილი და 6 ქულა მიიღო. 3 000 მეტრზე რბენაში გიგლა ზილბერშტეინი მე-9 ადგილზე (5 ქულა) გავიდა. 4x400მ-ზე ამანათრბენში საქართველოს ნაკრებმა ჰითში იმარჯვა, თუმცა საბოლოოდ მე-7 შედეგი აჩვენა (7 ქულა).

ქალებში 100 მეტრზე წინაღობებით რბენაში საერთო ჯამში მე-6 იყო **მაიკო გოგოლაძე** (8 ქულა). წინა დღით ბადროს ტყორცნაში თავგამოჩენილმა სალომე რიგიშვილმა უროს ტყორცნაში ველარ ივარგა - 29,03 მეტრი (40 მეტრით ნაკლები გამარჯვებულზე!), სალომემ მე-10 ადგილი და 4 ქულა მოიპოვა. სოფიკო ჩოჩნიძე ბოლოსწინა (მე-11) იყო 1 500 მეტრზე რბენაში. მან ნაკრებს 3 ქულა შემატა. 200 მეტრზე დისტანციაზე ლიკა ლოლუამ ჰითში ბოლო, ხოლო საერთო ჯამში ბოლოსწინა შედეგი აჩვენა, ასე რომ, მისი მონაგარი ოდენ 2 სანაკრებო ქულაა. სიმაღლეზე ხტომაში განაცხადში ქრისტინე შალამბერიძე იყო, თუმცა მას დისციპლინაში მონაწილეობა არ მიუღია. სალომე რიგიშვილმა გუშინ ბირთვის კვრაშიც იასპარეზა, ბირთვი მან 12,57 მეტრზე ისროლა და მეხუთე ადგილი დაისაკუთრა (9 ქულა). მაიკო გოგოლაძე სიგრძეზე 5,06 მეტრზე გადახტა, ეს საერთო ჯამში მე-10 შედეგია (4 ქულა). გიული დეკანოსიძემ 5 კილომეტრზე რბენაში მე-6 ადგილი დაიკავა (8 ქულა). 4x400 მეტრზე საქართველოს ქალთა ნაკრებმა ჰითში წინ მხოლოდ სომხეთი გაუშვა, თუმცა ლიდერს მთელი 14 წამით ჩამორჩა, მეორე ჰითში ჩვენს გუნდზე უკეთესი შედეგი ყველა ნაკრებმა აჩვენა. ასე რომ, ამ დისციპლინაში მე-9 ადგილს და 5 ქულას დავჯერდით.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

გიორგი ჭანიშვილის ფოტოები სარაევოდან

ჭადრაკი

# ნაკრების ნევრები ცხრილის სათავეში

თბილისის მერიის თასზე მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირის მონაწილეებმა გასულ უქმეებზე ორი ტურის პარტიები გაითამაშეს. სასიამოვნოა, რომ 6-6 ქულით ცხრილის სათავეში საქართველოს ოლიმპიური ნაკრების წევრები - **ბაადურ ჯობავა, მიხეილ მჭედლიშვილი, მერაბ გაგუნაშვილი** და **დავით არუთინიანი** მოექცნენ. ოთხივენი მაღალი კლასის დიდოსტატები არიან, რაც არაერთხელ დაუმტკიცებიათ მნიშვნელოვან საერთაშორისო ტურნირებში, მათ შორის - საჭადრაკო ოლიმპიადაზე. ვფიქრობთ, ბოლო ორ ტურში უმთავრესად სწორედ ისინი იბრძოლებენ მთავარი პრიზის მოსაპოვებლად.

ახლა კი უფრო დაწვრილებით შაბათკვირას გამართული პაექრობების შესახებ: მეექვსე ტური შედარებით მშვიდობიანი აღმოჩნდა, რადგან ლიდერთა უმრავლესობამ დაზავება არჩია. ყაიმზე შეთანხმდნენ მერაბ გაგუნაშვილი და ბაადურ ჯობავა, **არმან პაშიკიანი** და მიხეილ მჭედლიშვილი, **კონსტანტინე შანავა** და **მიხეილ ქობალია, მალხაზ სულაშვილი** და **თორნიკე სანიკიძე, აკაკი შალამბერიძე** და **ვალერი ნევეროვი, დავით ჯოჯუა** და **სალომე მელია, გევორქ ჰარუთუნიანი** და **ლუკა პაიჭაძე,** სამაგიეროდ, მონაგარი თითო ქულით გაიმდიდრეს **ლევან ფანცულაიამ, ლელა ჯავახიშვილმა, დავით ბენიძემ** და დავით არუთინიანმა.

გუშინდელი მეშვიდე ტური კი უკომპრომისობით იყო გამორჩეული, რადგან პირველ თხუთმეტ დაფაზე მხოლოდ ორი ყაიმი აღინიშნა: დაზავდნენ მიხეილ ქობალია და **დავით პეტროსიანი,** მაკა ფურცელაძე და მალხაზ სულაშვილი, დანარჩენი პარტიები შედეგიანი გამოდგა: ბაადურ ჯობავა-ლევან ფანცულაია 1:0, დავით არუთინიანი-არმან პაშიკიანი 1:0, ლელა ჯავახიშვილი-მერაბ გაგუნაშვილი 0:1, მიხეილ მჭედლიშვილი-კონსტანტინე შანავა 1:0, თორნიკე სანიკიძე-შოთა აზალაძე 1:0, ვალერი ნევეროვი-ზეინაბ მამედიაროვა 1:0, ნანა ძაგნიძე-ინგა ჭარხალაშვილი 1:0, სალომე მელია-ლევონ ბაბუჯიანი 0:1, მიხეილ ჯამაგიძე-გევორქ ჰარუთუნიანი 1:0, გიორგი მარგველაშვილი-აკაკი შალამბერიძე 1:0, გაიოზ ნიგალიძე-ფარიდ ზეინალოვი 0:1, ლუკა პაიჭაძე-ხვიჩა სუპატაშვილი 0:1.

დღეს VIII ტურში ერთმანეთს ხვდებიან: მჭედლიშვილი (6)-ჯობავა (6); გაგუნაშვილი (6)-არუთინიანი (6); ბაბუჯიანი (5,5)-ქობალია (5,5); პეტროსიანი (5,5)-სანიკიძე (5,5); სუპატაშვილი (5,5)-ნევეროვი (5,5); ზეინალოვი (5,5)-ძაგნიძე (5,5); ჯოჯუა (5,5)-მარგველაშვილი (5,5); პაშიკიანი (5)-ჯამაგიძე (5,5); ფანცულაია (5)-ხურციძე (5).

**ვაჟა დანელია**

რაგბი — საქართველოს ჩემპიონატი



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

# ლიდერი ისევ ლელოა, ქუთაისში კი აურზაურია

**აკადემია-უნივერსიტეტი 12:5**

აკადემია (15-9): ი.დავითაშვილი, სუთიძე, წასიძე, მოლოდინაშვილი, ბატოიანი (წუაძე 37), ავლოხაშვილი, შ.დავითაშვილი. (1-8) ლამბაშიძე, მეკოკიშვილი, დიაკონიძე, ლ.ობოლაძე (გელაძე 44), გაჩეჩილაძე, ნიბლაძე, ჩაჩუა (დ.ობოლაძე 60), ნებულიშვილი.

*2ლ: წასიძე, ბატოიანი. გ: შ.დავითაშვილი*

უნივერსიტეტი (15-9): ფერაძე (გოგია 36, ჯანაშვილი 72), ნადარეიშვილი, ნუცუბიძე, მორჩაძე, ჯმუხაძე, ბაირამაშვილი, ა.ზაბაზიძე. (1-8) გ.კაკივინი, გ.ზაბახიძე, ქორიძე, გ.სურგულაძე, ი.სურგულაძე, ვ.ტუჩაშვილი, დარასელია, გუნიავა (ჩილაჩავა 5).

*ლ: ჩილაჩავა.*

მსაჯი: ნ. რობიტაშვილი

საქართველოს სარაგბო ჩემპიონატის ნახევარი უკვე მიილია. პლეი ოფში მოხვედრისათვის ბრძოლა ტურიდან ტურამდე სულ უფრო მძაფრდება. ყველა ქულას ოქროს ფასი აქვს. ჯერ კიდევ არაა გამოკვეთილი აშკარა ლიდერი, ფავორიტი და არც უიმედო აუტსაიდერი ჩანს სადმე.

„აკადემიამ", რომელსაც სტარტზე ზედიზედ სამი მოგების შემდეგ გამარჯვების გემო დაავიწყდა, სატურნირო ცხრილში ბოლო ადგილზე მყოფი „უნივერსიტეტი" უშელავათო ბრძოლაში დაამარცხა - 12:5.

„უნივერსიტეტი" ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდული და მზარდი გუნდია. თუმცა აშკარად ეტყობა, რომ მოთამაშეებს გამოცდილება აკლიათ. უნივერსიტეტელებმა დღემდე მხოლოდ ერთი გამარჯვება რომ იზეიმეს, ეს ფაქტორი ალბათ ერთ-ერთ უმთავრეს მიზეზად უნდა მივიჩნიოთ.

„აკადემიასთან" დაპირისპირებაში უნივერსიტეტელებს უკან დასახევი არსად ჰქონდათ. ეს ყველა მოთამაშეს კარგად ჰქონდა გააზრებული და შეიძლება ითქვას ზედმეტ ფსიქოლოგიურ ტვირთადაც აწვათ მხრებზე. სხვას ვერაფერს დავაბრალებთ იმ ელემენტარულ შეცდომებს, რაც მათ მატჩის პირველ ტაიმში მოსდიოდათ.

ხაზგასმით აღსანიშნავია აკადემიელთა სწორი ტაქტიკური მოქმედება. მათ შენიშნეს, რომ მაღალი აზრაგანის შემდეგ, „უნივერსიტეტის" მცველებს ბურთის დაჭერა უჭირდათ და ხშირად სცოდავდნენ. ეს ხერხი „აკადემიამ" არაერთხელ გამოიყენა, რითაც მეტოქეს ხშირად აყენებდა რთულ მდგომარეობაში. იმავეს ვერაფრით ვიტყვით უნივერსიტეტელებზე. მათ ფეხით თამაში აშკარად არ გამოუვიდათ.

ანგარიში მე-17 წუთზე „აკადემიამ" გახსნა. არადა, შეტევა „უნივერსიტეტის" იყო. მარცხენა ფრთაზე მათი ბეკები უტევდნენ. შეტევაში სიღრმიდან ჩართულმა ფულ ბეკმა **ირაკლი ფერაძემ,** მეტოქის ლელოდან ათ მეტრში ფეხით სცადა შეცურება თანაგუნდელი გარემარბისთვის, მაგრამ დაუფარეს. უკან გადმოვარდნილ ბურთს „აკადემიის" შუამარბი **ბესო წასიძე** წამოეწია და ფეხით სამჯერ წინ წაიგდო. ასე, ფეხბურთის თამაშ-თამაშით „უნივერსიტეტის" კარის ძელებს შორის გაიტანა ლელო. გარდასახვა **შალვა დავითაშვილმა** დაარტყა ზუსტად - 7:0.

ანგარიშში კიდევ უფრო დაწინაურება „აკადემიამ" თორმეტ წუთში მოახერხა. მარჯვენა ფრთაზე აკადემიელთა გარემარბმა **როლანდ ბატოიანმა** გაიბრწყინა. მან ფეხით მოკლეზე გადაიკიდა მეტოქის ზურგს უკან ბურთი, თავადვე წამოეწია და ლელო კიდესთან ახლოს გაიტანა. რთული მდგომარეობიდან დავითაშვილს გარდასახვა გაუცუდდა - 12:0. ასე დასრულდა პირველი ნახევარი.

მეორე ტაიმი მთლიანად „უნივერსიტეტის" უპირატესობით წარიმართა. მათ დასაწყისშივე, 44-ე წუთზე შეძლეს მეტოქის ქალაქის აღება. „აკადემიის" ლელოდან ხუთ მეტრში დანიშნული შერკინებიდან, ბურთი შეცვლაზე შემოსულმა **ლევან ჩილაჩავამ** აიტაცა და ჩათვლის მოედანში შეიტანა. გარდასახვა **ლაშა ბაირამაშვილს** გაუცუდდა - 12:5.

ეს ანგარიში მატჩის ბოლომდე უცვლელი დარჩა. არადა, „უნივერსიტეტმა" შეხვედრის ბოლო ათი წუთი მოწინააღმდეგის ლელოს მისადგომებთან გაატარა. შტურმი, რომლებსაც ძირითადად მორკინალები ახორციელებდნენ, „აკადემიამ" თავდადებული თამაშის წყალობით მოიგერია.

■ ■ ■

ცუდი ინციდენტი დაფიქსირდა ქუთაისში. „აიასა" და „ვისოლი ყოჩებს" შორის დაპირისპირება, მატჩის 74-ე წუთზე ჩაიშალა. ამ დროისთვის სტუმრები წინ იყვნენ ანგარიშში - 22:20.

ძალიან გაუჭირდა გამარჯვების მოპოვება სტუმრად რუსთავის „ხარებთან" ქვეყნის მოქმედ ჩემპიონ თბილისის „ლოკომოტივს". რკინიგზელებმა მეტოქის თითო ლელოსა და საჯარიმოს, სამი საჯარიმოთი უპასუხეს და მინიმალური ანგარიშით - 9:8 გაიმარჯვეს.

დაუმარცხებლად განაგრძობს ასპარეზობას გათამაშების ერთპიროვნული ლიდერი „ლელო". საქართველოს თასის მფლობელმა და ვიცე-ჩემპიონმა სტუმრად დაამარცხა ბათუმი XV - 39:28.

**VIII ტური**

| | |
|---|---|
| ხარები (რუს)-ლოკომოტივი (თბ) | 8:9 |
| ბათუმი XV-ლელო (თბ) | 28:39 |
| აია (ქუთ)-ვისოლი/ყოჩები (თბ) | ჩაიშალა |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლელო | 5 | 5 | 0 | 0 | +94 | 10 |
| 2.ლოკომოტივი | 5 | 4 | 0 | 1 | +27 | 8 |
| 3.აკადემია | 8 | 4 | 0 | 4 | -2 | 8 |
| 4. ბათუმი XV | 8 | 4 | 0 | 4 | -25 | 8 |
| 5.ვისოლი ყოჩები | 4 | 3 | 0 | 1 | +23 | 6 |
| 6.აია | 6 | 2 | 0 | 4 | +10 | 4 |
| 7.ხარები | 8 | 2 | 0 | 6 | -53 | 4 |
| 8.უნივერსიტეტი | 6 | 1 | 0 | 5 | -70 | 2 |

**ბესიკ ჯანგავაძე**

კალათბურთი

საპრანსფერო სიახლენი

# პირველი მერცხალი: ელისი ესტუდიანტესში

შაბათის ნომერში გაგაცანით საქართველოს ნაკრების 15-კაციანი განაცხადი. მასში 11 ლეგიონერი იყო, რომელთაგან თერთმეტივე სატრანსფერო აბლაბუდაშია გახვეული: არ გაგიკვირდეთ, მაგრამ შეიძლება კლუბი ყველამ გამოიცვალოს.

საქართველოს ნაკრებისთვის კი უკეთესი იქნება, შეკრებას თითოეული ლეგიონერი დაბინავებული შეხვდეს და საკლუბო საკითხებზე სანერვიულო აღარ ჰქონდეს.

სატრანსფერო საქმეში პირველი მერცხალიც გამოჩნდა: ნატურალიზებული ქართველი, **ტაირონ ელისი** პირველი იქნება, ვინც კონტრაქტს გააფორმებს. იგი სევილიური "კახასოლიდან" მადრიდულ "ესტუდიანტესში" გადადის. სხვათა შორის, სტუდენტთა გუნდში ორი წლის წინათ **ვიქტორ სანიკიძე** თამაშობდა.

ესპანური წყაროების მტკიცებით, ტაირონსა და მადრიდელებს შორის შეთანხმება მიღწეულია და ხელშეკრულების გაფორმებას წინ აღარაფერი უდგას.

აი, რას წერს პოპულარული გამოცემა "ელ მუნდიო დეპორტივო": *"უკანასკნელმა ტაირონ ელისმა ყოფილ კლუბ "კახასოლთან" ხელახალი კონტრაქტი აღარ გააფორმა. მას მალე მადრიდის "ესტუდიანტესის" შემადგენლობაში ვიხილავთ.*

*სტუდენტურმა კლუბმა კონტრაქტი აღარ გაუხანგრძლივა სამო უდრიხს, რომლის შემცვლელადაც ექსსევილიელ ტაირონ ელისს იმატებს. გუნდის ხელმძღვანელობის თქმით, ხელშეკრულება ამ კვირაში უნდა გაფორმდეს.*

*ქართული პასპორტის მქონე ამერიკელმა ელისმა ახლახან უარყო "კახასოლის" შეთავაზება და სიტყვიერი თანხმობა განაცხადა "ესტუდიანტესის" შეთავაზებაზე.*

*192 სმ. სიმაღლის ელისი 5 ოქტომბერს 31 წლისა გახდება. მას ზურგსუკან სერიოზული გამოცდილება აქვს. "ესტუს" ხელმძღვანელობას იმედი აქვს, რომ ტაირონი გუნდს ფლეი ოფში გასვლაში დაეხმარება.*

*საქართველოს ნაკრების უკანასკნელს ესპანეთის ჩემპიონატში თამაშის მხოლოდ ორწლიანი გამოცდილება ("კახასოლში" 2 სეზონი გაატარა) როდი აქვს. იგი 2002-03 წლებში "ხირონას" ღირსებას იცავდა.*

*ელისი დამაჯერებელია დაცვაში თამაშისას და სახიფათოა სამქულიანების ტყორცნისას. სევილიურ "კახასოლში" ბოლო ორი სეზონის განმავლობაში შორეული ტყორცნების 40 პროცენტს იყენებდა, რაც მაღალი მაჩვენებელია.*

*ტაირონი მოხსნებისთვისაც თამამად იბრძვის, ხოლო პასებში სამო უდრიხს ნამდვილად არ ჩამოუვარდება. ელისს შარშან 32 მატჩში 52 შედეგიანი გადაცემა ჰქონდა შესრულებული.*

*"ესტუდიანტესის" ხელმძღვანელობა უკანა ხაზში ელისის მეწყვილეზეც ზრუნავს – ეძებს ახალგაზრდა, მონდომებულ კალათბურთელს, რომელიც ტაირონთან ერთად სახიფათო დუეტს შექმნის. თუმცა, ვის დაიმატებენ, ჯერ უცნობია."*

როგორც ხედავთ, ტაირონ ელისი "ესტუდიანტესთან" ძალიან ახლოსაა. დაველოდოთ კონტრაქტის გაფორმებას და კალათბურთელის პრეზენტაციას...

მანამდე გეტყვით, რომ იგი ევროპაში ამერიკიდან 2002 წელს ჩამოვიდა და ერთი სეზონი "ხირონაში" გაატარა.

2003-04 წლების სეზონში ფრანკფურტის "სკაილაინერსში" გადავიდა, სადაც ორი წელიწადიი დაყო და მწვრთნელ **გორდონ ჰერბერტთან** ერთად გერმანიის ჩემპიონობა მოიპოვა.

2005-06 წლებში ტაირონი თურქეთის "ბეშიქთაშის" ღირსებას იცავდა. სწორედ ამ დროს მიიღო საქართველოს პასპორტი და საქართველოს ნაკრებს 2006 წლის შემდეგ ეხმარება.

2006-07 წლებში ელისმა იტალიაში "შეიარა" – ნაპოლის "ელდოში" ერთ-ერთი ლიდერი გახლდათ.

2007-09 წლებში გამართულ ორ სეზონში იგი სევილიის "კახასოლთან" ერთად ცდილობდა ესპანეთის ჩემპიონატის პლეი ოფში შეღწევას, მაგრამ მიზანს ვერც ერთხელ მიაღწია. შეიძლება, სწორედ ამიტომაც გადაიფიქრა სევილიელებთან კონტრაქტის გაფორმება და "ესტუდიანტესის" წინადადება მიიღო.

**ვაჟა სიმონიშვილი**

# ზაზა ფაჩულია, ონილი და ტორონტო



ზაზა ფაჩულია

ამერიკულ პრესაში სატრანსფერო ამბებზე არაერთი სტატია იწერება. ზოგიერთი გუნდის ხელმძღვანელთა გამონათქვამებზეა აგებული, ზოგი კი უბრალო ჟურნალისტური ვარაუდია.

პოდა, ჩვენც ვცდილობთ შედარებით სარწმუნო ინფორმაციებს "სარეველა ბალახი" მოვაშოროთ და ქართველ მკითხველს მეტ-ნაკლებად სანდო ინფორმაცია მივაწოდოთ.

**ზაზა ფაჩულიას** "ატლანტაში" დარჩენაზე წერს "პრობასკეტნიუსი". მისი ჟურნალისტის თქმით, "ატლანტა ჰოქსი" საინტერესო ტრანსფერზე მუშაობს. გუნდის უფროსობას გადაწყვეტილი აქვს **შაკილ ონილის** გადაბირება. სანაცვლოდ "ფინიქს სანსს" **ჯოშ სმიტს, ეისი ლოს** და **სპიდი კლექსტონს** დაუთმობს.

"პრობასკეტნიუსისვე" მტკიცებით, "ჰოქსი" ზაზა ფაჩულიასა და **მაიკ ბიბის** ახალ ხელშეკრულებებს გაუფორმებს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ "ატლანტას" NBA-ში ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი წინა ხაზი ეყოლება.

გამოცემა "ბლიჩერრეპორტი" "ტორონტო რეპტორსზე" წერისას ოთხ თავისუფალ აგენტს ასახელებს, რომელთაგან ერთ-ერთს გუნდი პირველი ივლისის შემდეგ აიყვანს. აი, ეს ოთხეულიც: **ჩენინგ ფრეიე, ჩარლი ვილიანოვა, ზაზა ფაჩულია** და **ჯერეტ ჯეკი.** დახასიათებულია ყველა კალათბურთელი. ზაზაზე ნათქვამია: *"ფაჩულია საიმედო სათადარიგო ცენტრია. საშუალოდ 20 წუთს ითამაშებს და ღირსეულად შეენაცვლება "ტორონტოს" სასტარტო მეფარეებს. მისთვის 2-წლიანი და 7-მილიონიანი კონტრაქტი ურიგო ვარიანტი არ იქნება."*

სტატიას თან ერთვის გამოკითხვა, რომელშიც დასმულია კითხვა: "რეპტორზს" ყველაზე მეტად რომელი კალათბურთელი გამოადგება?

ზემოხსენებულ ოთხეულში ზაზას ხმების 3.8 პროცენტი აქვს მიღებული. პირველ ადგილზეა ჩარლი ვილიანოვა – 32.1 პროცენტი.

აქვე დავამატებთ: ამერიკაში თავისუფალ აგენტთა ბაზარი 1 ივლისს იხსნება. სწორედ მომდევნო თვიდან უნდა ველოდეთ რეალურ სატრანსფერო ამბებს.

**ვაჟა სიმონიშვილი**

ჩოგბურთი



გამარჯვებულები, პრიზიორები და ორგანიზატორები

# ავიახაზების მეთერთმეტე რეისი

ლეილა მესხის ჩოგბურთის აკადემიის კორტებზე გუშინ დამთავრდა 14 და 16 წლის ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირი „ავსტრიის ავიახაზების თასზე". ამ ტრადიციულ შეჯიბრებაში, რომელიც მეთერთმეტედ გაიმართა, 12 ქვეყნის 150-მდე გოგონა და ვაჟი მონაწილეობდა, მათ შორის იყვნენ ის ქართველი ჩოგბურთელები, რომლებიც ამ ასაკში კონტინენტის პირველობაზე იასპარეზებენ. შეგახსენებთ, რომ 20-26 ივლისს ჩეხეთში ევროპელ თანატოლებს გაეჯიბრებიან **ლიზა ნადიბაიძე, თამარ ჭალაგანიძე, მიხეილ ხმიადაშვილი, შოთა მეფარიძე** (14-წლიანებში), **ბაბილინა მაჩაიძე, ნინო სუჯაშვილი, ალექსანდრე მეტრეველი, გიორგი ცივაძე** (16-წლიანებში) და **ეკა გორგოძე** (18-წლიანებში). შარშანწინ გორგოძემ **გიორგი ხმიადაშვილთან** ერთად ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიურ ფესტივალზე შერეულ წყვილებში ჩემპიონობა მოიპოვა, ხოლო ერთეულთა თანრიგში მეორე ადგილი დაიკავა. წლეულს მსგავს შეჯიბრებაზე, რომელსაც ფინური ტამპერე უმასპინძლებს, **ბარბარე ერისთავი, ანი გოგვაძე, ნიკა დოლიძე** და **სანდრო დავლიანიძე** გაემგზავრებიან.

ზემოდასახელებული ახალგაზრდა ჩოგბურთელისთვის ევროპული ბატალიების წინ „ავსტრიის ავიახაზების თასის" გათამაშება კარგი საშეჯიბრო პრაქტიკა გამოდგა.

თოთხმეტი წლის გოგონათა ნახევარფინალში **მაია კაციტაძემ მარიამ გოგელაშვილი** დაამარცხა (6:0, 6:2), ხოლო ლიზა ნადიბაიძემ დაძაბულ პაექრობაში უკრაინის სახელით მოასპარეზე **მარიამ დოლაშვილს** სძლია (7:5, 7:6), თუმცა გადამწყვეტ შეხვედრაში ტრავმის გამო ვერ იასპარეზა და მთავარი პრიზი უბრძოლველად კაციტაძეს ხვდა, რომელიც რუსეთის სახელით გამოდის, მისი მშობლები დიდი ხანია, კრასნოდართან ახლოს ცხოვრობენ. მაიამ შარშანაც მოსინჯა ძალები თბილისის ტურნირზე, მაგრამ მესამე წრეში დამარცხდა, ამჯერად კი, როგორც ვთქვით, კვარცხლბეკის უმაღლესი საფეხური დაიპყრო.

წყვილთა ფინალური ორთაბრძოლა დრამატულად წარიმართა. **თამარ კუტუბიძისა** და **ნანო ჯანელიძის** წყვილმა პირველი ხელი 6:4 მოუგო მარიამ გოგელაშვილისა და **ნინო უგრელიძის** დუეტს. მეორეში 5:3 დაწინაურდა, მაგრამ ნინომ და მარიამმა შეძლეს არა მარტო სეტის (7:5), არამედ მთლიანად მატჩის ბედის შემობრუნება (მესამე ხელი 6:3 მოიგეს).

საინტერესო გამოდგა ორთაბრძოლები 14-წლიან ვაჟთა შორის. მეოთხედფინალში თბილისელმა **შოთა მეფარიძემ** სამ სეტში წააგო (7:6, 3:6, 0:6) ბათუმელ **მიხეილ სიმონიანთან,** რომლის მშობლებიც თბილისიდან არიან ასული ისრაელში. მიშას ფინალში გზა **სანდრო დავლიანიძემ** გადაუღობა (6:3, 6:1). გადამწყვეტი პაექრობაც მან კარგად დაიწყო — პირველი ხელი მოუგო რუსეთის სახელით მოასპარეზე **გიორგი ჯავახიშვილს,** რომელიც თბილისში დაიბადა. მამამისი სანკტ-პეტერბურგში მუშაობდა, ამიტომ დედასთან ერთად ნევისპირა ქალაქში გადასახლდა. იქვე გაეცნო ჩოგბურთის ანაბანას. თანატოლთა შორის რამდენიმე ტურნირის გამარჯვებულია. როგორც შევიტყვე, დედასთან და უმცროს ძმასთან ერთად ამ ზაფხულს ისევ თბილისში აპირებს დაბრუნებას, აქაურ მოქალაქეობას მიიღებს და შეჯიბრებებშიც საქართველოს სახელით იასპარეზებს. გუშინდელ ფინალურ შეხვედრაში კი ზედიზედ ორი ხელი მოუგო დავლიანიძეს (6:2, 6:3)1 და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა. დავლიანიძე მეორე ადგილზე გავიდა, თუმცა მან წყვილთა თანრიგში რუს **ანდრეი რეზკინთან** ერთად ყველა მეტოქე დაამარცხა, მათ შორის — ფინალში **მერტ ადალანისა** (თურქეთი) და მიხეილ სიმონიანის დუეტი — 6:1, 6:1.

16 წლის გოგონათა ფინალში **ბაბილინა მაჩაიძემ** დაძაბულ პაექრობაში აჯობა (6:3, 23:6, 6:3) **ბარბარე ერისთავს,** რომლებმაც მანამდე, შესაბამისად, სომეხი **ანანიტ განჯალიანი** და პირველ ნომრად განთესილი **თამარ კომახიძე** დაამარცხეს. სამაგიეროდ, წყვილთა პაექრობაში სომხებმა — განჯალიანმა და **ნუნე ხაჩატრიანმა** პირველობა არავის დაუთმეს — ფინალში ერისთავი-გოგვაძის წყვილს სძლიეს (6:4, 6:2).

ვაჟთა ერთეულთა თანრიგში პირველ-მეორე ნომრებად განთესილმა **გიორგი ცივაძემ** და **დავით ხუციშვილმა** თავიანთი უპირატესობა დაუმტკიცეს მეტოქეებს. ნახევარფინალში ცივაძემ სლოვენიელი **რიკარდო როზაკი** დაამარცხა (6:4, 4:6, 6:0), ხოლო ხუციშვილმა რუს **თეიმურაზ მეტრეველს** დააყრევინა ფარ-ხმალი (3:6, 6:4, 6:0). ფინალურ დუელში ცივაძემ იმარჯვა (6:4, 6:2). ამ დაპირისპირებას ბიჭებისთვის ხელი არ შეუშლია წყვილთა თანრიგში ერთად ასულიყვნენ კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე — დათომ და გიორგიმ გადამწყვეტი შეხვედრა **ავივ დარმონსა** და **გაბრიელ თავორს** (ორივე ისრაელი) მოუგეს (6:1, 6:2).

„ავსტრიის ავიახაზების თასზე" მონაწილე ჩოგბურთელებმა, „დინამოს" კორტებზე გადაინაცვლეს და დღეიდან „რენადათოს თასის" გათამაშებაში ჩაებმებიან.

**ვაჟა დანელია**

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

# ორი წლით უფროსები დაჯაბნა

თბილისის „სითი სპორტის" საჩოგბურთო კლუბში (დირექტორი **მიხეილ ბუთხუზი**) 300-მდე მოზარდი ვარჯიშობს. ისინი სისტემატურად მონაწილეობენ სხვადასხვა შეჯიბრებაში. განსაკუთრებით თორმეტწლიანთა საქართველოს ნაკრების წევრები — **თამარ კუტუბიძე** და **ნანო ჯანელიძე** გამოირჩევიან.

გუშინ ოთხ ასაკში კლუბის ღია პირველობა დამთავრდა. კორტებზე 85 მოზარდი ეცილებოდა ერთმანეთს ჯილდოებს. გაგაცნობთ გამარჯვებულთა ვინაობას:

10-წლიანები — **ნატალია სიმონიშვილი** და **სანდრო ჭადაშვილი** (საგულისხმოა, რომ სანდრო 8 წლისაა და ორი წლით უფროსი მეტოქეები დაჯაბნა), 12-წლიანები — **თამარ კუტუბიძე** და **ლუკა ბუთხუზი,** 14-წლიანები — **რუსუდან ბებერაშვილი** და **ლუკა კაპანაძე,** 16-წლიანები — **გვანცა გედენიძე** და **სანდრო სისაური.**

**ვაჟა დანელია**

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო



სანდრო ჭადაშვილი

# ორი ქართველი პერიგოში

ფრანგულ პერიგოში ქალ ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირი იწყება, რომლის საპრიზო ფონდი 25 ათასი ამერიკული დოლარია. მაშინ, როცა მთელი საჩოგბურთო სამყაროს ყურადღება უიმბლდონის ტურნირისკენაა მიპყრობილი, ჩვენ ეს ტურნირი უფრო გვაინტერესებს, რადგან ერთეულთა ძირითად ბადეში ორი ქართველია. მე-7 ნომრად განთესილი **მაკა ჩახნაშვილი** (228) „უაილდ ქარდით" მიწვეულ ფრანგ **კაროლინ გარსიას** შეხვდება. გარსია 16 წლის ურეიტინგო ჩოგბურთელია, წესით, ჩვენებურს მისი დამარცხება არ უნდა გაუჭირდეს. **სოფიო შაფათავას** (272) კი სერიოზული მეტოქე ეყოლება, მე-2 ნომრად განთესილი უკრაინელი **იულია ვაკულენკო** (182). ვაკულენკო შარშან მსოფლიოს 31-ე ჩოგნობამდე აღზევდა. შაფათავა და ვაკულენკო ერთმანეთს პირველად ეთამაშებიან. შვედეთში კრისტიენშამნის ტურნირში (25 ათასი $) მე-3 ნომრად განთესავენ **ანა ტატიშვილს** (164).

ამერიკაში ჩიკოს საერთაშორისო ტურნირში (15 ათასი $) საკვალიფიკაციო ბადეში მე-2 ნომრად განთესეს **ნიკოლოზ ბასილაშვილი** (840), რომელიც პირველ წრეში ისვენებდა, მეორეში კი ბრიტანელ **მეთიუ შორტს** ხვდება. ფიცვილიამის (ირლანდია, 10 ათასი $) ტურნირის ძირითად ბადეში ითამაშებს **ლაზარე კუხალაშვილი** (842).

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ხელბურთი



საქართველოს ჩემპიონი თბილისი

# თბილისი ჩემპიონია!

**თბილისი–ქარიშხალა 34:25**
(პირველი მატჩი 34:14)

თბილისი: ანდრიაძე, თევზაძე (3 გოლი), ჯიშკარიანი, ქარდავა (2 გოლი), კალანდაძე (3 გოლი), გ. წივწივაძე (6 გოლი), სამარლანიშვილი, ღლანიძე (6 გოლი), ყაველაშვილი (2 გოლი), მაისურაძე (7 გოლი), გელაშვილი (3 გოლი), ქუთათელაძე (2 გოლი)

*მწვრთნელი: ტიტე კალანდაძე*

ქარიშხალა: ტორონჯაძე, გოგალაძე (4 გოლი), ფერაძე, ბიბილური (1 გოლი), სილაქაძე (1 გოლი), მ. კობახიძე (4 გოლი), გ. კობახიძე (4 გოლი), ჩიკვილაძე (1 გოლი), ყაზაიშვილი, მელქოშვილი, ყიფიანი (8 გოლი), ჯორბენაძე (1 გოლი), სურმავა (1 გოლი), ქობელაშვილი

*მწვრთნელი: ბექა ორჯონიკიძე*

გუშინ ტექნიკური უნივერსიტეტის დარბაზში საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი დასრულდა. როგორც მოსალოდნელი იყო, ქვეყნის ჩემპიონის ტიტული პირველად მოიპოვა "თბილისმა", რომელმაც რეგულარულ ჩემპიონატშიც უდანაკარგოდ იასპარეზა და არც ფლეი ოფში მიუცია მეტოქისთვის შანსი.

**მამუკა მჟავანაძისა და ტიტე კალანდაძის** გუნდს ოქროს მედლები, ფაქტობრივად, პირველივე მატჩის შემდეგ ჰქონდა განაღდებული, როცა "თბილისმა" მთავარ კონკურენტს, ასევე დედაქალაქურ "ქარიშხალას" 20 ბურთის სხვაობით სძლია. განმეორებით შეხვედრაში ჩემპიონს სრული მობილიზებით არ უთამაშია, მაგრამ მას ამისთვის ნამდვილად ვერ გავამტყუნებთ.

ტურნირის დონისათვის და "თბილისის" წევრთათვის უკეთესი იქნებოდა, ჩემპიონობა უმთავრეს მოცილე სტუ-"შევარდენთან" ჭიდილში ეზეიმათ, მაგრამ როგორც იცით, საქართველოს აქამდე უცვლელმა ჩემპიონმა გათამაშებაში მონაწილეობა უსახსრობის გამო ვერ შეძლო. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ "ქარიშხალა" გაძლიერებული იყო "შევარდენის" რამდენიმე ხელბურთელით.

მესამე ადგილი "სამტრედიამ" მოიპოვა, რომელმაც ცხინვალის "სპარტაკს" ჯერ სენაკში სძლია 31:27, გუშინ კი ასევე დაძაბულ ბრძოლაში 31:28 გაიმარჯვა.

ჩემპიონ-პრიზიორები თასებით, მედლებითა და დიპლომებით დაჯილდოვდნენ, ინდივიდუალური პრიზები კი ასე განაწილდა: საუკეთესო მოთამაშე – **ლევან გელაშვილი** ("თბილისი"), საუკეთესო მეკარე – **გიგა ტორონჯაძე** ("ქარიშხალა"), ყველაზე პერსპექტიული მოთამაშე – **ჯუმბერ ხუნჯუა** ("სამტრედია").

**ლევან ჯანეზაშვილი**
ავტორის ფოტო

ტაეკვანდო



# სამი ვაჟი და პლუს იანა

არმიის სასპორტო კლუბის დარბაზში გუშინ დამთავრდა თბილისის ღია პირველობა ტაეკვანდოში ახალგაზრდებს შორის WTF-ის (მსოფლიო ტაეკვანდოს ფედერაცია) ვერსიით, რომელიც ოლიმპიური სახეობაა. შეჯიბრებაში სხვადასხვა ქალაქისა და რაიონის ასამდე წარმომადგენელი მონაწილეობდა.

დაძაბული ორთაბრძოლების შემდეგ წონითი კატეგორიების მიხედვით პირველ-მესამე ადგილებზე გავიდნენ:

გოგონები: 50 კგ. 1. ნინო ბერიძე, 2. ქეთევან სიხარულიძე, 3. ნინო ქარუმიძე (ყველა — თბილისი).

57 კგ. 1. გიტა ჩერქეზია (თბილისი), 2. რუსუდან კვანტალიანი (წყალტუბო), 3. ანა სიხარულიძე (თბილისი).

ვაჟები: 27 კგ. 1. რატი მანაგაძე, 2. გურამ ხოხაშვილი, 3. კოსტა ქაქუჩაია (სამივე — თბილისი) და ირაკლი ნადარაია (წყალტუბო).

31 კგ. 1. ბექა ქავთარაძე (თბილისი), 2. თორნიკე კინწურაშვილი, 3. გიორგი ჩაკვეტაძე (ორივე — წყალტუბო) და ბადრი პაქსაშვილი (თბილისი).

35 კგ. 1. გიორგი ბერაძე (თბილისი), 2. გიორგი კორსანტია (წყალტუბო), 3. კობა სამადაშვილი და თორნიკე ქავთარაძე (ორივე — თბილისი).

42 კგ. 1. გიორგი კაკაბაძე (ბათუმი), 2. ზურაბ ბეჟანიშვილი, 3. დიმიტრი ქეშელაშვილი (ორივე — თბილისი) და დათო ბზიკაძე (წყალტუბო).

48 კგ. 1. ბექა დოლიძე (თბილისი), 2. გურამ კანდელაკი (წყალტუბო), 3. ლაშა სამადაშვილი (თბილისი).

60 კგ. 1. ბექა უმიკაშვილი, 2. გიორგი თოიძე, 3. გოგა გათენაშვილი (სამივე — თბილისი).

63 კგ. 1. ნიკა ლურწკაია, 2. ლაშა აბრამიშვილი, 3. გიორგი მურადაშვილი და შალვა ვიბლიანი (ყველა — თბილისი).

68 კგ. 1. ნოდარ გოლეთიანი (წყალტუბო), 2. ალექსანდრე გვასალია, 3. მირზა ყვავაძე (ორივე — თბილისი) და გიორგი მაძლარაშვილი (ბათუმი).

— წლეულს, ოქტომბერში, კოპენჰაგენი (დანია) ტაეკვანდოში მსოფლიოს ჩემპიონატს უმასპინძლებს, — გვითხრა ტაეკვანდოს ეროვნული ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **ავთანდილ მიქაძემ**. — ამ შეჯიბრებაზე სავარაუდოდ გაემგზავრება 3 ვაჟი და ერთი გოგონა — იანა გაგნიძე, რომელიც ამჟამად საბერძნეთში ცხოვრობს და იქვე ვარჯიშობს. ჩემპიონატისთვის უკეთ მოსამზადებლად უფროსი და ახალგაზრდული ნაკრების წევრებს ივლისის შუა რიცხვებში ერთობლივ საწვრთნელო შეკრებაზე უკრაინაში წავიყვანთ, მერე კი თურქეთის საერთაშორისო ტურნირზე გამოვცდით. ვეცდებით, ქომაგები არ გავაწბილოთ.

**ვაჟა დანელია**
ავტორის ფოტო

ძიუდო

# ნომურა არ გვეშვება...

*თურმე ტყუილად გვეგონა, რომ იაპონელი სამგზის ოლიმპიური და მსოფლიო ჩემპიონი ტადაჰირო ნომურა (60) ერთხელ და საბოლოოდ ჩამოვიშორეთ! 34 წლის ვეტერანმა ფრანგ ჟურნალისტებთან ინტერვიუში განაცხადა, რომ სპორტში ბრუნდება და 2012 წლის ოლიმპიადის მოგებასაც გეგმავს. „მე გადავხედე ჩემს შესაძლებლობებს და მჯერა, მსოფლიო დონეზე ჭიდაობა ისევ შემიძლია. ძველებურად ვიმუშავებ და ლონდონში ისევ მოვიპოვებ ოქროს მედალს. ახლა იმის თქმა შემიძლია, რომ ამჟამინდელი სპორტული ფორმა მიზნის მისაღწევად საკმარისია" - განაცხადა ნომურამ.*



ატლანტის ოლიმპიადიდან მოყოლებული, სახელოვანმა იაპონელმა მიჯრით მოიგო ზედიზედ სამი ოლიმპიადა სიდნეის ჩათვლით, სადაც ფინალში ჩვენი **ნესტორ ხერგიანი** დაამარცხა. პეკინში მის გამოსვლას და ზედიზედ მეოთხე ჩემპიონობასაც თითქმის ყველა ელოდა იმის მიუხედავად, რომ უკვე 33 წლისა გახლდათ. ბუნებრივია, ასაკს ყველა ითვალისწინებდა, მაგრამ სპეციალისტებმა მისი შესაძლებლობებიც კარგად იცოდნენ და პროგნოზებისგან თავს ამიტომაც არ იკავებდნენ. იყო სხვა ფაქტორიც – იაპონელები შეხვედრების ყიდვით და ვაჭრობით ზოგიერთებივით სახელგატეხილები არ არიან. კაცმა რომ თქვას, ეს დიდად არც სჭირდებათ, რადგან სხვებზე ლამის მთელი თავით მაღლა დგანან, მაგრამ თუ რამე ხდება და წაშველება სჭირდებათ, აქ უკვე დაუწერელი კანონი მოქმედებს – მსაჯები ცოტათი მაინც ემხრობიან, როგორც ძიუდოს მშობლებს და უძლიერესი გუნდის წარმომადგენლებს. მსაჯები ხომ რაღაც დოზით მუდამ ძლიერს ემხრობიან, რასაც არა მხოლოდ ძიუდოს, მსოფლიო სპორტის ცოცხალი ლეგენდის – **იასუჰირო იამასიტას** ავტორიტეტიც ემატება. იქნებ ამ ფაქტორებმა ყოველთვის, ყველა შეხვედრაში არ იმოქმედონ – როგორც გითხარით, იაპონელები უსირცხვილოდ ვაჭრობას არ კადრულობენ და ეგებ ყველასთვის არც შეიწუხონ თავი, მაგრამ როცა საქმე ნომურასნაირ ლეგენდას ეხება, მაშინ ყველაფერი ხდება. ნომურა ხომ თავადაც ლეგენდაა და ძიუდოს სამყაროში უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობს. თანაც, მას წლები ვერაფერს აკლებდა და ოლიმპიადის წინა პერიოდშიც ძალზე დიდი წარმატებით ჭიდაობდა. ამიტომ ელოდა ყველა, რომ თვითონაც კარგად მოემზადებოდა და თუ სადმე წაიფორხილებდა, მსაჯები არ გაწირავდნენ - ოთხგზის ოლიმპიური ჩემპიონი თვით მრავლისმნახველი იაპონელებისთვისაც კი წარმოუდგენლად დიდი ფუფუნებაა.

სხვათა შორის, იაპონელებისთვის ოთხი ოლიმპიადის მონაწილეც დიდი საქმეა, თუმცა ამ მხრივ იქაურთა რეკორდსმენი მაინც არა ვაჟი, არამედ ქალია - ფენომენალური **რიოკო ტომურა-ტანი**, ორგზის ოლიმპიური და შვიდგზის (!!!) მსოფლიოს ჩემპიონი. ის ერთადერთი იაპონელია, რომელმაც 5 ოლიმპიადაზე იჭიდავა. აქედან ორჯერ ჩემპიონი გახდა - 2000 და 2004 წლებში, ორჯერ ვერცხლი მოიპოვა - 1992 და 1996-ში, შარშან კი პეკინში მესამეზე გავიდა. მსოფლიო ჩემპიონატებზე ტანიმ სულ რვაჯერ იჭიდავა. აქედან პირველად - 1991 წელს, 16 წლისამ და ბრინჯაო მოიპოვა, იმის მერე კი მიჰყვა და 7 პირველობა მოიგო. აქედან 6 - ზედიზედ, 1993 წლიდან მოყოლებული, 2003 წლის მსოფლიო პირველობის ჩათვლით, მთელი 10 წელიწადი, ტიტული ვერავინ წაართვა. აღსანიშნავია, რომ ამ ათწლეულში ორ-ორჯერ გაამწარა ჩინელი **აიუე ლი** და კუბელი **ამარილის სავონი**. კარიერის განმავლობაში მან მხოლოდ ერთი მსოფლიოს ჩემპიონატი გამოტოვა და მხოლოდ ერთხელ დარჩა უმედლოდ, მაგრამ ისიც ფრიად საპატიო მიზეზით - ათენის ოლიმპიადის მოგების შემდეგ გათხოვდა, ქმრის გვარზეც გადავიდა და ბავშვიც გააჩინა. 2005 წლის პირველობაც ამიტომ გამოტოვა, მისი არყოფნით კი კუბელმა **იანეტ ბერმოიმ** ისარგებლა და ათწლეულის განმავლობაში ყველასათვის საოცნებო ტიტული დაისაკუთრა. ეს პაუზა რომ არა, ალბათ, ტამურა-ტანი არც მაშინ დაუთმობდა პირველობას არავის. ამის თქმის საფუძველს ის გვაძლევს, რომ ეს ყოჩაღი ქალი სპორტს დაუბრუნდა და ორწლიანი უქმობის შემდეგ 2007 წელს ისევ მოიგო მსოფლიო ჩემპიონატი. თანაც, ფინალში სწორედ კუბელი **ბერმოი** დაამარცხა. სხვათა შორის, ამ წარმატებას რიო დე ჟანეიროში მეც ვესწრებოდი და მისი პოპულარობის შემსწრე გავხდი - ლეგენდას იაპონიიდან პირად ქომაგთა დიდი ამალა ჩამოჰყვა, რომლებიც ტრიბუნაზე მუდამ ცალკე სექტორში ისხდნენ, ხელთ ტანჩია კერპის ვეება ფოტოები და გამამხნევებელი ტრანსპარანტები ეჭირათ და ყოველ შეხვედრაში ენერგიულად ქომაგობდნენ.

თუმცა ისევ ტადაჰირო ნომურას დავუბრუნდეთ, რომელიც შარშან კიდევ ექვსი მსოფლიოს ჩემპიონატის მოგებაზე არა, მაგრამ მეოთხე ოლიმპიადაზე გამარჯვებას კი ნამდვილად გეგმავდა. თუმცა, კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო, მასაც ისე დაემართა - შარშან, სეზონის დასაწყისში იაპონიის ჩემპიონატში მარჯვენა მუხლზე მყესი გაიწყვიტა და ნახევარფინალიდან გამოვარდა. მაშინ ჩემპიონი თბილისელი მაყურებლისთვის კარგად ნაცნობი, ჩვენი ტურნირის არაერთგზის მონაწილე **ჰიროაკი ჰიროაკა** გახდა და პეკინშიც იმან იასპარეზა. აი, სწორედ მაშინ ვიფიქრეთ, რომ ნომურა სპორტიდან წავიდა და ერთხელ და საბოლოოდ გვეშველა. ნომურა მრავალგზის შეხვედრია ჩვენს ფალავნებს და ნესტორ ხერგიანს საკმაოდ ხშირად დაუმარცხებია კიდეც, მაგრამ იაპონელმა ჩვენებურებს ორი უმნიშვნელოვანესი ფინალი მოუგო - სიდნეის ოლიმპიადაზე იგივე ხერგიანი, 1997 წელს პარიზში, მსოფლიო პირველობის ფინალში კი **გიორგი რევაზიშვილი** დაამარცხა. სახელოვანი ფალავნის კარიერაში ეს მსოფლიოს ჩემპიონის ერთადერთი ტიტულია და ბედის ირონიით, ისიც ქართველთა ხარჯზე მოგებული. ჭიდაობის სამშობლოდ წოდებული საქართველო კი ამ ტიტულს კიდევ 10 წელიწადი ელოდა - 1989 წელს, ბელგრადში, **კობა კურტანიძე** და **ამირან ტოტიკაშვილი** გახდნენ მსოფლიო ჩემპიონები, იმის მერე კი ეს ტიტული **ირაკლი ცირეკიძემ** მოიპოვა 2007-ში რიო დე ჟანეიროში. შუალედში სანუკვარ ტიტულს **დავით ხახალეიშვილი** და **ზურაბ ზვიადაური** ორ-ორჯერ, გიორგი რევაზიშვილი და **გიორგი ვაზაგაშვილი** კი თითოჯერ მიუახლოვდნენ - ფინალები იჭიდავეს, მაგრამ ყველას ხელი მოეცარა.

ნომურას სულაც არ აშინებს ის გარემოება, რომ 2012 წელს 37 წლისა გახდება და ვარაუდობს, რომ ერთ წელიწადში საბოლოოდ გაირკვევა მისი ამბიციების საფუძვლიანობა. „ერთწლიანი სარეაბილიტაციო კურსის მერე შევძლებ, მსოფლიოში კვლავ პირველი ნომერი ვიყო" - განაცხადა ნომურამ. ის აქტიურ სპორტში დაბრუნებას ნოემბერში, კოდოკანის თასზე გეგმავს, სადაც გაირკვევა, იჭიდავებს თუ არა მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატზე, რომელიც მის მშობლიურ ტოკიოში გაიმართება. იმედი ვიქონიოთ, რომ... თუმცა, ვნახოთ. რაც უნდა იყოს, მისი ახალგაზრდა კონკურენტები ჯერ კიდევ საგრძნობლად ჩამორჩებიან და ჩვენებს მათთან წარმატების მეტი შანსი გააჩნიათ, ვიდრე - თავად ნომურასთან. აკი 2007-ის მსოფლიო პირველობაზე ხერგიანმა ბრწყინვალედ დაამარცხა ნომურას კიდევ ერთი კონკურენტი, თბილისის ტურნირის ასევე ხშირი სტუმარი ტაცუაკი ეგუსა.

**ირაკლი თავაძე**

# ძიუდოისტი ქალები კონტინენტის პირველობისათვის

დასრულდა საქართველოს ჭაბუკ ძიუდოისტ ქალთა ნაკრების ევროპის ჩემპიონატისათვის მოსამზადებელი შეკრება, რომელიც 9-დან 22 ივნისამდე გორის გურამ პაპიტაშვილის სახელობის დარბაზში მიმდინარეობდა. შეკრებაზე გუნდის მთავარი მწვრთნელის **გია თენაძისა** და მწვრთნელების **ვალერი პარუნაშვილის, გიგა ბოჭოიძისა** და **კახა მოცრიძის** ხელმძღვანელობით ემზადებოდა 25 ძიუდოისტი გოგონა. მათგან ოთხი სლოვენიის ქალაქ კოპერში 26-28 ივნისს გამართულ კონტინენტის პირველობაზე იასპარეზებს. ესენი არიან: **ნონა მერაბიშვილი** (52 კგ), **სოფო ბერიძე** (57 კგ), **თეონა სუხიტაშვილი** (70 კგ), **ელენე ქებაძე** (+ 70 კგ). ქართველი მოჭიდავე გოგონებს, როგორც ხედავთ, ყველა წონით კატეგორიაში ვერ ვიხილავთ. მოგეხსენებათ, ქალთა ძიუდო ახლა იწყებს კვლავ აღორძინებას საქართველოში და ნაკრების მწვრთნელებმაც საჭიროდ მიიჩნიეს, რომ ევროპის ჩემპიონატზე იმ წონითი კატეგორიების წარმომადგენლები წაიყვანონ, რომლებიც სხვებთან შედარებით პერსპექტიულად მიიჩნევიან.

**ვასილ ბალახაძე**

## ხსოვნა
## სერგო შალიბაშვილი



დაიბადა 1962 წლის 22 ივნისს (კოშკიდან წყალში მხტომელი). იუნიორთა ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი (1978), სსრკ ჩემპიონატების ოქროსა (1980) და ბრინჯაოს მედლის (1979) მფლობელი, საკავშირო თასის სამ გათამაშებაში (1978-80) გამარჯვებული. მრავალი საერთაშორისო ტურნირის ჩემპიონი და პრიზიორი.

ტრაგიკულად დაიღუპა კანადაში შეჯიბრებებისას მიღებული ტრავმით (1983 წლის 16 ივლისი). სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდა ოლიმპიური მედლით.

ეროვნული ბიბლიოთეკა



რაგბი. ივნისის ტესტები



ბურთით მეთიუ რიზი

# ლომებმა ქურციკებს ვერაფერი დააკლეს

ივნისის ტესტების მშვენება, „ბრიტანელი ლომების" ტურნეს ბოლოსწინა შეხვედრა გამოდგა მსოფლიოს ჩემპიონ სამხრეთ აფრიკის ნაკრებთან. დურბანში ბოკე სტუმრებს დამაჯერებლად ამარცხებდა, თუმცა საბოლოოდ მხოლოდ ხუთი ქულით მოუგო - 26:21.

პირველი ლელო აფრიკელებს საკმაოდ იოლი გამოუვიდათ. მათ მეტოქის შეცდომის შედეგად მიღებული შანსი ბოლომდე ამოწურეს. „ლომების" ჩათვლის მოედნიდან ხუთ მეტრში დანიშნული შერკინებიდან სამი მოკლე, უბრალო ფაზის შემდეგ ბურთი ბოკეს კაპიტან **ჯონ სმითს** მიუვიდა, რომელმაც „ლომების" ხაზი იოლად გაჭრა. გარდასახვა **რუან პიენაარმა** გაიტანა. მანვე მალე საჯარიმოც ზუსტად დაარტყა და მასპინძლები ათი ქულით დაწინაურდნენ - 10:0.

„ბრიტანელმა ლომებმა" ანგარიშის შემცირება 22-ე წუთზე შეძლეს, მესამეხაზელი **ტომ კროფტის** ლელოს წყალობით. გარდასახვა ზუსტად **სტეფან ჯოუნზმა** დაარტყა და სხვაობა ანგარიშში სამ ქულამდე შეამცირა - 7:10.

მასპინძლებზე ამან კიდევ უფრო გამაღიზიანებლად იმოქმედა. პიენაარის ორ საჯარიმოს **ფრანსუა სტეინმა** კიდევ ერთი მიუმატა და აფრიკელები შესვენებაზე 12-ქულიანი უპირატესობით წავიდნენ - 19:7.

მეორე ტაიმის დასაწყისში ბოკემ ანგარიშში სხვაობა კიდევ უფრო გაზარდა. „ქურციკებმა" დერეფნიდან აგორებული მოლით 40 მეტრი იარეს და მესამეხაზელმა **ჰენრიხ ბროსუმ** მორიგი ლელო გაიტანა. პიენაარმა გარდასახა - 26:7

„ლომებმა" ამის შემდეგღა გამოიღეს ხელი. თამაშის დასრულებამდე ბურთს ძირითადად ისინი ფლობდნენ. გუნდის წინამძღოლი, წელს ევროპის საუკეთესო მორაგბედ აღიარებული, ირლანდიელი შუამარბი **ბრაიან ოდრისკოლი** იყო.

სტუმრებმა ანგარიშში სხვაობა ისევ ტომ კროფტის ლელოს წყალობით შეამცირეს. გარდასახვა ამჯერადაც ჯოუნზმა დაარტყა ზუსტად - 14:26. თამაშის დასრულებამდე ხუთი წუთით ადრე „ლომების" ცხრა ნომერმა **მაიკ ფილიპსმა** იყოჩაღა. მეტოქის ჩათვლის მოედნიდან ხუთ მეტრში წარმოქმნილი რაკიდან ბურთი აიღო, მანევრით აჩვენა, რომ მარცხნივ აპირებდა გრძელ ფრთაზე გადაცემას, მაგრამ ყველასათვის მოულოდნელად, თვითონ შეუტია და ლელოში შეიჭრა. ჯოუნზმა ესეც გარდასახა - 21:26.

დარჩენილი დრო რეალურად საკმარისი იყო მატჩის გადასარჩენად, თუმცა „ბრიტანელი ლომების" მცდელობას შედეგი არ მოჰყოლია. მორიგ შეხვედრას ეს გუნდები კეიპტაუნში კვირის თავზე გამართავენ.

ერთი კვირის წინ დანიდინში, საფრანგეთის ნაკრებთან განცდილი მარცხის გამო, ზელანდიამ რევანში ველინგტონში აიღო. „ოლ ბლექსმა" მეტოქე უშელავათო ბრძოლაში - 14:10 დაამარცხა.

პირველი ტაიმი მასპინძლებმა მშრალი ანგარიშით - 8:0 მოიგეს. ანგარიში კი მხოლოდ 26-ე წუთზე გაიხსნა. ზელანდიელთა მორკინალების შეტევა მარცხნივ, გრძელ ფრთაზე გაგრძელდა. შუამარბმა **კონრად სმითმა** ორი მოწინააღმდეგე ჩამოიცილა და ბურთი იქვე მიმყოლ თანაგუნდელ **მაა ნონუს** გაატანა. **სტეფან დონალდს** გარდასახვა გაუცუდდა. თუმცა ტაიმის მიწურულს საჯარიმო მაინც გაიტანა და სხვაობა ანგარიშში რვა ქულა გახადა - 8:0.

მეორე ტაიმი ფრანგებმა აქტიურად დაიწყეს და 45-ე წუთზე გარემარბმა **სედრიკ ემონსმა** ულამაზესი ლელო გაიტანა. ფრანგმა მოედნის ცენტრიდან კიდეს გასწვრივ ისე ირბინა, რომ გზად ცრუ მოძრაობით გვერდი ოთხ მოწინააღმდეგეს აუარა. გარდასახვა ზუსტად **ჟულიენ დიუპიუმ** დაარტყა - 7:8.

თამაშის დასრულებამდე 35 წუთი რჩებოდა. თუმცა ლელოს გატანა ვერც ერთმა მოახერხა. სტეფან დონალდმა და შეცვლაზე შემოსულმა **ლუკ მაკალისტერმა** ფრანგებს კიდევ თითო-თითო საჯარიმო გაუტანეს და 66-ე წუთისთვის მასპინძლები შვიდი ქულით დაწინაურდნენ - 14:7.

ფრანგებმა ერთადერთი, რაც მოახერხეს, ასევე შეცვლაზე შემოსული **დიმიტრი იაშვილის** მიერ გატანილი საჯარიმო იყო - 14:10. ეს 68-ე წუთზე მოხდა. დარჩენილ დროში გუნდებმა მონაგარს ვერაფერი შემატეს.

ზელანდიის ნაკრები მორიგ შეხვედრას იტალიის ეროვნულ გუნდთან გამართავს, რომელმაც თავის მხრივ მელბურნში წააგო შეხვედრა ავსტრალიის ნაკრებთან - 12:34. ამ შეხვედრაში თავი გამოიჩინა „ვოლაბების" ახალგაზრდა ფულ ბეკმა **ჯეიმს ოკონორმა**, რომელმაც აძურის ორი ლელო გაუტანა.

ავსტრალია მომავალ უქმეებზე მელბურნშივე საფრანგეთის ნაკრებს უნდა დახვედროდა. თუმცა გამორიცხული არ არის, რთული მეტეოროლოგიური პირობების გამო, თამაში კანბერაში გადაიტანონ.

**ბესიკ ჯანგავაძე**

### ივნისის ტესტები

**ზელანდია–საფრანგეთი 14:10**

**ზელანდია:** ლ - მაა ნონუ. პს - დონალი (2), მაკალისტერი.

**საფრანგეთი:** ლ - ემონსი. ს - იაშვილი. გ - დიუპიუ.

**ავსტრალია–იტალია 34:12**

**ავსტრალია:** 5ლ - ოკონორი (2), პოლოტანაუ, კროსი, ტერნერი. 3გ - ეშლი-კუპერი (2), ბარნსი. ს: ეშლი-კუპერი.

**იტალია:** 4ს - მაკლინი

**ს.აფრიკა–ბრიტ. ლომები 26:21**

**ს.აფრიკა:** 2ლ - სმითი, ბროსუ. 4ს - პიენაარი (3), სტეინი. 2გ - პიენაარი.

**ბრიტ. ლომები:** 3ლ - კროფტი (2), ფილიპსი. 3გ - ს.ჯოუნზი.

ფორმულა 1. ბრიტანეთის გრან-პრი

# რედ ბულის მეორე დუბლი

წელს „რედ ბულს" საინტერესო ჩვეულება ჩამოუყალიბდა - დუბლით გამარჯვება. ბრიტანეთის გრან-პრიზე **სებასტიან ფეტელმა** და **მარკ უებერმა** შეწყვიტეს ამ სეზონში **ჯენსონ ბატონის** ჰეგემონია. „სილვერსტოუნზე" „რედ ბული" ძალიან სწრაფი იყო და ეჭვგარეშეა, სამი კვირის შემდეგ, „ნიურბურგრინგზე" ისევ გაუმართავს ბრძოლას „ბრაუნ გრან-პრის". ფეტელმა და უებერმა განსაკუთრებული მადლობა უნდა უთხრან გენიალურ ინჟინერ **ედრიან ნიუის**, რომელმაც ბრწყინვალე ბოლიდი წარმოადგინა. შემთხვევითი არ არის, რომ სწორედ „რედ ბულის" კონსტრუქტორი ავიდა პოდიუმზე გუნდური პრიზის მისაღებად. ნიუის დამსახურებაა, რომ გუშინ, „სილვერსტოუნის" ტრასაზე ბრძოლა არ შედგა და „რედ ბული" უკონკურენციოდ იყო.

**რუბენს ბარიკელომ** ზედიზედ მეორე წელია მესამე ადგილი დაიკავა ბრიტანეთის გრან-პრიზე, მაგრამ ეს არ არის მთავარი. უფრო მნიშვნელოვანი ისაა, რომ მან თანაგუნდელ ბატონს გაასწრო. რთული სათქმელია, რა დაემართა ამ უქმეებზე ჩემპიონატის ლიდერს, მაგრამ ინგლისელმა უკვე რბოლის წინ იცოდა, რომ შეუძლებელია ერთმანეთის მიყოლებით ყველა ეტაპის მოგება - ჯენსონის წარმატებების მიუხედავად, წელს კონკურენცია საკმაოდ მაღალია.

თუ „ფერარი" ჯერ კიდევ ფიქრობს 2009 წლის სეზონში გამარჯვებაზე, უნდა გააგრძელოს მუშაობა თავისი ბოლიდის ტრასასთან მოჭიდების ძალის გასაუმჯობესებლად. მიუხედავად ამისა, ტაქტიკური თვალსაზრისით, ბრწყინვალე რბოლა გამართა **ფელიპე მასამ.** მან მე-11 პოზიციიდან აიღო სტარტი, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია მისთვის მეოთხე მისულიყო ფინიშთან. ბრაზილიელის თანაგუნდელმა **კიმი რაიკონენმა** შესანიშნავი სტარტი აიღო, მაგრამ ეტაპის მსვლელობისას რამდენიმე მეტოქემ გაუსწრო და ფინელი ერთ ქულას დასჯერდა.

**ნიკო როსბერგმა** მეხუთე ადგილი მოიპოვა. მან კარგად ირბოლა ტრასაზე, სადაც ყოველთვის რთულია გასწრება. სამაგიეროდ, პირველი პიტსტოპის შემდეგ რბოლა წააგო მისმა თანაგუნდელმა **კაზუკი ნაკაჯიმამ** - ადრეული პიტსტოპები „სილვერსტოუნზე" ყოველთვის პოზიციების სერიოზულ დაკარგვას იწვევს. „უილიამსი" აგრძელებს კონსტრუქტორთა თასზე ქულების დაგროვებას და სამწუხაროა, რომ ფორმულა 1-ის ორად გახლეჩის შემთხვევაში, სერ **ფრენკის** საჯინიბო პლანეტის საუკეთესო რბოლების მიღმა აღმოჩნდება.

**იარნო ტრულიმ** და **ტიმო გლოკმა** „ტოიოტას" მეშვიდე და მეცხრე ადგილი მოუტანეს. როგორც ჩანს, ეს არის იაპონური საჯინიბოს რეალური სარბოლო ტემპი, თუმცა, შესაძლებელია, ბრიტანეთის გრან-პრიზე გუნდს უკეთესად გამოსვლა შეეძლო.

სამწუხაროა, რომ მეათე ადგილისთვის ქულებს არ იძლევიან, რადგან **ჯანკარლო ფიზიკელა** ამას ნამდვილად იმსახურებდა. „ფორს ინდია" კვლავინდებურად უქულოდაა ჩემპიონატში, მაგრამ ისიც შესამჩნევია, რომ გუნდი პროგრესირებს. რბოლის მსვლელობისას იტალიელმა გაუსწრო „რენოს" ორივე პილოტს, „მაკლარენის" მოქმედ ჩემპიონს და ორივე „BMW-ზაუბერს". შარშან **ვიჯეი მალიას** ასეთი რამ არც დაესიზმრებოდა.

სასიამოვნოდ გაგვაკვირვა **ნელსინიო პიკემ** - თითქმის სავსე ავზით ბრაზილიელმა შეცდომები თავიდან აიცილა, კარგად წარმართა რბოლა და დამსახურებულად გაუსწრო თავის ტიტულოვან თანაგუნდელს. მაგრამ „რენოს" საერთო დონე კრიტიკას ვერ უძლებს - მე-12 და მე-14 ადგილი ძალიან ცუდი შედეგია გუნდისთვის, რომელიც სეზონის წინ გამარჯვებისთვის ბრძოლას აპირებდა.

რბოლის აუტსაიდერები კვლავ „ტორო როსოს" პილოტები და **ლუის ჰემილტონი** გახდნენ. ეს იმდენად უჩვეულო ტრიოა, რომ კომენტარიც ზედმეტია. „მაკლარენმა" ან სერიოზულად უნდა იზრუნოს MP4-24-ის განვითარებაზე, ან ოფიციალურად გამოაცხადოს კაპიტულაცია და მომავალ სეზონზე ფიქრი დაიწყოს, რადგან არ შეიძლება საკუთარი გულშემატკივრების ამგვარად დაცინვა.

ბოლოს კი უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ რბოლას მხოლოდ ორი პილოტი გამოეთიშა. ამის მიზეზი არა ტექნიკური პრობლემები, არამედ შეჯახება იყო. ყველა გუნდმა მაღალ საიმედოობას მიაღწია, რაც შექებას იმსახურებს, მაგრამ იმავდროულად, რბოლას მოულოდნელობის ეფექტს უკარგავს.

### ბრიტანეთის გრანპრი. VIII ეტაპი

**სილვერსტოუნი (60 წრე, 308.355 კმ)**

| | |
|---|---|
| 1(1). სებასტიან ფეტელი (რედ ბული, გერმანია) | 1:22.49,328 (2 პიტსტოპი) |
| 2(3). მარკ უებერი (რედ ბული, ავსტრალია) | +15,188 (2) |
| 3(2). რუბენს ბარიკელო (ბრაუნი, ბრაზილია) | +41,175 (2) |
| 4(11). ფელიპე მასა (ფერარი, ბრაზილია) | +45,043 (2) |
| 5(7). ნიკო როსბერგი (უილიამსი, გერმანია) | +45,915 (2) |
| 6(6). ჯენსონ ბატონი (ბრაუნი, ბრიტანეთი) | +46,285 (2) |
| 7(4). იარნო ტრული (ტოიოტა, იტალია) | +1.08,307 (2) |
| 8(9). კიმი რაიკონენი (ფერარი, ფინეთი) | +1.09,622 (2) |
| 9(8). ტიმო გლოკი (ტოიოტა, გერმანია) | +1.09,823 (2) |
| 10(16). ჯანკარლო ფიზიკელა (ფორს-ინდია, იტალია) | +1.11,522 (2) |
| 11(5). კაზუკი ნაკაჯიმა (უილიამსი, იაპონია) | +1.14.023 (2) |
| 12(14). ნელსინიო პიკე (რენო, ბრაზილია) | 1 წრე (1) |
| 13(12). რობერტ კუბიცა (BMW-ზაუბერი, პოლონეთი) | 1 წრე (2) |
| 14(10). ფერნანდო ალონსო (რენო, ესპანეთი) | 1 წრე (2) |
| 15(15). ნიკ ჰაიდფელდი (BMW-ზაუბერი, გერმანია) | 1 წრე (2) |
| 16(19). ლუის ჰემილტონი (მაკლარენი, ბრიტანეთი) | 1 წრე (2) |
| 17(18). ადრიან სუტილი (ფორს-ინდია, გერმანია) | 1 წრე (1) |
| 18(20). სებასტიან ბუემი (ტორო როსო, შვეიცარია) | 1 წრე (2) |
| 19(17). სებასტიან ბურდე (ტორო როსო, საფრანგეთი) | 23 წრე (3) |
| 20(13). ჰეიკი კოვალაინენი (მაკლარენი, ფინეთი) | 24 წრე (3) |

საუკეთესო წრე: საბესტიან ფეტელი - 1.20,735 (229.238 კმ/სთ); მე-16 წრე

### საერთო ჩათვლა

1. **ჯენსონ ბატონი** - 64 ქულა; 2. **რუბენს ბარიკელო** - 41; 3. **სებასტიან ფეტელი** - 39; 4. **მარკ უებერი** - 35.5; 5. **იარნო ტრული** - 21. 6. **ფელიპე მასა** - 16; 5; 7. **ნიკო როსბერგი** - 15.5; 8. **ტიმო გლოკი** - 13; 9. **ფერნანდო ალონსო** - 11; 10. **კიმი რაიკონენი** - 11; 11. **ლუის ჰემილტონი** - 9; 12. **ნიკ ჰაიდფელდი** - 6; 13. **ჰეიკი კოვალაინენი** - 4; 14. **სებასტიან ბუემი** - 3; 15. **სებასტიან ბურდე** - 2; 15. **რობერტ კუბიცა** - 2.

### კონსტრუქტორთა თასი

1. **ბრაუნი** - 105 ქულა; 2. **რედ ბული** - 74.5; 3. **ტოიოტა** - 34.5; 4. **ფერარი** - 26; 5. **უილიამსი** - 15.5; 6. **მაკლარენი** - 13; 7. **რენო** - 11; 8. **BMW-ზაუბერი** - 8; 9. **ტორო როსო** - 5.



# ბერნი გუნდების მხარეს გადავიდა

ფორმულა 1-ის ფაქტობრივმა მფლობელმა **ბერნი ექლსტოუნმა** ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციისა (FIA) და ფორმულა 1-ის გუნდების ასოციაციის (FOTA) კონფლიქტში ამ უკანასკნელის მხარე დაიჭირა. BBC-სთვის მიცემულ ინტერვიუში ექლსტოუნმა უკმაყოფილება გამოთქვა ფედერაციის პრეზიდენტის **მაქს მოსლის** პოლიტიკის გამო, რომელმაც მომავალი სეზონიდან ჩემპიონატში მონაწილე გუნდებს ბიუჯეტში 40-მილიონიანი ლიმიტი დაუწესა. სწორედ ამის გამო, პარასკევს რვა გუნდმა უარი თქვა 2010 წლის ჩემპიონატში მონაწილეობაზე და ალტერნატიული სერიის შექმნა გადაწყვიტა.

*"ამ კონფლიქტში გუნდების პოზიციას ვიზიარებ. არავინ მოისურვებს ვინმესგან ბრძანების მიღებას, თუ როგორ დახარჯოს საკუთარი ფული. თუ გუნდები უახლოეს ხუთ სეზონში მონაწილეობას დაადასტურებენ, გარწმუნებთ, მათ ფინანსურ საქმეებში არავინ ჩაერევა. საჯინიბოებს შეუძლიათ, რამდენიც სურთ, იმდენი თანხა დახარჯონ. ახლა ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ კონფლიქტი მოგვარდეს. დარწმუნებული ვარ, გამოსავალს ვიპოვით",* - ამბობს ექლსტოუნი.

**გია თვალაბეიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უცხოური სპორტი

## კალათბურთი

# კობი ლეიკერსში დარჩა

### ფილ ჯექსონის საკითხი გაურკვეველია

ბოლო დროს ამერიკულ პრესაში სულ უფრო ხშირად წერდნენ იმის შესახებ, რომ "ლოს ანჯელეს ლეიკერსის" ლიდერს **კობი ბრაიანტს** გუნდის დატოვება ჰქონდა განზრახული. კონტრაქტის მიხედვით, წლევანდელი ფინალური სერიის საუკეთესო მოთამაშეს 1 ივლისს ხელშეკრულების განყვეტის უფლება და შეზღუდული თავისუფალი აგენტის სტატუსის მიღება შეუძლია. ასეთ შემთხვევაში, კალათბურთელი, რომელსაც "ლეიკერსის" რიგებში 13 წელი აქვს გატარებული, იოლად გააფორმებს მრავალწლიან სარფიან კონტრაქტს NBA-ის ნებისმიერ კლუბთან. გასული სეზონის წინ, ბრაიანტი თავად აცხადებდა, რომ 50 მილიონი დოლარის სანაცვლოდ ევროპაშიც კი წავიდოდა სათამაშოდ. მაგრამ შაბათს კობი და "ლეიკერსის" მთავარი მწვრთნელი **ფილ ჯექსონი** კალიფორნიული კლუბის გენერალურ მენეჯერს **მიტჩ კუპჩაკს** შეხვდნენ, რის შემდეგაც ბრაიანტმა განაცხადა, რომ არსად წასვლას არ აპირებს.

*"მთელი წლის განმავლობაში ერთი და იმავეს ვლაპარაკობდი და არც ახლა ვაპირებ აზრის შეცვლას, - უპასუხა ჟურნალისტებს კობიმ. - არსად არ მივდივარ. სავსებით დარწმუნებული ვარ, რომ გადაწყვეტილებას არ შევიცვლი. ასე რომ, ჩემს ტრანსფერზე ლაპარაკი დროის ფუჭი ხარჯვაა".*

ამით ბრაიანტის გრძელი, დაძაბული და ტრიუმფალური სეზონი დასრულებულია. კობი არდადეგების გასატარებლად მექსიკაში მიემგზავრება, 1 აგვისტოს კი თავისი საყვარელი საფეხბურთო კლუბის - "ბარსელონას" მატჩს დაესწრება "ლოს ანჯელეს გალაქსის" წინააღმდეგ.



რაც შეეხება ფილ ჯექსონის მომავალს, ის ჯერ კითხვის ნიშნის ქვეშაა. გენერალურ მენეჯერთან შეხვედრაზე 63 წლის სპეციალისტის საკითხიც განიხილეს. ცნობილია, რომ ჯექსონს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები აქვს. გასულ რეგულარულში ფილმა "ლეიკერსის" ორი გასვლითი მატჩი ფეხის ტრავმის გამო გამოტოვა. ექიმებმა მწვრთნელს აღმოუჩინეს დაავადება, რომელსაც ტერფის ფასციტი ჰქვია. ჯექსონის თქმით, მას ეს ავადმყოფობა დისკომფორტს უქმნის.

შეხვედრის შემდეგ, მწვრთნელის რანგში NBA-ის ათგზის ჩემპიონმა განაცხადა, რომ თავისი მომავალი კარიერის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას სამედიცინო შემოწმების შემდეგ მიიღებს. ფილმა შარშან მოაწერა ხელი "ლეიკერსთან" ორწლიან კონტრაქტს, რომლის ერთი წლით გახანგრძლივების უფლებაც აქვს. ხელშეკრულებაში არსებობს პუნქტი, რომლის მიხედვითაც მწვრთნელმა დათქმულ ვადაში უნდა აცნობოს კლუბის ხელმძღვანელობას თავისი საბოლოო გადაწყვეტილება. თუმცა კუპჩაკმა ჟურნალისტებს უთხრა, რომ ჯექსონს დროს მისცემენ სამედიცინო შემოწმებისთვის. ასე რომ, "ლეიკერსის" დამრიგებლის ბედი, სავარაუდოდ, ივლისის დასაწყისში გაირკვევა.

ორიოდე სიტყვით "ლეიკერსის" სატრანსფერო გეგმების შესახებ. ამ ზაფხულს თავისუფალი აგენტები ხდებიან **ტრევორ არიზა და ლამარ ოდომი.** სავარაუდოდ, ისინი გუნდში დარჩებიან. ყოველ შემთხვევაში, ამას ჯიუტად ითხოვს კობი ბრაიანტი, რომელთან კონფლიქტსაც კლუბის ხელმძღვანელობა მაქსიმალურად მოერიდება.

*"ასეთი მოთამაშეების მონახვა ძალიან რთულია. ამ მომენტისთვის ბრწყინვალე გუნდი გვყავს. იშვიათად ხდება, როცა ერთ გუნდში იკრიბებიან უნიჭიერესი კალათბურთელები, რომლებიც მზად არიან საერთო წარმატებას პირადი ინტერესები შესწირონ. თუ ისინი "ლეიკერსში" დარჩებიან, ჩვენ მოგებებს გავაგრძელებთ", - ამბობს კობი.*

# ვინსი ლებრონის გვერდით?

### სატრანსფერო ბაზარზე კლივლენდისა და პორტლენდის აქტიურობა შეინიშნება

ამერიკულ პრესაში სატრანსფერო ამბების შესახებ ყველაზე ხშირი ინფორმაციები "პორტლენდისა" და "კლივლენდის" აქტიურობას შეეხება. ეს უკანასკნელი ტრეიდებით ეცდება შემადგენლობის გაძლიერებას და გაისად, **ლებრონ ჯეიმსთან** ერთად კიდევ ერთხელ შეუტევს ჩემპიონის ტიტულს.

ამ ეტაპზე "კლივლენდთან" მოლაპარაკებებს აწარმოებს "ნიუ ჯერსი ნეტსი", რომელიც "კავალიერზს" შემტევ მცველ **ვინს კარტერს** სთავაზობს. NBA-ის ვეტერანი ვარსკვლავის სანაცვლოდ, "ნეტსი" სავარაუდოდ, ცენტრ **ბენ უოლასსა** და მცველ **საშა პავლოვიჩს** მიიღებს.

"ნიუ ჯერსიმ" კარტერის მოშორება რთული ფინანსური მდგომარეობის გამო გადაწყვიტა. მომავალ ორ სეზონში ვინსმა 33.7 მილიონი დოლარი უნდა მიიღოს, რაც "ნიუ ჯერსისთვის" საკმაოდ დიდი თანხაა.

გარდა ამისა, "კლივლენდმა", შესაძლოა, ცენტრის პოზიციაც გააძლიეროს. გასულ თვეში, გუნდის თანამფლობელი გახდა ჩინელ ინვესტორთა ჯგუფი, რომელიც დაინტერესებულია "კავალიერზში" "ჰიუსტონის" ძირითადი ცენტრის **იაო მინის** ჩარიცხვით.

*"ჯერ არაფერი არ არის გადაწყვეტილი. "ჰიუსტონში" დიდი ხანი გავატარე და ამ გუნდს შევეჩვიე. გარდა ამისა, ბოლო სეზონი ჩვენთვის წარმატებული გამოდგა და "როკეტსთან" ერთად წარმატების მიღწევის იმედი გამიჩნდა. ასე რომ, გუნდის შეცვლის შესახებ გადაწყვეტილების მიღება საკმაოდ რთული იქნება"*, - ამბობს იაო მინი.



■ ■ ■

ახლა, რაც შეეხება "პორტლენდის" გეგმებს. როგორც ცნობილია, "ორლანდო მეჯიქის" ფორვარდი **ჰედო თურქოგლუ** შეუზღუდავი თავისუფალი აგენტი გახდა და "ტრეილ ბლეიზერსის" ხელმძღვანელობამ მაშინვე მისი შეძენის სურვილი გამოთქვა.

"პორტლენდის" ხელმძღვანელობას შემადგენლობაში გამოცდილი კალათბურთელი სჭირდება, რომელიც გუნდის ახალგაზრდა ვარსკვლავებს - **როისა** და **ოლდრიჯს** სწრაფ პროგრესში დაეხმარება. სწორედ ასეთ კალათბურთელად მოიაზრება თურქი ფორვარდი.

ამ ზაფხულს, სატრანსფერო ბაზარზე ერთ-ერთი ყველაზე სასურველი თავისუფალი აგენტი "დალასის" ვეტერანი გამთამაშებელი **ჯეისონ კიდი** იქნება. "პორტლენდმა" ამ კალათბურთელსაც დაადგა თვალი.

თავად კიდი ჯერჯერობით თავს იკავებს ყოველგვარი კომენტარისგან. რეგულარული ჩემპიონატის მსვლელობისას, ვეტერანმა არაერთხელ განაცხადა, რომ "დალასთან" კონტრაქტის გაგრძელება სურს. შეგახსენებთ, რომ გასულ რეგულარულში კიდმა საშუალოდ 9.0 ქულა, 6.2 მოხსნა და 8.7 პასი შესძინა "მავერიქსს".

## ცხელი ხაზი

| კალათბურთი | |
|---|---|
| **ევროპის ჩემპიონატი** | |
| **მე-5 ადგილისთვის** | |
| საბერძნეთი-იტალია | 60:56 |
| **მე-3 ადგილისთვის** | |
| ესპანეთი-ბელარუსი | 63:56 |
| **ფინალი** | |
| საფრანგეთი-რუსეთი | 57:53 |
| **საფრანგეთი** | |
| **პლეი ოფი. ფინალი** | |
| ვილერბანი-ორლეანეზი | 55:41 |
| **გერმანია** | |
| **პლეი ოფი. ფინალი** | |
| ოლდენბურგი-ტელეკომი | 78:81 |

| ფრენბურთი | |
|---|---|
| **მსოფლიოს ლიგა** | |
| ვენესუელა-პოლონეთი | 2:3 |
| კუბა-რუსეთი | 3:2 |
| ს. კორეა-სერბეთი | 1:3 |
| ბრაზილია-ფინეთი | 3:0 |
| ბულგარეთი-იაპონია | 3:1 |
| ჰოლანდია-ჩინეთი | 3:0 |
| კუბა-რუსეთი | 2:3 |
| ს. კორეა-სერბეთი | 3:0 |
| ჰოლანდია-ჩინეთი | 3:0 |
| ბულგარეთი-იაპონია | 1:3 |
| იტალია-აშშ | 1:3 |
| საფრანგეთი-არგენტინა | 3:2 |
| ვენესუელა-პოლონეთი | 0:3 |

| ჩოგბურთი | |
|---|---|
| **ATP. ისტბურნი** | |
| დანჩევიჩი-ტურსუნოვი | 3:6, 6:7 |
| **ATP. ჰერტოგენბოში** | |
| ბეკერი-სლუიტერი | 7:5, 6:3 |
| **WTA. ისტბურნი** | |
| რაზანო-ვოზნიაჩკი | 6:7, 5:7 |
| **WTA. ჰერტოგენბოში** | |
| ტანასუგარნი-ვიკმაიერი | 6:3, 7:5 |

## TV პროგრამა

### 22 ივნისი. ორშაბათი

#### I არხი

**23:00** გოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.

#### HTB-პლუსი (ფეხბურთი)

**07:50** ლიბერტადორესის თასი. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი. ნასიონალი (ურუგვაი)-პალმეირასი (ბრაზილია).
**09:40** არგენტინის ჩემპიონატი.
**11:30** საფეხბურთო პროგრამა.
**12:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**12:20** გასული სეზონის ქრონიკა. ჰოლანდიის ჩემპიონატი. აიაქსი-ეინდჰოვენი.
**14:10** გასული სეზონის ქრონიკა. საფრანგეთის ჩემპიონატი. ლიონი-ლილი.
**16:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**16:20** გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. ზენიტი-ბატე.
**18:20** გასული სეზონის ქრონიკა. გერმანიის ჩემპიონატი. შალკე-ვოლფსბურგი.
**20:10** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**20:35** არგენტინის ჩემპიონატი. ლანუსი-ველეს სარსფილდი.
**22:25** გასული სეზონის ქრონიკა. ინგლისის ჩემპიონატი. ლივერპული-ვიგანი.
**00:10** გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. ტიაუა-ლიონი.
**02:10** გასული სეზონის ქრონიკა. ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-ნუმანსია.
**04:00** გასული სეზონის ქრონიკა. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ სიტი-ლივერპული.
**05:50** გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. შახტარი-ბარსელონა.

#### EUROSPORT

**10:30** ავტომოტოსპორტი. ტელეჟურნალი.
**11:00** სუპერბაიკი. მსოფლიოს ჩემპიონატი. II რბოლა. სან მარინო.
**12:00** ავტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. II რბოლა. ბრნო. ჩეხეთი.
**13:00** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. ფინალი. კაროლინ ვოზნიაჩკი (დანია)-ვირჟინ რაზანო (საფრანგეთი). ისტბურნი. ინგლისი.
**14:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ფინალი. დმიტრი ტურსუნოვი (რუსეთი)-ფრანკ დანჩევიჩი (კან). ისტბურნი. ინგლისი.
**15:00** ნიჩბოსნობა. მსოფლიოს თასი. მიუნხენი. გერმანია.
**17:00** მძლეოსნობა. ევროპის გუნდური ჩემპიონატი. II რბოლა. პორტუგალია.
**20:00** სნუკერი. მსოფლიოს სერია. II დღე. ირლანდია.
**21:15** მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. შესარჩევი მატჩები.
**22:15** მულტისპორტი.
**22:30** პრო-რესტლინგი.
**00:25** მულტისპორტი.
**00:30** ბრძოლა წესების გარეშე.
**01:30** მძლეოსნობა. ევროპის გუნდური ჩემპიონატი. II რბოლა. პორტუგალია.
**02:30** მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. შესარჩევი მატჩები.

#### EUROSPORT-2

**09:00** ახალი ამბები.
**10:45** სერფინგი. სამხრეთ აფრიკა.
**11:00** ახალი ამბები.
**11:45** სერფინგი. სამხრეთ აფრიკა.
**12:00** მაუნტინბაიკი. მსოფლიოს თასი. მარიბორი. სლოვენია.
**13:00** ახალი ამბები.
**13:30** ფეხბურთი. იაპონიის ჩემპიონატი. XIV ტური. გამბა-ნიიგატა.
**14:30** ახალი ამბები.
**14:45** სერფინგი. სამხრეთ აფრიკა.
**15:00** ავტომოტოსპორტი. ტელეჟურნალი.
**15:30** ახალი ამბები.
**16:00** სპიდვეი. ჩეხეთის გრანპრი.
**17:00** რაგბი. მსოფლიოს ჩემპიონატი (ახალგაზრდები). ფინალი. იაპონია.
**18:00** კრიკეტი. World Twenty 20. ფინალი. ბრიტანეთი.
**19:00** მოტოკროსი. მსოფლიოს ჩემპიონატი. გერმანია.
**20:00** ახალი ამბები.
**20:15** უნივერსიადა 2009. ტელეჟურნალი.
**20:30** ავტომოტოსპორტი. ტელეჟურნალი.
**21:00** ავტოსპორტი. ჩემპიონთა რბოლა. პორტუგალია.
**21:30** ახალი ამბები.
**22:00** ბეისბოლი. ევროპის თასი. ფინალი. ბარსელონა. ესპანეთი.
**23:45** მაუნტინბაიკი. მსოფლიოს თასი. მარიბორი. სლოვენია.
**00:45** სერფინგი. სამხრეთ აფრიკა.
**01:00** ავსტრალიური ფეხბურთი. ტელეჟურნალი.
**02:00** სერფინგი. სამხრეთ აფრიკა.

ევროპის ჩემპიონატი. ქალები

# საფრანგეთმა რუსეთი დაამხო

ლატვიაში ქალთა შორის ევროპის ჩემპიონატი დასრულდა, სადაც წინა ჩემპიონმა რუსეთის ნაკრებმა ტიტულის შენარჩუნება ვერ შეძლო. ტურნირის საუკეთესო გუნდი საფრანგეთის ნაკრები აღმოჩნდა, რომელმაც მთელი დისტანცია დაუმარცხებლად გაიარა, ორჯერ დაამარცხა მთავარი ფავორიტი რუსეთი და სრულიად სამართლიანად მოიპოვა კონტინენტის საუკეთესო გუნდის სტატუსი.

ფინალის ბოლო წუთებს თუ არ ჩავთვლით, "სამფეროვნები" მთელი მატჩი დომინირებდნენ მოედანზე. პირველ ტაიმში მათ მხოლოდ 19 (!) ქულა ჩააგდებინეს რუსეთს, მეოთხე მეოთხედის სტარტზე კი ფრანგების უპირატესობა 19 ქულას აღწევდა. როგორც ჩანს, მომავალმა ჩემპიონებმა ნაადრევად ირწმუნეს გამარჯვება და მეტოქეს დაწევის საშუალება მისცეს. მაგრამ იმ დღეს რუსეთს გამარჯვება არ ეწერა. როგორც კი **ვალერი ტიხონენკოს** შეგირდებს ანგარიშის გათანაბრების შანსი მიეცათ, მაშინვე უაზრო შეცდომები დაუშვეს და ოთხი ქულა წააგეს მომავალ ჩემპიონთან. თამაში ჩააგდო რუსების მთავარმა იმედმა, წარმოშობით ამერიკელმა **ბეკი ჰემონმა** - მის მიერ ნასროლი რვავე სამქულიანი ასცდა მიზანს.

ევროპის ჩემპიონატზე პლანეტის 2010 წლის ჩემპიონატის ხუთი საგზური თამაშდებოდა. მისი მფლობელები გახდნენ: საფრანგეთი, რუსეთი, ესპანეთი, ბელარუსი და საბერძნეთი (ჩეხეთი ავტომატურად მოხვდა მსოფლიოს ჩემპიონატზე, როგორც მასპინძელი ქვეყანა).

ტურნირის სიმბოლური ნაკრები ასე დაკომპლექტდა: **ევანტა მალტცი** (საბერძნეთი), **ანეტე იაკობსენე** (ლატვია), **სანდრინ გრუდა, სელინ დიუმერკი** (ორივე - საფრანგეთი) და **სვეტლანა აბროსიმოვა** (რუსეთი). ევროპის ჩემპიონატის MVP-ის ტიტული ბერძენ მალტცის ერგო.

**საფრანგეთი-რუსეთი 57:53**

12:10, 18:9, 16:14, 11:20

**საფრანგეთი:** გრუდა (12), ნდონგი (11), კრავჩიკი (7), ერნუე (7), გომისი (5), გოდინი (5), დიუმერკი (4), ოუკუბუ-დეუ (2), მელენი (2), ლეპრონი (2).

**რუსეთი:** სტეპანოვა (13), არტეშინა (12), ჰემონი (9), კორსტინი (6), კარპუნინა (5), აბროსიმოვა (4), კუზინა (2), ოსიპოვა (2).

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**



კრივი

# ვლადიმერმა ორ ტაისონს მოუგო






**ვლადიმერ კლიჩკომ** (52-3-0, 46 KO) შეინარჩუნა სუპერმძიმე წონაში IBF-ისა და WBO-ს საჩემპიონო ქამრები. უკრაინელმა მოკრივემ გელზენკირხენში გამართული ბრძოლის მეცხრე რაუნდში ტექნიკური ნოკაუტით დაამარცხა უზბეკი **რუსლან ჩაგაევი** (25-0-1, 17 KO).

შაბათს, საფეხბურთო კლუბ "შალკეს" სტადიონზე ფეხბურთს არ თამაშობდნენ, მაგრამ "ფელტინს-არენაზე" ანშლაგი დაფიქსირდა. 70-ათასიანი პუბლიკის ყურადღება დიდმა კრივმა დაიმსახურა - ვლადიმერ კლიჩკო რუსლან ჩაგაევის წინააღმდეგ.

უზბეკი მოკრივე WBA-ის ვერსიით მსოფლიოს არამოქმედ ჩემპიონად მიიჩნევა, თუმცა კრივის მსოფლიოს ასოციაციამ ბრძოლის წინ გამოაცხადა, რომ ამ ჩხუბში მისი საჩემპიონო ქამარი არ გათამაშდებოდა.

ორივე მოკრივე სოლიდური სტატისტიკით შეხვდა ამ ბრძოლას - ჩაგაევს აქამდე არც ერთი დაპირისპირება არ ჰქონდა წაგებული, უმცროსი კლიჩკო კი ბოლო ხუთი წელია დამარცხებული არ ჩამოსულა რინგიდან, ბოლო შვიდი მოწინააღმდეგიდან კი ექვსს ნოკაუტით მოუგო.

მიუხედავად იმისა, რომ ექსპერტები ჩაგაევის შანსებს საკმაოდ თამამად აფასებდნენ, ბრძოლა უკრაინელის უპირატესობით წარიმართა და მისი დამსახურებული გამარჯვებით დასრულდა.

პირველ რაუნდში რამდენჯერმე მიზანს მიაღწია კლიჩკოს საყვარელმა ჯებმა, მაგრამ ტრადიციულად, მოკრივეებმა პირველი სამი წუთი დაზვერვას მოანდომეს.

მეორე რაუნდში კი ჩაგაევი ნოკდაუნში აღმოჩნდა. უკრაინელს ორმაგი და მარჯვენა პირდაპირი დარტყმა გამოუვიდა, რომელიც უზბეკს პირდაპირ ყბაში მოხვდა და რინგზე გაიშხლართა. რუსლანმა სწრაფად მოახერხა წამოდგომა და ბრძოლა გააგრძელა.

ჩაგაევი თავის კარიერაში ყველაზე მჩატე წონით შეხვდა ამ ბრძოლას, რადგან იცოდა, რომ წარმატებას სისწრაფე თუ მოუტანდა, მაგრამ შუააზიელს ამ მხრივ პრობლემები შეექმნა. ის სტატიკურ მიზანს უფრო ჰგავდა და კლიჩკოსაც უადვილდებოდა ზუსტი დარტყმების შესრულება.

მეხუთე რაუნდში რუსლანს ისევ მოხვდა კლიჩკოს ორმაგი დარტყმა - ეს იყო ჩაგაევის ცხვირში ორი აქცენტირებული დარტყმა მარცხენა და მარჯვენა ხელით, მაგრამ უზბეკი წაქცევას ბაგირებმა გადაარჩინა. მერვე რაუნდში კლიჩკოს პირველი სერიოზული დარტყმა მოხვდა, თუმცა ის მეტოქემ ბრძოლის შეჩერების შემდეგ განახორციელა. ამ არასპორტული საქციელისთვის ჩაგაევი სულ მალე დაისაჯა. WBA-ის ჩემპიონმა წარბი გაიხეთქა და მისმა ექიმებმა ბრძოლის გაგრძელების უფლება აღარ მისცეს.

დამაჯერებელი გამარჯვების მიუხედავად, კლიჩკომ თავისი მოწინააღმდეგის მაღალ კლასს გაუსვა ხაზი.

*"ჩაგაევის შესაძლებლობების შეუფასებლობა არ შეიძლება. მან მაქსიმუმი გააკეთა, უბრალოდ, მე უკეთესად გამოვიყურებოდი. ჩემს მოწინააღმდეგეს უდიდესი გამოცდილება გააჩნია. მოყვარულებში მას ლეგენდარული კუბელი ფელიქს სავონი ჰყავს დამარცხებული, პროფესიულ რინგზე კი დღემდე არც ერთი ბრძოლა არ ჰქონდა წაგებული, ამასთან, მის აქტივში ნიკოლაი ვალუევთან გამარჯვებაც შედის. ამიტომაც, ბედნიერი ვარ, რომ დღეს რინგი გამარჯვებულმა დავტოვე"*, - განაცხადა მსოფლიოს ჩემპიონმა.

მაშ ასე, ვლადიმერ კლიჩკომ მეშვიდედ დაიცვა IBF-ისა და მერვედ WBO-ის საჩემპიონო ქამრები. ამ ფედერაციების ისტორიაში ასეთი რამ არასოდეს მომხდარა. ამ მხრივ, უკრაინელმა დაამხო ლეგენდარული **მაიკ ტაისონის** რეკორდი, ხოლო "თეთრ ტაისონად" წოდებულ რუსლან ჩაგაევს კარიერაში პირველი მარცხი აგემა.

## ვიტალიმ სასამართლო მოიგო

ამასობაში, რინგის მიღმა გამარჯვებას მიაღწია ვლადიმერის უფროსმა ძმამ - **ვიტალი კლიჩკომ**, რომელიც სუპერმძიმე წონაში მსოფლიოს საკრივო საბჭოს (WBC) ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონად ითვლება. ვიტალი კლიჩკომ WBC-ს საარბიტრაჟო სასამართლოში დავა მოუგო და ახლა, ვალდებული არ არის ტიტული დაიცვას ამ ორგანიზაციის აუცილებელ კანდიდატ რუს **ოლეგ მასკაევთან** ბრძოლაში. ეს ინფორმაცია უკრაინელი მოკრივის მენეჯერმა **შელი ფინკელმა** გაავრცელა.

შეგახსენებთ, რომ ვიტალი არ ეთანხმებოდა WBC-ის გეგმებს. ეს უკანასკნელი უკრაინელს საჩემპიონო ტიტულის ორჯერ დაცვას ავალდებულებდა: 21 მარტს კუბელ **ხუან კარლოს გომესთან** და შემდეგ, 120 დღის განმავლობაში რუს **ოლეგ მასკაევთან** ბრძოლაში. უფროსმა კლიჩკომ მხოლოდ კუბელის წინააღმდეგ იჩხუბა და გომესი ქულებით დაამარცხა. სხვათა შორის, მასკაევმა WBC-ის სავალდებულო პრეტენდენტის სტატუსი ასევე სასამართლოს ძალით მოიპოვა.

ასე რომ, ვიტალი კლიჩკოს ახლა თავად შეუძლია მომდევნო მოწინააღმდეგის ამორჩევა. უკრაინელთან ჩხუბის მთავარი კანდიდატები არიან - რუსი **ნიკოლაი ვალუევი**, ბრიტანელი **დევიდ ჰეი**



საპატიო სტუმრები - ნოა და ბორის ბეკერები



ლოთარ მათეუსი და კრისტინა ლილიანა



ვიტალი კლიჩკოს მეუღლე - ნატალია კლიჩკო

გოლფი

# ყველაზე მდიდრები

ზედიზედ მერვე წელია, მსოფლიოს ყველაზე მდიდარ სპორტსმენად ამერიკელი გოლფისტი **ტაიგერ ვუდსი** დასახელდა. ცნობილი ამერიკული ჟურნალის "ფორბსის" მონაცემებით, ვუდსმა ბოლო 12 თვის განმავლობაში 110 მილიონი დოლარი გამოიმუშავა. შეგახსენებთ, რომ ამ რეიტინგის ჩათვლაში შედის სპორტსმენის ხელფასი, ტურნირებზე მოგებული ჰონორარები, სარეკლამო კონტრაქტებისგან მიღებული მოგება, სატელევიზიო და კინოგადაღებები და ა. შ.

გასულ სეზონში, ტაიგერ ვუდსმა ტრავმის გამო რვა თვე გამოტოვა, რის გამოც უშუალოდ ტურნირებისგან შემოსავალმა მხოლოდ 5 მილიონი შეადგინა, გარდა ამისა, სპორტსმენის ერთ-ერთმა სპონსორმა დათქმულ ვადაზე ერთი წლით ადრე განყვიტა გოლფისტთან კონტრაქტი. მიუხედავად ამისა, სარეკლამო კონტრაქტებსა და გოლფის არენების მშენებლობას შავკანიანი სპორტსმენისთვის უფრო მეტი შემოსავალი მოაქვს, ვიდრე უშუალოდ ტურნირებში მონაწილეობას. ბოლო ერთი წლის განმავლობაში ვუდსის შემოსავალი ორნახევარჯერ მეტია მისი უახლოესი მდევრების ანალოგიურ მაჩვენებელზე.

მეორე ადგილი სამმა სპორტსმენმა გაიყო - კალათბურთელებმა **კობი ბრაიანტმა** და **მაიკლ ჯორდანმა** და ფორმულა 1-ის პილოტმა **კიმი რაიკონენმა**. მეხუთეა ფეხბურთელი **დევიდ ბექჰემი** - 42 მილიონი.

"ფორბსის" ვერსიით, მსოფლიოს 20 ყველაზე მდიდარი სპორტსმენის სია ასე გამოიყურება:

| | |
|---|---|
| 1. ტაიგერ ვუდსი (გოლფი) | 110 მლნ |
| 2-4. კობი ბრაიანტი (კალათბურთი) | 45 მლნ |
| 2-4. მაიკლ ჯორდანი (კალათბურთი) | 45 მლნ |
| 2-4. კიმი რაიკონენი (ფორმულა 1) | 45 მლნ |
| 5. დევიდ ბექჰემი (ფეხბურთი) | 42 მლნ |
| 6-8. ლებრონ ჯეიმსი (კალათბურთი) | 40 მლნ |
| 6-8. ფილ მიკელსონი (გოლფი) | 40 მლნ |
| 6-8. მანი პაკიაო (კრივი) | 40 მლნ |
| 9. ვალენტინო როსი (მოტოსპორტი) | 35 მლნ |
| 10. დეილ ერნჰარდტი (ავტოსპორტი) | 34 მლნ |
| 11-12. როჯერ ფედერერი (ჩოგბურთი) | 33 მლნ |
| 11-12. შაკილ ო'ნილი (კალათბურთი) | 33 მლნ |
| 13-15. ოსკარ დე ლა ჰოია (კრივი) | 32 მლნ |
| 13-15. ლუის ჰემილტონი (ფორმულა 1) | 32 მლნ |
| 13-15. ალექს როდრიგესი (ბეისბოლი) | 32 მლნ |
| 16. ვიჯეი სინგხი (გოლფი) | 31 მლნ |
| 17-20. კევინ გარნეტი (კალათბურთი) | 30 მლნ |
| 17-20. ჯეფ გორდონი (ავტოსპორტი) | 30 მლნ |
| 17-20. დერეკ ჯეტერი (ბეისბოლი) | 30 მლნ |
| 17-20. რონალდინიო (ფეხბურთი) | 30 მლნ |

გვერდი მოამზადა გია თვალაბეიშვილმა



ჩოგბურთი

# როჯერის შანსი



**შვეიცარიელ როჯერ ფედერერს**, რომელმაც თითქმის ერთი წლის წინ დაკარგა პროფესიონალ ჩოგბურთელთა ასოციაციის რეიტინგის პირველი ადგილი, კლასიფიკაციის მწვერვალზე დაბრუნების შანსი გაუჩნდა.

მას შემდეგ, რაც მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა **რაფაელ ნადალმა** იუარა უიმბლდონზე თამაში, ფედერერს "დიდი სლემის" რიგით მესამე ტურნირის მოგება სჭირდება დაკარგული პოზიციის დასაბრუნებლად.

წლევანდელი უიმბლდონის შემდეგ, ნადალი რეიტინგში 2000 ქულას დაკარგავს და 10 736 ქულა გაუხდება. ფედერერს კი გამარჯვების შემთხვევაში 200 ქულა დაემატება, რაც მის საერთო მონაგარს 11 220 ქულამდე გაზრდის. ასე რომ, უკვე 6 ივლისისთვის შვეიცარიელს ლიდერობის ხელში ჩაგდება შეეძლება.


თმის გადანერგვის კლინიკა «თალიზი»

თმის გადანერგვის პირველი სპეციალიზებული კლინიკა ამიერკავკასიაში
თმის აღმდგენითი ქირურგიის საერთაშორისო საზოგადოების -ISHRS- წევრი



მრავალწლიანი გამოცდილება, ხარისხი, გარანტირებული შედეგები
უახლესი ამერიკული მეთოდები, მხოლოდ ჩვენთან!
ფოლიკულური გაერთიანებების მასშტაბური ტრანსპლანტაციები, სტერეომიკროსკოპული ტექნოლოგია, FOX-პროცედურები, წარბებისა და წამწამების გადანერგვა
თმის გადანერგვა ხორციელდება 2-3 საათში უმტკივნეულოდ
გადანერგილი თმა ბუნებრივად იზრდება და არ ცვივა.
კონსულტაციები უფასოა და ანონიმური.
მისამართი: ქ. თბილისი, ტაშკენტის ქ. №27
ტელ.: 25-37-39; 37-50-89; 899-53-07-10 www.talizi.ge